# საერთო გაზეთი

№8 (320) ● 11 მარტი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

**„თუ მოხდა სასწაული და კარი გაუღეს, უსუფაშვილი უეჭველი სხვა სახლის კართან დგას და ეს სახლი რუსეთი იქნება.“**




**რა პრეტენზიები აქვს დეპუტატ ომარ ნიშნიანიძეს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანთან, ირაკლი კობახიძესთან?**

**„ნაციონალი ლაშა თორდია დღეს კონტროლს უწესებს სამთავრობო უწყებებს, გესმით, ეს რას ნიშნავს? აგროვებს ინფორმაციებს და სააკაშვილსაც უგზავნის დასაარქივებლად“**

## „მშობლიურო ჩემო მიწავ...“

არავის არ აქვს უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას!

## ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



**ახლა ამერიკელი ქართველის შექმნა უნდათ, რომელსაც არაფერი აინტერესებს – არც სამშობლო, არც დედა, არც მამა, ოღონდ თვითონ იყოს ბედნიერი!**

*„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“*
*ილია*

# პატრიოტი

# „მშობლიური ჩემო მიწავ...“

## არავის არ აქვს უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას!

***კანონპროექტი – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ – საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე – სერიოზული მსჯელობის საგანს წარმოადგენს.***

***საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პაატა კოღუაშვილს.***

**– ბატონო პაატა, ზემოთ აღნიშნული საკითხი ქვეყნისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზე მსჯელობისას საჭირო იყო სერიოზული სპეციალისტების ჩართულობა საზოგადოებასთან ერთად, ვინაიდან საქართველოს მიწა ხალხს ეკუთვნის და არ იმ პარლამენტარებს, რომელთაც „განაჩენი“ გამოუტანეს ამ საკითხს საზოგადოებისგან დაუსწრებლად, იქნებ განმარტოთ, რაში მდგომარეობს საკითხის მთავარი არსი?**

– საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის, თავისი ფიზიკური, მენტალური და სულიერი შესაძლებლობებისათვის, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობების სახით, ქართველი ერი მიწის გარეშე ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები აქვს.

ქართველმა ერმა იცის, რომ მისი სამოსახლო მიწა-წყალი ერთ-ერთი საუკეთესოა დედამიწაზე, მის მეზობლობაში კი ყველაზე საუკეთესო, ამიტომ ქართველების მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწისთვის, უაზრო არ არის. ქართველმა კაცმა იცის, რომ მიწის დაკარგვით ის და მისი შთამომავლობა – მომავალს კარგავენ!

საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველს ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემალურ სიტუაციაში. ჩვენი ბუნება ადამიანს არც ანაზებს და არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს, პირიქით, ის მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის. ამიტომ საქართველოს კანონმდებლებს არ აქვთ უფლება ჩვენი ხალხის ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, წინაპართა სისხლით დაცულ მიწას, თუნდაც ერთი გოჯი მოაკლონ.

კანონპროექტი – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან“ შევიდა, მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა.

საზოგადოებამ მსჯელობა დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო. ამ კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, მასზე არც ერთი დადებითი შეფასება არ ყოფილა საჯარო სისტემაში. სიტუაციის გადარჩენა ეტყობა „თავის თავზე აიღო“ ერთმა პარლამენტარმა და მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე დღეში შეიქმნა ე. წ. „ალტერნატიული ვარიანტი“, ჩვენ ხელთ არ გვაქვს ამ უკანასკნელის ოფიციალური ვერსია, თუმცა, არც ამ ალტერნატიულ ვარიანტში არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ამიტომ მკითხველს განხილვას ვერ შევთავაზებთ.



თუმცა, თუ ეს პარლამენტარი ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რა სამუშაო ვარიანტშია და შესთავაზოს პარლამენტს ის, როგორც ალტერნატივა – ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა – ეს არ გამოვა!!!

ჩვენი ვალია, გავაფრთხილოთ ყველა: ქართული მიწის განიავების ხელშეწყობის შემთხვევაში, პერსონალური პასუხისმგებლობით წარსდგებით სასამართლოს წინაშე!

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც ის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა. თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება და სახელმწიფო, მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით. თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესთან, მაშინ უყოყმანოდ იწირება თეორიის მოთხოვნა – ეს აქსიომაა.

ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს, სულ 275 მილიარდი დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას ეკავა 55 პროცენტი! ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდგმისა და ერის განმტკიცების ფაქტორიც. ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია! მიწისგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების, წესის შემოქმედის, შემნახველისა განმაახლებლის ფუნქციის მოშლას.

ამ სასიცოცხლო თემის შესახებ **დღეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია, ქართველი ხალხის ორგანული, სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტური კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

მიწა, განსაკუთრებით სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფოს ტერიტორიას, ამიტომ მას პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია – ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა და სუვერენიტეტი. ის, რომ ტერიტორიული სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, არ ნიშნავს იმას, რომ იგი მიწის უზენაესი მესაკუთრეა! არა, სახელმწიფო ტერიტორია – ხალხის საკუთრებაა! ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას, ამიტომ არავის არ აქვს უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას!




ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე, მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი თუ მფლობელი – დღეს არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში.

საჯაროდ უნდა გაცხადდეს, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გალატაკებული მიწის მიყიდვისა – არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობის სასწრაფოდ გაუქმება ქართველი საზოგადოების ვალია!

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონპროექტი არ პასუხობს საქართველოში მიწასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაწყვეტის არც ერთ მოთხოვნას და მისი ამ სახით მიღება კიდევ უფრო გაამწვავებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.

კანონპროექტის განმარტებით ნაწილში არ ჩანს, გარკვეულობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ მცირემიწიანი საქართველო თავის მიწას უცხოელებზე ყიდდეს! განმარტებითი ბარათიდან არ ჩანს, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენასთან დაკავშირებული ეკონომიკური ანალიზი, თუ რა რაოდენობის მიწაა შესყიდული მათ მიერ, რა ინვესტიციებია განხორციელებული და დამუშავებულია თუ არა ეს მიწები. ასევე, როგორია თანაფარდობა საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებსა და უცხოელების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებს შორის? ასევე, საინტერესოა, რომელი ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ მიწას საკუთრებაში? რა წილი მოდის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე და როგორია მათ მიერ გაკეთებული ინვესტიციების ოდენობა, რომ ვიცოდეთ, რომელი ქვეყნებიდანაა მიწით სპეკულაციის მაღალი რისკი!

დასადგენია, რა მიზანს ემსახურება მინიმალური ზღვარის დაწესება (5 ჰა ფიზიკური პირებისათვის და 20 ჰა იურიდიული პირებისათვის)? გაუგებარია ასევე, როგორ მოხდება პირის მიერ ორი ორი მომიჯნავე, მაგ., 3-ჰექტარიანი მიწის ნაკვეთის შეძენა, ანუ ეს ნაკვეთები უნდა გაერთიანდეს და შემდგომ მოხდეს მისი ყიდვა?

საკითხავია, რამ განაპირობა შეზღუდვების გაუვრცელებლობას კომერციულ ბანკებზე, მიკრო საფინანსო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე და საერთოდ, ვინ არის ის კონკრეტული პიროვნება, ვინც ეს ნორმა ჩაწერა კანონპროექტში?

გაუგებარია, რატომ არის საჭირო უცხოელებისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების ნოტარიუსით დამტკიცება მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეს ეს არ სჭირდება?

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური თუ ეპიდემიური კატასტროფებისგან, არამედ სასურსათოსგანაც, კონკრეტულად მუდმივად და უცვლელად ჰქონდეთ მათ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცენ, სახელმწიფო ვალდებულია, რომ ხალხისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს!

**იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა იმის საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება!**

კანონპროექტის ამ სახით მიღება არ შეიძლება იმიტომაც, რომ მასში არ არის გათვალისწინებული არც მსოფლიოში საკვებთან დაკავშირებული მდგომარეობა და არც სხვა ქვეყნების გამოცდილება. თანამედროვე მსოფლიოში საკვების პრობლემა სულ უფრო მწვავდება, რაც დაკავშირებულია მიწის და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობითა და დედამიწაზე მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებადი და ამოწურვადი რესურსი – ამიტომ ამაზე დიდი დაფიქრება გვმართებს მთელ საზოგადოებას, რათა კანონმდებლებმა ჩვენს შთამომავლობას მომავალი არ დაუკარგონ.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# რა პრეტენზიები აქვს დეპუტატ ომარ ნიშნიანიძეს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანთან ირაკლი კობახიძესთან?

## „ძალიან მკაცრი და კრიტიკული ვიქნები ქადაგიძის მიმართ. პირში მივახლი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ. მოდით, წინასწარ მეტს არაფერს ვიტყვი, თორემ აღარ მოვა“

„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, **ომარ ნიშნიანიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო ომარ, ბოლო ხანს, „ქართულ ოცნებაში“ დაძაბულობა შეინიშნებოდა, პრეტენზიები გქონდათ თანაგუნდელებთან, ახლა,რა ხდება, დალაგდა სიტუაცია თუ კვლავ დაპირისპირებაა?**

— სიტუაცია დალაგდა, ორიოდე დღის წინათ, იყო ფრაქციის სხდომა, არაჩვეულებრივად მშვიდი და კონსტრუქციული. ვფიქრობდი, საყვედურს მეტყოდნენ, თუმცა ამაზე სიტყვა არავის დაუძრავს. საგანელიძეც უჩვეულოდ ლმობიერი იყო. რა თქმა უნდა, სხდომაზე იყო კრიტიკაც, მაგრამ საქმიანი და ჯანსაღი. ერთ კვირაში, როდესაც ფრაქციის ხელმძღვანელი დაბრუნდება აშშ-დან, ჩვენ დავიწყებთ აქტიურ მოქმედებას ორი კუთხით : პირველი, ეს არის პარტიის მშენებლობა, მეორე, ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების მონიტორინგი და კონტროლი, რაც პარლამენტის მოვალეობაცაა. აი, ამას დაგვპირდნენ ლიდერები. ვიმეორებ, მეგონა, საყვედურს მეტყოდნენ თანაგუნდელები საჯაროდ, რომ გავაკრიტიკე, მაგრამ არაფერი უთქვამთ. შეიძლება არც უნდა გამეკეთებინა ეს, მაგრამ იმიტომ გავაკეთე, რომ მინდა ყველაფერი კარგად იყოს. პირადი პრეტენზია არ გამაჩნია არც ერთ ლიდერთან, მაგრამ ის, რომ ფრაქციაში არ არის გადანაწილებული ფუნქციები და ჩვენ იმდენს ვერ ვაკეთებთ, რაც ხელგვეწიფება, ამაზე მქონდა და მაქვს პრეტენზია. ვნახოთ, რა იქნება, როგორც ითქვა სხდომაზე, აქტიურ მუშაობას ვიწყებთ. ჩვენი საუბრის მთავარი თემა ნინო გვენეტაძის საკითხი იყო.

**— დააკონკრეტეთ... დაუჭერს მხარს პარლამენტი გვენეტაძის კანდიდატურას თუ ჩავარდება?**

— იცით, არ ვიცი, ერთმნიშვნელოვნად, ვერც იმას გეტყვით, რომ მისი კანდიდატურა ჩავარდება, რადგან საკმაოდ ბევრი დეპუტატი უჭერს მხარს, თუმცა არიან გარკვეული ადამიანები, რომლებიც ბევრ კითხვის ნიშნებს სვამენ. და თუ ამ კითხვებს პასუხები არ გაეცა, მაშინ გაუჭირდება. მაგალითად: არსებობს კითხვები მისი ადრინდელი მოღვაწეობის მიმართ, მისი ნაბიჯების მიმართ, ნუ, ჩვეულებრივი ამბავია ეს პრინციპში. დიახ, აქვს გარკვეული მინუსები, რომელზედაც ისმის კითხვები, თუნდაც პარტიული კუთვნილება. ითქვა რომ მეიშვილთან და ვილაცეებთან ერთად აქვს რაღაც ნაბიჯები გადადგმული, ამ კითხვენბზე მან უნდა გასცეს პასუხები და რომ მოვა ჩვენთან, ჩვენ ძალიან კრიტიკულნი ვიქნებით. იმიტომ კი არა, რომ გინდა თუ არა უნდა დავბლოკოთ ის, არა, ეს ჩვენი აკვიატება კი არ არის, უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ ამ პოსტზე იყოს ისეთი პიროვნება, რომელთანაც კითხვები აღარავის ექნება. კითხვების დასმა დამთავრდება და ის იქნება ქვეყნისთვის ნამდვილად გამოსადეგი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.





**ომარ ნიშნიანიძე: „ამირან გულში მღეროდაო, ასეა ირაკლი კობახიძის საქმე, მოვიდეს, დაგველაპარაკოს კაცო, ყველაფერს აქვს საზღვარი“.**

**— ესე იგი, მომავალი კვირიდან მეტად აქტიურნი იქნებით და პარტიის მშენებლობასაც, როგორც იქნა იწყებთ, შემთხვევით ოცნება რიგგარეშე არჩევნებისთვის ხომ არ ემზადება?**

— ვიმეორებ, ეს სხდომა იყო წინა სხდომებთან შედარებით ძალიან კონსტრუქციული და მშვიდი. ჩვენ მივედით საერთო დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი საკითხები ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაწყდეს, გამოსწორდეს სიტუაცია, რაშიც უმრავლესობის და ფრაქციის ლიდერიც დაგვეთანხმა. ერთი კვირა ავიღოთ მორატორიუმი, ერთმანეთის კრიტიკა დავივიწყოთო, ჩვენც დავთანხმდით. კრიტიკა კარგია, ჯანსაღი კრიტიკა, მაგრამ ასე სჯობს. ერთი სიტყვით, გადაწყდა, რომ ერთმანეთის თანადგომით ჩვენ ბევრ კარგ საკითხს გადავწყვეტთ.

**— ცოტა გაუგებარია, აქამდე რა გიშლიდათ ხელს?**

— აი, ეს ჩემო ქეთი, ჩემთვისაც გაუგებარია...და მაინც, თუ არ გადაიდგა ეს ნაბიჯები, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, აი, მაშინ ჩათვალეთ, რომ დედა-შვილს არ აიყვანს. ყველა ვადა გავიდა, პარტიის აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის დაპირებაც დაპირებად დარჩა (გახსოვთ, ამას წინ, გითხარით, ორ კვირაში დავიწყებთ აქტიურობას-მეთქი, მაგრამ...), ანუ ეს ვადაც გავიდა, არც პარტიის თავჯდომარის და უმრავლესობის ლიდერის დაპირება შესრულდა და ახლა ეს დაპირებაც თუ არ შესრულდა და ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ისევ გადაგდებულები დავრჩით, მაშინ რადიკალურ ნაბიჯებს გადავდგამთ. დიახ, რადიკალურს, თუმცა ეს ისე არ იყოს გაგებული, რომ ვაფეთქებთ ვინმეს. იმედია, ერთ კვირაში მართლაც დავიწყებთ პარტიული კუთხით მუშაობას, ისევე როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიურ მუშაობას. აი, ეს არის, და ვნახოთ რა შედეგს მოგვცემს, რა შედეგს დავდებთ, თუნდაც ერთ თვეში. ეს ერთი თვის თავზე უკვე უნდა გამოჩნდეს, იმიტომ, რომ ჩვენ საიტნოტში ვართ. ბევრი დრო არ გვაქვს. ვიმეორებ, ერთი თვის თავზე შედეგები უნდა დაიდოს.

**— ვატყობ, აღმასრულებელი მდივნის საქმიანობით დიდად კმაყოფილი არ ხართ...**

— იცით, ჯერჯერობით, არ ვიცი, რაც ამ პოსტზე დაინიშნა რა გააკეთა და რა ნაბიჯები გადადგა საერთოდ. დიახ, არ ვიცი, არ გაუმხელია, ალბათ იტყვის. აბა, ამირან გულში მღეროდაო, ასე რას მივხვდებით. თუ არ მოვიდა, თუ არ დაგველაპარაკა, რას გავიგებთ და ეს ითქვა სწორედ სხდომაზე, რომ მოვიდეს კაცო, დაგველაპარაკოსო. უნდა მოვიდეს, რა თქმა უნდა, აბა, როგორ. მართლაც ყველაფერს აქვს საზღვარი, რა დიდი ანალიზი სჭირდებოდა იმას, რაც ჩვენ ჩამოვიტანეთ რეგიონებიდან, რით ვერ დაგველაპარაკა ამაზე. დიახ, რა დიდი ანალიზი სჭირდება, ის რომ პარტია ადგილებზე არ არსებობს, ის რომ მისახედია ამაზე, ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელია და სტრუქტურები ჩამოსაყალიბებელია, ფაქტია ხომ. იცით, მე ყველაფერს იმედით ვხვდები.

**— ოცნება მართლაც ნაციონალებით არის სავსე, ბატონო ომარ? ჯონდი ბაღათურიას თქმით, თქვენთან 80 % ნაციონალები არიან...**

— არა, არ არის ასე. ჯონდი ცოტა განაწყენებულია და ამიტომ აცხადებს ამას. სხვათა შორის, მე თავის დროზე ვთვლიდი, რომ კარგი იქნებოდა თუ ჯონდი ჩვენთან ერთად იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში ამით არაფერი დაშავდებოდა. ნაციონალების 80 % არა, მაგრამ 20 % შეიძლება მართლაც იყოს, ძირითადად რეგიონებში. და ის 20 % იმდენად აქტიურია, რომ შეიძლება გადაფაროს ის 80 %. ზედა თავი, კი ბატონო, გადავპარსეთ, ვთქვათ, მინისტრები და მათი მოადგილეები, მაგრამ საშუალო ფენა ვერა. სახელმწიფო უწყებებში უმრავლესობა, მართლაც ნაციონალები არიან. ამიტომ გვიჭირს და მივდივართ ასე ჭრიჭინით. რა საბოტაჟი არ არის? თქვენ ვერ ხედავთ, მე ვერ ვხედავ, ყევლა ხედავს ამას. ნებისმიერ სფეროში არის, რა თქმა უნდა.

**— ანუ ბევრი ქადაგიძეები გყავთ...**

—აი, ქადაგიძის ამბავი მე მკითხეთ, რომ მოვა ახლა იქ, რას დავმართებ ნახავთ. ჩვენ ვთქვით, რომ, ასე თუ ისე, უახლოეს ხანში შევხვდებით ეკონომიკურ გუნდსაც და ქადაგიძესაც. აი, იქ მე გამოვალ და რასაც ვიტყვი, ნახავთ. როგორ შეიძლებოდა ქადაგიძის ამ თანამდებობაზე დატოვება ? ჯერ ერთი, ის რად ღირს, რაც მან სტანდარტ ბანკს დამართა, მაგიდაზე შემომჯდარი დედას ამხობდა ყველას თავზე, ანგარიშებს აბარებინებდა სუყველას და როგორ გააკოტრა ის ბანკი. მერე ქართუ ბანკს რა გაუკეთა. ამიტომ როგორ შეიძლებოდა მისი იქ დატოვება, კაცო?! სხვათა შორის, მე რა მითხრეს იცით, შე, დალოცვილო, ესეც ბიძინას ხომ არ უნდა გაეკეთებინა, ან რამე მექანიზმი მოგეფიქრებინათ ან რაღაც გაგეკეთებინათ მისი იმპიჩმენტისთვისო. არ ამბობს სწორს? რა ყველაფერს მართლა ბატონი ბიძინა ხომ არ გააკეთებს. რაც ჩვენი გასაკეთებელია, ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა ხომ. როგორ შეიძლებოდა მისი მოთმენა ამ თანამდებობაზე, იქ კიდევ კონტროლის პალატა, კუბლაშვილი და ა.შ ამდენ ხანს მოვითმინეთ და გაუგებარია, რატომ ვითმენთ, რატომ!

**— რას უპირებთ ქადაგიძეს, იმპიჩმენტის საკითხი რეალობად იქცევა?**

— აი, ხომ გეუბნებით, მე პირადად ძალიან მკაცრი და კრიტიკული ვიქნები მის მიმართ. ვნახოთ რა იქნება. გეუბნებით, პირში მივახლი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ. მოდით, წინასწარ მეტს არაფერს ვიტყვი, თორემ აღარ მოვა.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# „ნაციონალი ლაშა თორდია დღეს კონტროლს უწესებს სამთავრობო უწყებებს, გესმით, ეს რას ნიშნავს? აგროვებს ინფორმაციებს და სააკაშვილსაც უგზავნის დასაარქივებლად“

**დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ლარის კატასტროფული ვარდნის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის მხრიდან საბოტაჟის ნიშნებს, რომ არ ჰქონოდა ადგილი. ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ნოდარ ჯავახიშვილი ირწმუნება, რომ გიორგი ქადაგიძე ზურაბ ადეიშვილის დავალებით მოქმედებდა. თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ ცოტა გაუგებარია, რატომ არ აყენებს საპარლამენტო უმრავლესობა ქადაგიძის იმპიჩმენტის საკითხს? ასევე საინტერესოა, „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რატომ არ დაატოვებინა პოსტები უზენაესი სასამართლოს ა.წ. უკვე ყოფილ თავჯდომარეს, ნაციონალ კოტე კუბლაშვილს, კონსტიტუციური სასამართლოს თავჯდომარეს, ნაციონალ გიორგი პაპუაშვილს და აუდიტის სამსახურის უფროსს, ნაციონალ ლაშა თორდიას? ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას ამ ადამიანების თანამდებობებიდან გადასაყენებლად შესაბამისი ინსტრუმენტები? „საერთო გაზეთი“ ამ საკითხებზე უფლებადამცველ გრიგოლ გაგნიძეს ესაუბრა.**

**გრიგოლ გაგნიძე:** — მინდა გითხრათ, რომ ნაციონალური მოძრაობა რომელ სახელმწიფო უწყებაშიც ინარჩუნებს პოზიციებს, რა თქმა უნდა, საბოტაჟს მოაწყობს. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ, ადგილი ჰქონდეს ვალუტის გადინებას ნაციონალების მიერ შექმნილ ბანკებში, ასევე მათ მიერ კონტრილირებად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და მევახშეების ხელში, რომლებმაც ძალიან ბევრი ადამიანი კაბალური ვალების გამო უსახლკაროდ დატოვა. ახლა ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგაწვდით, თურმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან ვიღაც-ვიღაცეებმა უმოქმედობის გამო მადლობაც კი შეუთვალეს ქადაგიძეს, ლარის თამაშის გამო მოგებები ვნახეთო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ხელისუფლებას დაბრალდება, დაისმება კითხვა, კი მაგრამ, თუ მოსაცილებელია ქადაგიძე, რატომ არ იცილებთო. მაგრამ აქ საქმე სულ სხვანაირადაა. კონსტიტუციით ეროვნული ბანკის თავმჯომარის დანიშვნისა და გაყენების უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს. ზემოთ ხსენებულის გარდა ქადაგიძის გადაყენება შესაძლებელია, მაშინ, თუ მის ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაული გამოიკვეთება. როგორც ვიცით ის არის მოხელე, და ვურჩევ, პროკურატურას სამოხელეო დანაშაულის ნიშნების კუთხით შეხედოს ამ საკითხს. თუ ექსპერტები დაადასტურებენ შეფასებებით, რომ აღნიშნული სავალუტო კრიზისი შექმნილი იყო რაღაც დოზით ქადაგიძის ან მისი მოადგილეების მხრიდან, რაც დანაშაულებრივ ქმედებებს ნიშნავს, ასევე თუ მოვიაზრებთ იმ რეალობას, რომ ნაცმოძრაობა ცდილობს დაასუსტოს ხელისუფლება და არ აინტერესებს ხელისუფლების დასუსტებით სახელმწიფო ზიანდება თუ არა, მაშინ ეს ორი რამ პირდაპირ შეიძლება ჩაჯდეს დანაშაულის შინაარსის განმარტებაში.

**— საპარლამენტო უმრავლესობასაც ხომ ხელეწიფება იმპიჩმენტის საკითხის დაყენება?**

— რაც შეეხება საპარლამენტო იმპიმენტს, ეს დროში გაწელილი პროცედურაა, თუმცა ასეა თუ ისე, მაინც უნდა დაიწყოს პარლამენტმა ამ საკითხის განხილვა. დიახ, იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგში უნდა დადგეს, თუმცა მანამდე დანაშაული უნდა დაუდგინდეს, ეს კი, პროკურატურამ უნდა დაადგინოს. და ჯერჯერობით, მხოლოდ ურთიერთ პრეტენზიებია. ვნახოთ, რა იქნება.

**— კუბლაშვილის, პაპუაშვილისა და თორდიას თანამდებობებიდან გადაყენების ინსტრუმენტი თუ ჰქონდა ხელისუფლებას?**

— რაც შეეხება კუბლაშვილს, ქალბატონი ეკა ბესელიას მხრიდან ისმოდა გარკვეული კითხვები მისი მისამართით. კერძოდ, თანამდებობაზე ყოფნისას კუბლაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა შემდეგ გადაცდომებს, მაგალითად: კონსტიტუციით დადგენილია სტანდარტი რა შემთხვევაში ინიშნება მოსამართლე თანამდებობაზე და რა შემთხვევაში არა. ჰოდა, გამოკვლეულია და ჩანს, რომ ორი მოსამართლის - ბესარიონ ალავიძისა და მაია გიგაურის დანიშვნისას ეს მოთხოვნები დაცული არ იყო. შესაბამისად, იუსტიციის საბჭოს ყველა იმ წევრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც მათ დანიშვნაზე თანხმობა მისცა, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს ა.წ. უკვე ყოფილ თავმჯდომარეზეც უნდა იყოს საუბარი, რომელმაც თანხმობა განაცხადა, რომ არაუფლებამოსილი პირი დამტკიცებულიყო ასეთ მაღალ თანამდებობაზე, აცხადებდა, ბესელია. მართალია კუბლაშვილს იმ პერიოდში გარკვეული იმუნიტეტი იცავდა, მაგრამ დღეს ხომ აღარ იცავს? ასე რომ, დასკვნა მკითხველისთვის მომინდვია.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ცხოვრობს სახლში, რომელიც მოქალაქე, როლანდ ბლადაძეს უკანონოდ ჩამოართვეს. საქმე ეხება შემთხვევას, რომლის ისტორიაც, ფართო საზოგადოების წინაშე, ერთ-ერთი ორგანიზაციის კვლევის შედეგად პირველად გახდა ცნობილი. განხორციელებული მონიტორინგი გადმოსცემს როლანდ ბლადაძის საქმეს, რომელიც იმ პირთა შორის აღმოჩნდა, ვისაც ქონება ნების საწინააღმდეგოდ 2004 წელს წაართვეს, ხოლო 2007 წელს ექს-პრეზიდენტმა, სააკაშვილმა ჩამორთმეული ქონება სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცა. პაპუაშვილს ვიდრე იგი არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იცავს კონსტიტიციური კანონი. მისი დაკავება შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ, უშუალოდ დანაშაულზე წასწრებისას. ზევით ხსენებული მაგალითი, ვფიქრობ, არის ტიპიური ნიმუში და გამოძახილი სააკაშვილის რეჟიმის ელიტარული კორუფციული მაგალითისა. ვფიქრობ, ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ ხომ არ მოხდა კორუფციული გარიგებები სააკაშვილსა და პაპუაშვილს შორის, რაც შესაძლოა გახდეს მინიმუმ მისი თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი.

რაც შეეხება აუდიტის სამსახურს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი გაკვირვებას ვერ მალავს, აინტერესებს, რა პრივილეგიას და პატივისცემას იმსახურებს პატივცემული ლაშა თორდია, რომ ამ თანამდებობაზეა. ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ნაცმოძრაობის აქტიური წევრი, ადამიანის უფლებებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარე იყო. მე მასთან შელაპარაკებაც კი მომივიდა საპარლამენტო ტრიბუნიდან კომიტეტის სხდომაზე 2010-11 წლებში, როდესაც უფლებადამცველები ვიძახდით, რომ საპატიმროებში ხალხი იხოცებოდა. და ეს ადამიანი დღეს კონტროლს უწესებს სამთავრობო უწყებებს, აგროვებს ინფორმაციებს და ვინ იცის, სააკაშვილსაც უგზავნის ალბათ, დასაარქივებლად. ჩემამდე არ დადის, რატომ არ ხდება ამ უწყების გადახალისება და ჩანაცვლება ახალი კარდებით. ძირითადად ნაცმოძის აქტიური იურისტების გუნდი მუშაობს მაგ სამსახურში. ვეკითხები ხელისუფლებას, რა გარანტია გაქვთ, რომ მათ მიერ ჩატარებული შემოწმებები რამდენიმე წლის შემდეგ სანანებელი არ გაგიხდებათ?








**გრიგოლ გაგნიძე: ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგაწვდით, თურმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მადლობაც კი შეუთვალეს ქადაგიძეს, ლარის თამაშის გამო მოგებები ვნახეთო.**

**„საერთო გაზეთი“, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, გია ვოლსკის დაუკავშირდა.**

**— ბატონო გია, თქვენი თანაგუნდელი დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ უახლოეს ხანში დადგება გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტში, ასეა?**

— არ არის ასე, ასეთი თემა დღის წესრიგში არ დგას, თუმცა იმის ღრმად განხილვას ვაპირებთ, თუ რა მოხდა საერთოდ და რამდენად ადეკვატურად იმოქმედა ეროვნულმა ბანკმა. მაგრამ ვიმეორებ, იმპიჩმენტზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

**— და არც დადგება გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტში?**

— ვიმეორებ, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

**— რაც ხელისუფლებაში მოხვედით, რატომ არ გადააყენეთ თანამდებობებიდან კუბლაშვილი, პაპუაშვილი და თორდია? უფლებადამცველ გრიგოლ გაგნიძის განცხადებით, გარკვეული სირთულეების მიუხედავად ეს შესაძლებელია...**

— ასე ადვილად არ ხდება ეს. ნუ შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხი დადგება თუ არა, იქვე, ადგილზე გადაწყდება. ამას აქვს თავის კონსტიტუციური ნორმები და ჩვენ სამართლებრივი ნორმებიდან გასვლა არ გვინდა. დიახ, ხელის ამოტრიალებითა და ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება არ გვსურს. ყველაფერი ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად მიდის განვითარებისკენ. კუბლაშვილს რაც შეეხება, მოვიდა მისი თანამდებობიდან წასვლის ვადა და წავიდა. თქვენ წარმოიდგინეთ, წასვლამდე, რომ ეს თემა დაგვეყენებინა რა ამბავი ატყდებოდა. ეს საკითხი დებატების, კრიტიკის, უამრავი განხილვისა და სკანდალის ატმოსფეროში გახვეული თემა გახდებოდა. ასე რომ, ძალიან სწორი იყო ის მოქმედება, რაც ჩვენ ავირჩიეთ.

**— მაშ, რაღატომ გიკვირთ საბოტაჟის ნიშნები, რომ იკვეთება ხოლმე? არ თვლით, რომ ამ ადამაინების შენარჩუნებამ დაგაზიანათ?**

— მე მგონი, ამაზე უფრო დეტალურად საბანკო საქმისა და ფინანსური საკითხების ექსპერტებმა უნდა ისაუბრონ. განხილვა ამ საკითხის შეიძლება, თუმცა იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. დამთავრდა ეს საკითხი, სხვა რა გაინტერესებთ?

**— ორიოდე სიტყვით, ნაციონალების მიერ დაანონსებულ 21 მარტის აქციაზე გვითხარით თქვენი აზრი, რა მოლოდინები გაქვთ?**

— არეულობას ან რაიმე მსგავს ნამდვილად არ ველოდები. ვფიქრობ, იმის სიბრძნე ეყოფა ქართულ საზოგადოებას, რომ ნაციონალური მოძრაობის დაძახილზე არ გავიდეს გარეთ. თუმცა აუცილებელია, რომ მთავრობამ უახლოეს პერიოდში წარმოადგინოს გეგმა, კონკრეტული ქმედებები, თუმცა ეს აქციასთან კავშირში არ არის. მაშინ, როდესაც მუშაობაა საჭირო, სტაბილურობაა საჭირო, სიმტკიცეა საჭირო, იმიტომ, რომ ძალიან რთული პროცესები მიდის საქართველოს გარშემო, ამღვრეულ წყალში თავისთვის სასარგებლო თევზის დაჭერა სურთ ამ ბატონებს, თუმცა არაფერი გამოუვათ, აი, ეს არის.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

# როდის დაინტერესდება ხელისუფლება შპს „მექანიზატორში“ გამეფებული განუკითხაობით?

„ქართულმა ოცნებამ“ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გარკვეული თანხებიც გამოყო ამ დარგის ასაღორძინებლად. ამას ემსახურებოდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც სოფლად მცხოვრებთ ვაუჩერებიც დაურიგდა. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ხსენებული პროგრამა 2016 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ხელისუფლების ამ ინიციატივამ დადებითი შედეგი გამოიღო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების დიდი ნაწილი დამუშავდა და ეს პროცესი შემდგომშიც დიდი ინტენსივობით გაგრძელდება, თუკი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან იქნება სათანადო ხელშეწყობა. როგორც ირკვევა, ხელშეწყობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პროფესიონალთა განცხადებით, თუ მიწის სწორი და დროული დამუშავება არ მოხდა, სახელმწიფოს მიერ დარგის განსავითარებლად გამოყოფილი ფინანსები წყალში გადაყრილია. მიწის სათანადოდ დამუშავება კი მექანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომელიც სოფლის მეურნეობის მთავარი მამოძრავებელ ძალად ითვლება, მაგრამ საკითხავია რა ვითარებაა ამ სფეროში.

ზემოხსენებული პროგრამის განხორციელება შპს „მექანიზატორის“ უშუალო მოვალეობაა, რომლის მფლობელი და დამფინანსებელიც სახელმწიფოა. ოფიციალური ინფორმაციით, გარდა პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისა, „მექანიზატორი“ აქტიურად ეხმარება ფერმერებს და გლეხებს, მათ ხვნის გარდა მიწის დამუშავების 78 აგროოპერაციასაც სთავაზობს.

შპს „მექანიზატორის“ ბიზნესკატალოგში ვკითხულობთ, რომ შპს-ს საქმიანობის სფერო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებაა, ხოლო ეროვნული კლასიფიკატორები - სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების რემონტი. ჩვენი ინფორმაციით, „მექანიზატორს“ ყველა რეგიონში აქვს სერვისცენტრი, სადაც განთავსებული ყოფილა „ლიბერთიბანკის“ ე.წ. ოფისებიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების მსურველთ ადგილზევე შეუძლიათ გადაიხადონ ტექნიკის მომსახურეობის და მისი ტრანსპორტირების თანხაც. შპს „მექანიზატორი“ თურმე კლიენტების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის, შესაბამისად შემოსული თანხების ნაკლებობასაც. სანდო წყაროს ცნობით, ნაცრეჟიმის დროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ფაქტობრივად გაჩერებული იყო, რადგან გლეხობას მომსახურეობის სიძვირის გამო, მისი დაქირავება არ შეეძლო, ძირითადად „ბობოლა“ ნაციონალები სარგებლობდნენ ამ „ძვირი სიამოვნებით“, თუმცა იხდიდნენ თუ არა მომსახურეობის თანხას, ვერაფერს მოგახსენებთ. ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ „მექანიზატორის“ (იგი ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდშია დაფუძნებული) შემოსავლები საგრძნობლად გაზრდილა, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად მიზანმიმართულად ხარჯავს ეს კანტორა გაზრდილ შემოსავლებს. მოგეხსენებათ, „მექანიზატორის“ გამოისობით, დაახლოებით ორი წლის წინ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დიდ სკანდალში გაეხვა, საქმე ეხებოდა ტრაქტორების შესყიდვის ტენდერს, რა დროსაც დააკავეს, როგორც „მექანიზატორის“, ისე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, რასაც საბოლოო ჯამში მინისტრ კირვალიძის გადადგომა მოჰყვა. მოგვიანებით მთავარ პროკურატურამ თავად გაითხოვა საქმე სასამართლოდან, თუმცა მიზეზებზე ღიად არ უსაუბრიათ. ამ თემაზე საუბრით თავს არც ჩვენ შეგაწყენთ, მით უმეტეს, რომ წინამდებარე სტატია სხვა არანაკლებ საჭირბოროტო საკითხებს ეხება. როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა, სანდო წყარომ აცნობა, **არ არის გამორიცხული, რომ წლევანდელი საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა ჩავარდეს, რაშიც სავარაუდოდ დიდი „წვლილი“ შპს „მექანიზატორს“ მიუძღვის**.

როგორ უაზროდ იხარჯებოდა სერიოზული ფინანსები ნაციონალების მმართველობისას სოფლის მეურნეობის სფეროში, რაც თურმე დღესაც გრძელდება თუნდაც შპს „მექანიზატორის“ მაგალითზე, როგორ არ უხდიან თვეობით ხელფასებს ტრაქტორისტებს, რომლებსაც ახლა ოპერატორებად მოიხსენიებენ, ასევე სერვისცენტერების უფროსებსა და მენეჯერებს (ბრიგადირი) რესპოდენტები გვესაუბრნენ, რომელთაც ამ ეტაპზე ვინაობის საჯარო გამხელისგან თავი შეიკავეს.

წყაროს ინფორმაციით, „მექანიზატორი“ ძირითადად ისევ ნაციონალების დროინდელი არაპროფესიონალი კადრებით არის დაკომპლექტებული, იგივე ითქმის შპს-ს ხელმძღვანელ ზვიად ჩხაიძეზეც, რომელსაც ეს თანამდებობა ნახუცრიშვილის დაჭერის შემდეგ დაუკავებია. ჩხაიძე მანამდე ნახუცრიშვილის მოადგილე ყოფილა. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, ჩხაიძისა და მისი მოადგილეების „გასამრჯელო“ 4000-4500 ლარს უტოლდება. დანარჩენი კონტიგენტის ხელფასებიც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში 800 ლარზე ნაკლებს არავინ იღებს, თანაც დაუგვიანებლად. ამას ემატება მათი უცხოეთში ჯგუფური „ვოიაჟებიც“, არაფრისმომცემი მივლინებები ამერიკაში, იტალიასა და ჩეხეთში, „ვიზიტორების“ მთავარი მიზანი იქ გართობაა, რადგან თითქმის ყველა მექანიზაციასთან მწყრალად ყოფილა. „მექანიზატორელთა“ სამივლინებო მარშრუტში ეს ქვეყნები შემთხვევით არ მოხვედრილან, სატრაქტორო პარკი ხომ ამერიკული „ჯონდერებით“, იტალიური „ნიუ ჰოლანდებითა“ (რომლებიც სინამდვილეში თურქეთშია წარმოებული), ჩეხური „ზეტორებითაა“ დაკომპლექტებული და „სპეციალისტებმა“ გადამზადება მწარმოებელ ქვეყნებში უნდა გაიარონ. ქარხანა-დამამზადებლები ამ მიზნით სწორედ სპეციალისტების, ზეინკლების ჩასვლას ითხოვენ, თუმცა მათ მაგივრად შპს-ს ხელმძღვანელობა და აპარატის სხვა წარმომადგენლები სტუმრობენ. გასულ წელს ამ მიზნით მართლაც წაუყვანიათ „მექანიზატორის“ შეფებს ორი სპეციალისტი ჩეხეთში, რომლებმაც იქ მომზადება გაიარეს, თუმცა დაახლოებით ორ თვეში ორივე გაათავისუფლეს იმ მოტივით, ფული არ გვაქვს და ხელფასს ვერ გადაგიხდითო. აბა ფული საიდან ექნებოდათ, როცა სწორედ ამ დროს შეუძენიათ კომბაინის გადასატანად ძვირადღირებული ლაფეტები. მერე, როგორც ჩანს შეფობა თავადვე მიხვდა, რომ სპეციალისტების გარეშე ფონს ვერ გავიდოდნენ და ორივე უკან დაუბრუნებიათ მაცდუნებელი შეთავაზებით, ახლა გაცილებით მაღალი ხელფასი გექნებათო, თუმცა ორ თვეზე მეტია მათთვის ხელფასი არც ამჯერად გადაუხდიათ.

„მექანიზატორს“ უამრავი ისეთი ტექნიკაც ჰქონია უცხოეთიდან შემოყვანილი, რომელიც არაფერში ჭირდებათ, რომ არაფერი ვთქვათ მათ ხარისხზე. სერვისცენტრები სავსე ყოფილა ამგვარი ტექნიკით. გამოუსადეგარი ტექნიკა შეძენილია, როგორც ნაცრეჟიმის, ისე ახალი ხელისუფლების პირობებშიც. „მექანიზატორიდან“ გამოჟონილი ინფორმაციით, გასული წლის შემოდგომაზე თურქეთში შეუძენიათ სამი ერთეული ხსენებული ლაფეტი, თითოეულ მათგანში 80.000 ევრო ყოფილა გადახდილი, რომლებიც ყოვლად გამოუსადეგარია. ხსენებული ლაფეტები გარდა იმისა, რომ ძალზე დიდი მოცულობისაა და გადაადგილება უჭირს, საერთოდ არ ყოფილა კომბაინის ევაკუაციისთვის გათვლილი. ერთი წლით ადრე შეუძენიათ ლაფეტის გამწევი ორი სპეცავტომანქანაც, სავარაუდოდ „მანის“ მარკის, რომელთაგან ერთი მალევე გაფუჭდა და ერთ წელზე მეტია უმოქმედოდ დგას („მანის“ მარკის ე.წ. ტიაგაჩი ნორმალურ მდგომარეობაში 150. 000 ევროზე მეტი ღირს - მ.ს.), როგორც ჩანს ისინი უკვე ამორტიზებული იყო, თუმცა თითოეულ მათგანშიც სავარაუდოდ 130.000 ევროა გადახდილი. ეს მანქანებიც არაფერში ჭირდებოდათ, მაგრამ თუ მაინც ყიდულობდნენ საქართველოში გაცილებით იაფად შეეძლოთ მათი შეძენაო. პროფესიონალთა აზრით, სულ არ არის საჭირო კომბაინების ლიხის ქედს გაღმა-გამოღმა ტარება, დასავლეთ საქართველოს მხოლოდ სიმინდის ამღები კომბაინია საჭირო, რამდენიმე ასეთი კომბაინი იქ ისედაც ყავთ და რატომღაც გამოასეირნებენ ხოლმე რიკოთის გვირაბს აქეთ, სადაც ნამდვილად არ არის იმხელა სიმინდის ყანები რომ რამდენიმე კომბაინი დაჭირდეთ. როცა სერვიცენტრების თანამშრომლებს ხელფასებს, ხოლო კონტრაქტორ ფირმებს, რომლებიც შენი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებას აწარმოებენ, შესრულებული სამუშაოს ღირებულებას უფულობის მომიზეზებით თვეობით არ უხდი და ამ დროს ყიდულობ გამოუსადეგარ, ძვირადღირებულ ლაფეტებს, თანაც ხვნის პერიოდში, ამ საქციელს რა ჰქვია, თუ არა საბოტაჟი? ამ თანხით (სავარაუდოდ 240.000 ევრო) შეეძლოთ ტრაქტორის და მისი მისაბმელის მარაგნაწილები და საწვავ-საპოხი მასალები ეყიდათ, რაც ჰაერივით არის საჭირო ხვნა-თესვის დროს. რა რაოდენობის გუთნებიც აქვთ, იმ რაოდენობის სახნისები და ელემენტარული ქანჩი და ჭანჭიკიც კი არ ჰქონია „მექანიზატორს“. მიწას მოხვნის შემდეგ კულტივაცია (გაფხვიერება) ჭირდება, იმხელა მოცულობის კულტივატორები იყიდეს, ვერცერთი ტრაქტორი ვერ იბამს და ესენიც უმოქმედოდ დგას და ჟანგდება, დასავლეთ საქართველოში ისეთი ტექნიკა შეიყვანეს, რომელიც ამ რეგიონს არაფერში ჭირდება, სერვისცენტრებში გაუნძრევლად დგას და იძარცვება, ერთი სიტყვით ეს ახალი ტექნიკა უკვე ჯართში ჩასაბარებლადაა გამზადებული. ბევრი აგრეგატის ადგილზე წარმოება შეიძლება, უფრო იაფიც დაჯდება და ხალხიც დასაქმდება, მაგრამ „მექანიზატორი“ მათ თურქეთიდან უხარისხო ტექნიკის იმპორტს ამჯობინებს, რადგან, როგორც ჩანს ამ დროს „ატკატის“ სახით უფრო მეტი ფული „ტყდება“.




რატომ ემუქრება ზემოხსენებულ სახელმწიფო პროგრამას ჩავარდნა, რისი ნიშნებიც უკვე გამოკვეთილია? „მექანიზატორს“ მფლობელობაში 1300 ტრაქტორი ყავს, რომელთაგან 500-იც კი არ მუშაობს, დანარჩენები მიზანმიმართულად, უყურადღებობის გამო ყოფილა გაფუჭებული. ტრაქტორი 500 მოტოსაათს რომ იმუშავებს, ზეთი აუცილებლად უნდა შეიცვალოს, არადა 2000-3000 მოტოსაათი აქვთ ნამუშევარი და ზეთის შეცვლა არ მომხდარა, პირდაპირ ამატებენ სისტემაში ზეთს, თანაც უხარისხოს, რომელიც აზიანებს ძრავსა და გადაცემათა კოლოფს. შემდეგ ამ ტრაქტორს შეკეთებას აღარ უტარებენ და ისიც იძარცვება, მის მარაგნაწილებს სხვა ტრაქტორებზე იყენებენ. რესპოდენტებმა ერთი კურიოზული შემთხვევაც გაიხსენეს, ერთ-ერთ სერვისცენტრში ტრაქტორს ძრავი და გადაცემათა კოლოფი აქვს დაზიანებული, ექვსი თვეა ვერ არემონტებენ, რადგან მარაგნაწილები არ აქვთ, ამ დროს ჩამოდის „მექანიზატორის“ შემკეთებელთა ბრიგადა და ამ ტრაქტორს სამუხრუჭე ხუნდებს უცვლის, ხელმძღვანელობამ დაგვავალაო. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ აქ ეტყობა მარტო არაპროფესიონალიზმის პრობლემასთან არ გვაქვს საქმე, „მექანიზატორს“ თავად ჰქონია შესყიდული უხარისხო სამუხრუჭე ხუნდები, რომლის გასაღებაც უნდათო. ხშირი ყოფილა იაფფასიანი, უხარისხო საწვავის გამოყენებაც, რაც ცხადია, ძალზე უარყოფითად მოქმედებს ტრაქტორის ტექნიკურ მდგომარეობაზე. შემდგომში „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობა ტრაქტორისტებს აბრალებს უხარისხო ზეთისა და საწვავის გამოყენებას. „მექანიზატორს“ ფავორიტი კონტრაქტორებიც ყოლია, რომლებსაც შესრულებულ სამუშაოების ღირებულებას დაუგვიანებლად უნაზღაურებენ, მათი მომსახურების ხარისხზე რა მოგახსენოთ. მათი მომსახურებაც ძვირი ჯდება, იაფფასიანი მარაგნაწილის მისაღებად სერვისცენტრის წარმომადგენლებს (კახეთიდან იქნება თუ დასავლეთ საქართველოდან) აიძულებენ, რომ მაინც და მაინც კონტრაქტორის სათავო ოფისში, თბილისში ჩამოვიდეს, რა დროსაც ტრანსპორტირება ათმაგად ძვირი ჯდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრაქტორისტებსა და სერვიცენტრების წარმომადგენლებს თვეობით არ უხდიან ხელფასს, ერთ-ერთი კახელი ტრაქტორისტის განცხადებით, სამ თვეზე მეტია ხელფასი არ მიუღია. ახლა ხვნა-თესვის პერიოდია, ეს ხალხი ჭირდებათ და ნაწილ-ნაწილ უხდიან გასამრჯელოს, როგორც კი ხვნა-თესვა დამთავრდება, ალბათ მათი ხელფასებიც კვლავ „გაიყინება“. ტრაქტორისტებს თურმე თავად უშვებდა ხელმძღვანელობა კერძო სამუშაოზე, მაგრამ როცა სამართალდამცავები დაინტერესდნენ რატომ არ უტოლდებოდა შესრულებული სამუშაოსა და მომსახურეობიდან შემოსული თანხების ოდენობა ერთმანეთს, ხელმძღვანელობას პილატესავით ხელები დაუბანია, თითქოს არაფერი იცოდნენ, ყველაფერი ტრაქტორისტებსა და მენეჯერებს დაბრალდა, მათ უშვებენ სამსახურიდან, იჭერენ და ფულის დაბრუნებას თხოვენ. სერვისცენტრებს ხშირ-ხშირად რომ ადგებოდნენ თავზე, რა დროსაც ძვირფას სუფრებს უშლიდნენ, საიდან ჰქონდათ მასპინძლებს ამდენი ფული ვითომ არ იცოდნენო? ახლა ტრაქტორებს ახალ „ჩიპებს“ უყენებენ, ვითომ კონტროლზე აყავთ ტრაქტორისტები და მენეჯერები, მაგრამ აქაც ფინანსების უაზრო ხარჯვაა, „ჩიპების“ დაყენება და მომსახურება ძვირი სიამოვნებაა, ტრაქტორის ტექნიკურ მდგომარეობაზეც ცუდად მოქმედებს, თანაც ზუსტ ინფორმაციას მაინც ვერ მიიღებენ. ეს ყველაფერი ისევ ტრაქტორისტის კისერზე გადადის, რადგან ფაქტობრივად ის ინახავს შპს „მექანიზატორს“. თანხების ასე უაზრო ფლანგვას, ჯობს თავად ტრაქტორისტს გადაუხადონ მაღალი ხელფასი და მას „ხალტურისკენ“ თვალი არ გაექცევა, ყოველგვარი „ჩიპის“ გარეშეც უპრობლემოდ შეიძლება შესრულებული სამუშაოს გაკონტროლება, მთავარია ამ სფეროში დარგის სპეციალისტები მუშაობდნენ და არა პარტიული ნიშნით შერჩეული უცოდინარი კადრებიო. ერთი სიტყვით, მთავრობამ კი გამოყო სერიოზული ფინანსები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, მაგრამ მთავარია ვის ხელში ხვდება ეს ფული, არიან კი ის ადამიანები მოწოდებული, რომ სახელმწიფოსთვის სასიკეთო საქმე გააკეთდეს. ამ ყველაფერს მთავრობის მხრიდან კონტროლი ჭირდება, იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სამსახურები ახლა მაინც დაინტერესდებიან, რასთან გვაქვს საქმე და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევენ.

**მანანა სუხიშვილი**

# იოსებ არჩვაძე:

## ქართველი უცხოეთიდან საქართველოში რომ დარეკავს და აქ ქართულად უპასუხებენ, ჰგონია, რომ ეს მარადიულად ასე იქნება, თუმცა, შეიძლება, ერთხელაც დარეკოს და ტელეფონზე არაქართულად უპასუხონ!

**„საერთო გაზეთის“ კითხვებს პასუხობს ეკონომისტი ბატონ იოსებ არჩვაძე.**

**— ბატონო იოსებ, ლარის კურსის ვარდნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული პრობლემები წარმოქმნა. მიზეზები ბევრია, როგორც ეროვნული ბანკის მხრიდან, ასევე არსებობს სხვა ფაქტორებიც.**

— ქართული ფოლკლორში არსებული თქმულების მიხედვით, ქვეყნიერება სამ ვეშაპზე დგას. სამი „ვეშაპი“ ეკონომიკაში არის საგადამხდელო ბალანსი, უცხოური ინვესტიციები და ექსპორტი.

თუ ესენი იზრდება იმაზე მეტი ტემპით, ვიდრე ეკონომიკური ზრდაა, მაშინ სავალუტო წონასწორობა ნარჩუნდება. ცხადია, ფორსმაჟორულ გარემოებებს, საომარ საფრთხეებს და მსგავს მოვლენებს არ ვგულისხმობ.

სავაჭრო ბალანსთან მიმართებაში მძიმე მდგომარეობაა. სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის იზრდება იმპორტის სასარგებლოდ.

ექსპორტ-იმპორტს შორის დღეს არსებული სხვაობა ისეთი დიდია, რამდენიც იყო ჩვენი ქვეყნის შიდა პროდუქტი ჯერ კიდევ 2004-05 წლებში.

**— მიზეზები რა არის?**

— ჩვენ ექსპორტში შეგვაქვს რეექსპორტის მონაცემებიც. კერძოდ, უცხოეთიდან შემოგვყავდა მანქანები და წლების განავლობაში ვყიდდით შუა აზიაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ამით ხელოვნურად იზრდებოდა ჩვენი ექსპორტის მაჩვენებელი, რომელიც სინამდვილეში არა ექსპორტი, არამედ რეექსპორტი იყო.

მოგეხსენებათ, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ავტომობილების ექსპორტმა ჯართის ექსპორტი ჩაანაცვლა. ახლა ესეც კარგავს აქტუალობას.

ადგილობრივი წარმოების პროდუქციის, ნეტოექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი იმპორტიორი უკრაინა და რუსეთი იყო. ეს ქვეყნები აგროსასურსათო პროდუქციის მსხვილი იმპორტიორები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა-რუსეთის მოვლენებმა მკვეთრად შეამცირა ჩვენი ექსპორტი.

იანვარში რუსეთში ექსპორტი შემცირდა 3-ჯერ, უკრაინაში 4, 04-ჯერ. დამეთანხმებით, საგრძნობი თანაფარდობაა.

**— ინვესტიციების მხრივ რა ხდება?**

— ინვესტიციები არ შემცირებულა, შეიძლება ითქვას, გაიზარდა კიდეც, თუმცა, რადგან ეკონომიკას მეტი მოთხოვნილება აქვს, ეს უკვე რეალურ გავლენას ვეღარ ახდენს.

ფულადი გზავნილები შემცირებულია და მოსალოდნელია კიდევ მეტად შემცირება.

გასული წლის აგვისტოს შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, უფრო და უფრო კლებულობს ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში.

თუმცა გააქტიურდა ახალი ტენდენცია — მცირდება გადმოგზავნები რუსეთიდან და იზრდება საქართველოდან გასული თანხის მოცულობა.

ევროს ღირებულებაც დაეცა, რაც კიდევ ერთი ფაქტორი გახდა ლარის დევალვაციის.

**— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

— ჩვენ შეგვიძლია უფრო კრიტიკულები ვიყოთ ხელისუფლების მიმართ, მოვთხოვოთ მათ მეტი, რაც ჩვენში ექსპორტს წახალისებას გარკვეულ სტიმულს მისცემდა, ვთქვათ, გადასახადებზე შეღავათების დაწესება, სტიმულირება, დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტების ამოქმედება, რომელიც ჩვენს ექსპორტს გაზრდიდა, მაგრამ რეალობა არის ის, რაც არის.

შეიძლება ისაუბრო ბანკის პოლიტიკაზე, მაგრამ მთავრობას ვერ დაადანაშაულებ.

თუმცა ხელისუფლებაში კომპეტენტურობის პრობლემა არის, ხელისუფლება,



საჭადრაკო ტერმინი რომ გამოვიყენოთ, პირველთანრიგოსნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნაციონალების დროს სხვაგვარად იყო. გახსოვთ, მიხეილ სვიმონიშვილს რომ უთხრა სააკაშვილმა: მიხო, დაქოქე ტრაქტორი. ანუ მე ვიტყვი და უნდა ასრულდესო. ავტორიტარულ ფორმასთან ერთად, ამას თავისი პოზიტივიც აქვს. მცირდება დრო გადაწყვეტილების მიღებიდან რეალურ ამოქმედებამდე. დღევანდელ შემთხვევაში, იკარგება დრო, რომელსაც მატერიალური ფასეულობა გააჩნია.



**— ამასობაში სავალუტო ფონდი გააქტიურდა.**

— სავალუტო ფონდი „მუდამ“ ჩვენთანაა.

მისი ფუნქცია არის ქვეყანაში იყოს ფინანსური სტაბილურობა, ინფლაციაზე კონტროლი და ა.შ. სხვა პრობლემები ნაკლებად აინტერესებთ. დგება საკითხი — რა პრიორიტეტები გააჩნია ჩვენს ხელისუფლებას და პირველ რიგში, საზოგადოებას. რისი მოლოდინები აქვს. რას გვინდა რომ მივაღწიოთ — ეკონომიკურ ზრდას თუ დაბალ ინფლაციას?! დაბალი ინფლაცია ხშირად ხელისშემშლელი ფაქტორიცაა ეკონომიკური ზრდის პროცესში.

მოსახლეობას, ზოგადად, ინფლაციის პროცესი უფრო აღელვებს, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია — ოთხმილიონიან ქვეყანაში გარანტირებული სამუშაო 600 000-ზე ოდნავ მეტ ადამიანს აქვს. აქედან 40%-მდე სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული — პოლიცია-ძალოვანი სტრუქტურები, პროფესორ-მასწავლებლები... საბაზრო ეკონომიკის პრინციპით იმართება ქვეყანა უკვე მეოთხედი საუკუნეა და ყველაზე სუსტი რგოლი საბაზრო ეკონომიკის დღემდე არის შრომის ბაზარი.

საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმებული მოქალაქეები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ქვეყნის შიგნით. 700-800 000-მდე ადამიანია დასაქმებული ქვეყნის გარეთ და ქვეყანაში 600 000-ზე ოდნავ მეტი. ესეც არის მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ინდიფერენტულია იმაზე ეკონომიკური ზრდა 2%-იანი იქნება თუ 1% და შიშით უყურებს ვალუტის კურსს. ფიქრობს: ლარი თუ დაეცა დოლართან მიმართებაში, საღამოთი ბენზინი გაძვირდება, დილით წამლები, ორ დღეში პური და ა. შ. ფიგურალურად მოგახსენებთ, მაგრამ ასეა. ანუ ვალუტის კურსი მის ცხოვრებაზე უფრო თვალშისაცემ გავლენას ახდენს, პირდაპირ კორელაციას ვერ ხედავენ ეკონომიკურ ზრდასა და საკუთარ მდგომარეობას შორის.

ასეთ სიტუაციაში ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ორ ცეცხლს შუა არიან. არ იციან, რა გააკეთონ — იზრუნონ ეკონომიკურ ზრდაზე თუ ინფლაციის დათრგუნვაზე. ორივე ერთად კი შეუძლებელია. საჭიროა ლავირება და მეტი გულწრფელობა საზოგადოების წინაშე. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება იმ პრობლემების თანამონაწილეა, რაც მის ზურგზე გადადის. ამიტომ ხელისუფლების მიერ მიღებულ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს გაგებით მოეკიდება.

გაიხსენეთ ინგლისის დედოფლის მაგალითი, ომის დროს რომ ბუხარს არ ანთებდა.

**— ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა: უარი ვთქვათ რბილი ავეჯის შეძენაზეო...**

**რას ნიშნავს ეს, ხელისუფლება ვერ გრძნობს რეალურად იმ საშიშროებებს, რაც ქვეყნის წინაშე დგას?**

— ის, რაც დღეს ხდება, არ არის მხოლოდ ამ ხელისუფლების დანაშაული. მოსახლეობა ნელ-ნელა გალატაკდა 25 წლის განმავლობაში და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს. ამ ინსტიტუტებზე პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკი და ყველაფერი მათი რეკომენდაციების საფუძველზე ხდება.

ჩვენი ქვეყანა, რომელიც მანამდე მეტნაკლებად ეგალიტარული იყო, დღეს ყველანაირი ბალანსი დარღვეულია. თუ ფულადი ფორმით ავიღებთ, უფრო კატასტროფული ვითარებაა. ამიტომაც ვერ იქმნება მყარი სამოქალაქო საზოგადოება. აქ ადამიანებს აერთიანებთ მხოლოდ ქვეყნის საერთო მოქალაქეობა.

ზემოთ ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია ქვეყნიდან სწორედ ეკონომიკური თანაფარდობის რღვევის გამო, რაც საბოლოო ჯამში, ე. წ. „რბილ გენოციდს“ ნიშნავს, რადგან, როდესაც ერი ერთ სივრცეში არ იმყოფება და უწევს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განფენილობა, ყოველგვარი ურთიერთკავშირი სუსტდება, ხდება ეროვნული თვითმყოფადობის დევალვაცია — ყოფითი და ყოველდღიურობის პრობლემები გამოდის წინა პლანზე. ეს სერიოზული გამოწვევაა პატარა ქვეყნისთვის და მით უმეტეს, საქართველოსთვის.

**— ხსნის გზებს ხედავთ, ბატონო სოსო?**

— მე ხელისუფლების კომპეტენტურობა ვახსენე, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. თუმცა აუცილებელი კია. შეიძლება ბანალური ვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, აუცილებელია სიყვარულის განცდა. განსაკუთრებული შეგრძნებები საერთო წარსულისა და საერთო ფესვებისადმი. პასუხისმგებელი უნდა იყო იმაზე, როგორ შედეგს გამოიღებს შენი ქმედებები. შეიძლება ვინმე კომპეტენტური იყოს, მაგრამ ამ შეგრძნებების უქონლობის გამო მეტი ზიანი მოუტანოს ქვეყანას.

**ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება პროფესიონალური, კომპეტენტური, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი და ამავე დროს საკუთარი ქვეყნის მოყვარული და პატრიოტი.**

ლევან გოთუა, სერგო ზაქარიაძე და თუ სწორად მახსოვს, არჩილ კერესელიძე ყოფილან მთებში, დაღამებიათ და კარავი გაუშლიათ. მოულოდნელად წვიმა წამოსულა და კარავში მყოფები სულ დაუსველებია. ლევან გოთუას გაღიმებია და უთქვამს: არაუშავს, სამშობლოს წვიმით ვსველდებითო.

ასეთი განცდა, მგონი, უცხოა დღეს...

კიდევ ერთი პრობლემაა სომხებს და ებრაელებს აქვთ კიდევ ერთი რამ, რაც ჩვენ დაკარგული გვაქვს, ეს არის სამშობლოს დაკარგვის შიში.

ქართველი უცხოეთში რომ მიდის, საქართველოში რომ დარეკავს და აქ ქართულად უპასუხებენ, მას ჰგონია, რომ ეს მარადიულად ასე იქნება, თუმცა, შეიძლება, ერთხელაც დარეკოს და ტელეფონზე არაქართულად უპასუხონ! განგაშის ზარები არის დასარეკი! ყველას ეხება ეს და განსაკუთრებით ხელისუფლებას.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება №8, მარტი, 2015 წ.

# ახლა ამერიკელი ქართველის შექმნა უნდათ, რომელსაც არაფერი აინტერესებს — არც სამშობლო, არც დედა, არც მამა, ოღონდ თვითონ იყოს ბედნიერი!

გვესაუბრება მწერალი
**ელიზბარ ჯაველიძე:**



**— ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს ქვეყანაში ვითარება მრავალი კუთხით დაიძაბა, ხელისუფლება კი სიტუაციის განმუხტვას ვერ ახერხებს. როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას?**

— ქვეყნის და მისი გულშემატკივარი ადამიანების მთელი უბედურება იქედან იწყება, რომ ვერ გაგვიგია, საიდან იღებს სათავეს ჩვენი სამშობლოს წახდენა, ერის მოსპობა და გადაგვარება. ეს სისტემა უცხოეთში შემუშავდა და მიზნად მსოფლიოს ერთპოლუსიან სამყაროდ გადაკეთებას ისახავს, რაც დღესავით ნათელია. ეს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია და ბუნებრივია, ამ სამყაროს სათავეში აშშ წამოსკუპტება. ევროგაერთიანებები, ევროსაბჭო, ნატო, ყველაფერი ამ მიზნის აღსრულებას ემსახურება. საქართველოში, მიხეილ სააკაშვილის დამარცხება საგარეო ძალების სურვილი კი არ იყო, არამედ ანალიტიკოსები მიხვდნენ, თუ სააკაშვილის ხელისუფლების განდევნა არჩევნების გზით არ მოხდება, ეს რევოლუციას შობდა, ხალხი გარეთ გამოვიდოდა და რევოლუცია სწორედ იმ სისტემას დაანგრევდა, რომელიც საქართველოს დღემდე ანგრევს. ანუ, მოხდებოდა ნაციონალური ძალების პირწმინდა გაწმენდა. ყოველივეს გაანალიზების შედეგად პოლიტიკაში შემოსასვლელად მხარი უმწიკვლო წარსულის ადამიანს დაუჭირეს, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა. ბიძინა ივანიშვილი, თავად, უჩინარი იყო, მაგრამ მისი სახელი საქართველოში, როგორც უდიდესი ქველმოქმედის, ყველასთვის ცნობილი იყო. პირადად, მე, მაინტერესებდა თუნდაც მისი სურათის ნახვა. ასეთი ქველმოქმედი საქართველოს ისტორიას არ ჰყოლია და ამაზე არავინ მეკამათოს. მაგრამ მას ეგონა, რომ პოლიტიკაში მოსვლისთანავე თავის სიტყვას იტყოდა, ყველაფერს ისე წარმართავდა, როგორც ქართველ ხალხს და „ქართულ ოცნებას“ უნდოდა. რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა. მის გარშემო მაშინათვე ალყა შემოარტყეს და კოაბიტაცია შემოგვთავაზეს, რომლის მიზანიც უსუფაშვილმა იმთავითვე განგვიმარტა — „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა. რეალურად, „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა კი არა უნდა მომხდარიყო, არამედ დღესაც, ამ ქვეყანას უბედურების მეტი არაფერი მოუტანა, უკრაინაში დააწინაურეს, რაც გამოწვევაა. ამით ამერიკელები გვეუბნებიან, რასაც გვინდა იმას ვაკეთებთო. რა უნდოდათ ამერიკელებს? რა, უკრაინაში ბრძოლა რუსებმა დაიწყეს? ეს ხომ ამერიკამ დაიწყო? მათ საერთოდ არ აინტერესებთ უკრაინელი ხალხი, არამედ როგორმე ისეთი ტერიტორიები ჩაიგდონ, რომ თავისი ბაზებით რუსეთს მიუახლოვდნენ. საქართველოშიც, სწორედ ეს ინტერესები აქვთ და არა ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი პირწავარდნილი სისხლისმსმელი ორგანიზაციებია, რომლებიც ქვეყნის ადგილობრივ ეკონომიკას, ფინანსებს შეგნებულად სპობენ, რათა რაც შეიძლება მეტი სესხი აიღო, რომ შთამომავლობამ, შვილებმა ამ სესხის უღელქვეშ ქედი მოიხარონ და ყოველგვარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი მოიშორონ.

**— ყველა პოლიტიკოსმა ეს ამბავი კარგად იცის, მაგრამ რატომ არ იღებენ ხმას?**

— იმიტომ, რომ ისინი, ბოდიში და, თავის საჯდომზე ფიქრობენ — როგორმე პარლამენტში თბილ სავარძლებში ჩასხდნენ და მერე იოლად გამდიდრდნენ. ესაა ქართველი ერის ტრაგიზმის ალფაც და ომეგაც. ამ შემთხვევაში, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ტვინგამორეცხილია. იმიტომ, რომ ისინი შავი ყუთების მიხედვით მსჯელობენ და „რუსთავი-2“-ს რომ უყურებენ, ჰგონიათ, 9 წლის მანძილზე არნახული წარმატებები გვქონდა, თურმე, ქართული ეკონომიკა, დემოკრატია, სულიერება მაღლა და მაღლა მიდიოდა მაშინ, როდესაც თვალწინ, სისხლის კალოები, გაუპატიურებისა და შეურაცხყოფის აუტანელი სურათები გვქონდა, რაც ფაშისტებსაც არ დასიზმრებიათ. ფაშისტებს ადამიანები დასაწვავად რომ შეჰყავდათ, ფსიქოლოგიურად ამშვიდებდნენ, აბანოში მიდიხართ, უნდა განიბანოთო. აქვე, ერთსაც აღვნიშნავ, სააკაშვილმა თქვა, ნემცოვის სიკვდილი დიდი დანაკლისიაო. იგივე თქვა ტეფტიმ მოსკოვში. ვინ იყო ტეფტი? — მან, აქ, გადატრიალება მოაწყო. მერე დააწინაურეს, მოსკოვში წავიდა, იგივეს გაკეთება იქ, არ გაუვიდა. ნემცოვი სულ მასთან დადიოდა. მიცვალებულზე აუგს არ ამბობენ, მაგრამ ვინ იყო ნემცოვი? ერთი გაქნილი, თაღლითი ებრაელი, რომელმაც ფულიც იშოვა და პოლიტიკაში ხან ისე თამაშობდა, ხან ასე. რა დროს ნემცოვია? გურამ შარაძე დღისით, მზისით, შეგნებულად სათვალთვალო კამერების წინ გააგორეს და ორი საათი არავინ მიაკარეს. იქ იყო მერაბიშვილი, ბოდიში მომითხოვია, ერთ ადგილს იფხანდა ღიმილით და ახლოს არავის აკარებდა. რატომ? — იმ ადამიანებს ვისაც სამშობლო უყვართ, დაანახეს, რომ ასე დახოცავდნენ. აი, ასეთი იყო განაჩენი.

როგორ შეიძლება იმ პირმა, რომელიც გუშინ კაცს კლავდა, დღეს ადამიანის სიყვარული მასწავლოს; როცა კაცს აუპატიურებდა, ახლა მორალზე მელაპარაკოს ან როგორ შეიძლება მძარცველი, 130 ახალგაზრდის ქუჩაში ჩამხოცველი, ახლა სამართალზე მომედავოს. კოტე კუბლაშვილი სასამართლო რეფორმით ამაყობს, ალბათ, ახლა, ეგეც უკრაინაში წავა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. უკრაინაში კი არა, ესენი ყველა ციხეში უნდა გაუშვა. როგორც სააკაშვილი ამბობდა ნულოვანი ტოლერანტობაო, ისე უნდა გაამწესო ეგენი ციხეში. განსაკუთრებით ისინი, ვინც ამ იდეოლოგიის სულისჩამდგმელებია: ბოკერია, თარგამაძე, რომელიც ყვიროდა სულს ამოგხდითო, გოკა გაბაშვილი. ამათ შექმნეს ეს იდეოლოგია, ესენი ყველა ციხეში უნდა გაუშვა. ასევე, ბარამიძე, რომელმაც აფრასიძეების ოჯახი ამოწყვიტა. ასე ამტკიცებდნენ თავიანთ მაგარ ბიჭობას. ეგაა მაგრობა? როგორც კი რუსული ტანკი გამოჩნდა, სად გარბოდნენ კაცმა არ იცის, მთელი საზღვარი გადაპენტეს ავეჯითა და მოპარული ქონებით გარბოდნენ.

დღეს არსებული არცერთი ტელე-არხი არ ფიქრობს რა სტკივა, აწუხებს საქართველოს, ქართველ კაცს. თითქოს ისინი კრიტიკულნი არიან ხელისუფლების მიმართ, სინამდვილეში, ეს უბრალოდ, საფარია. ეს მათი დავალებაა. ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდეთ, რომ დღეს გარე-სამყაროს გარკვეულ ძალებს ისევ სააკაშვილის, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლა სურთ. ამის ნათელი მაგალითი და დასტურია ის, რომ შეგნებულად, ყველა თახსირი „ნაციონალი“, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა და ფაშისტურზე ბევრად უარესი პარტიის გასამართლება უნდა მოხდეს.

როდესაც ზვიადს ეროვნული პოზიციების დათმობა შესთავაზეს, მან უარი განაცხადა. ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ, დღესაც საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა.

**— ზვიად გამსახურდიამ ეროვნული ინტერესები არ დათმო, მაგრამ ეს ხელისუფლება ფაშისტურ რეჟიმთან კოაბიტაციას რატომ დათანხმდა?**

— „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. თავად, ივანიშვილის სიცოცხლის საკითხი იდგა მწვავედ. მისი დაცვა განაიარაღეს და ამერიკის ელჩის ჩარევა რომ არა, ალბათ, ფიზიკურადაც გაანადგურებდნენ.

დღეს, იგივე საფრთხეს გვიქმნიან, ნატოს ბაზა უნდა გავხსნათო. როგორც კი ეს მოხდება, მაშინვე დაგვარტყამს რუსეთი, რაკეტები გამზადებული აქვს. ნაცებს რა ენაღვლებათ, გამზადებული აქვთ ჩვენგან მოპარული ფული, წავლენ საზღვარგარეთ. მე სად წავიყვანო ბავშვები, სად ვაცხოვრო?

**— ნგრევის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთო.**

— დიახ, არასამთავრობოებზე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამ ნაძირლებმა, ვინც კი თანამდებობა დატოვა, ყველამ არასამთავრობო გახსნა. დიდი ფული აქვთ მოპარული, გაცილებით დიდი, ვიდრე ივანიშვილს, კეზერაშვილს და სააკაშვილს. ალბათ, ხედავთ, რაც ხდება აჭარაში. ვარშალომიძე სარფში შეხვედრებს მართავს, იქ ვიღაც დეპუტატებს 200-300 ათასი გადაურიცხეს, ისინი ახლა აჭარაში არეულობის მოწყობას აპირებენ რასაც მოჰყვება ის, რომ აჭარას დავკარგავთ. ამათ არაფერი ანაღვლებთ, არც ის რომ დალის ხეობა გაიყიდა, იგი სააკაშვილმა გაყიდა. რუსეთთან ურთიერთობას ძალიან უნდა ვუფრთხილდეთ იმიტომ, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის. თუ რუსეთმა მოინდომა, აჭარაც დაიკარგება, ნინოწმინდაც, ქვემო-ქართლიც, დარჩება მარტო თბილისი.

**—პოლიტიკური პარტიები პირველობის მოსაპოვებლად ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ, ძველი სახეებიც განახლებული სუნთქვით დაბრუნდნენ. რისთვის განაახლეს ბრძოლა?**

— მაპატიონ რომ პოლიტიკა და პოლიტიკოსები არასდროს მყვარებია, როცა ვხედავ რომ კაცს სამ-



**„ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“, ალასანია — გამოკვეთილად ერთად არიან და მათ შორისაა მარგველაშვილი. დარჩა ერთი ღარიბაშვილი, რომელსაც შინაურიც უტევს და გარეულიც იმიტომ, რომ იგი ეროვნული პრინციპების ადამიანია“.**

9 gv.

# აფხაზი დისიდენტი ალექსეი თარია


ალექსეი თარია

# გედის სიმღერა,
## ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

*ყოველთვის, როცა რუსეთზე საუბრობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი – განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნება-სურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული, – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის, თუ ივანე: ყველა შემთხვევაში, ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანაარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც, ახალ, განსხვავებულ რელსებზე მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებში შედის.*

*პ. ი. ჩაადაევი, „L`Univers“, 15 იანვარი, 1854 წელი*

როცა სსრ კავშირის კგბ-ს ყოფილმა გენერალ-ლეიტენანტმა, ი. გიორგაძემ რუსეთის ერთ-ერთი ცენტრალური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „შევარდნაძეს არასოდეს უყვარდა კგბ“, – პატივისცემის გრძნობა, რომელიც ინტუიტიურ დონეზე ადრეც გამაჩნდა შევარდნაძის მიმართ, გამიორმაგდა. ...იმ წელს, როცა ე. შევარდნაძე სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს შემადგენლობაში შევიდა, რიგაში ვმუშაობდი. ერთხელ, სამუშაოდან დაბრუნებული, საერთო საცხოვრებლის სააქტო დარბაზში შევედი, სადაც შეგვეძლო ახალ პრესას გავცნობოდით. იქვე იდგა მაგიდები ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთათვის, ან, უბრალოდ, „კულტურულად“ დასვენების მსურველთათვის. როცა ჩავუარე კედელს, სადაც, ტრადიციულად, პოლიტბიუროს წევრების სურათები იყო გამოფენილი, შევნიშნე, რომ ქვედა მარჯვენა კუთხეში ახალი წევრის ფოტო იყო დამატებული. როგორც ჩანს, დაფასთან იმაზე უფრო მეტხანს გავჩერდი, ვიდრე გარემოება მოითხოვდა, და მოთამაშეთა თუ მკითხველთა მხრიდან ვიღაცის ხმა მომწვდა: „შენ, ეი, რას დარჭობილხარ მანდ, ვერ გაძეხი თანამემამულის ცქერით?“ ხმაშიც და ნათქვამის ტონშიც იგრძნობოდა უფრო მეტი, ვიდრე ირონია ან უწყინარი ხუმრობა. – არაფერი, – შევეცადე არ გამეცა აღელვება და ადგილიდან დაუძვრელად ვუპასუხე, – აი, მეღორეც გამოჩნდა, – და მათი მხრიდან თანხმობის გამომხატველი მეგობრული ხარხარის შემდეგ დავუმატე, – ამიერიდან ღორებს მწყემსიც ეყოლებათ-მეთქი... წამიერი შოკური დუმილის შემდეგ, ორი თუ სამი წამოიჭრა ადგილიდან – და რამდენადაც მათი განზრახვა არც დაეჭვების და არც იქ დაყოვნების არანაირ საფუძველს არ იძლეოდა, თავს სასწრაფო რეტიროვკით ვუშველე. გამომდინარე იქიდან, თუ როგორი გაანჩხლებით ანჯღრევდნენ ისინი ორი საკეტით ჩარაზული ჩემი ოთახის კარს, აშკარა იყო, რომ მხოლოდ საკუთარმა სიმარდემ მიხსნა მათი ულმობელი შურისძიებისგან.

90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ ან ნახევრადპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ჩემი რეპლიკები და კომენტარები, რომლებიც ხშირად გამოირჩეოდა მკვეთრი რადიკალიზმითა და უკომპრომისობით, უყურადღებოდ არ დარჩენია ახალი ათონის მცხოვრებთა უმრავლესობას, განსაკუთრებით, იგივე შეხედულებებზე ჩემგან რადიკალურად განსხვავებული, სრულიად საპირისპირო მოსაზრების ადამიანებს. ნავმისადგომის არმატურული მავთულით დაქსელილი რკინის ჭიშკარი იმდენჯერ გახდა სიბნელეში ნასროლი ქვების „მსხვერპლი“, რომ იძულებული გავხდი მისთვის შიდა მხრიდან „ლეჟანკები“ ამეფარებინა თავის დასაცავად.

„Ï ðî âî çãëàø àòü ÿ ñòàë ëþ áâè è ï ðàâäû, ÷èñòû å ó÷åí üÿ,
Â ì åí ÿ âñå áëèæí èå ì î è áðîñàëè áåø åí í î êàì åí üÿ“,

– ეს ლერმონტოვისეული „წინასწარმეტყველებაა“... ჯერ კიდევ არაა ყველა ქვა შეგროვილი, მაგრამ ამის დროც დადგება...

ჩემს სამუშაო მაგიდაზე, ნოუთბუკის გვერდით, დევს წიგნი, რომლის ავტორია 1992 წელს აფხაზეთში ომის დაწყების თვითმხილველი, სვეტლანა მიხეილის ასული ჩერვონნაია – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეროვნებათშორისი ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელი (ძალიან კარგად ვიცნობ რუსულენოვანი მკითხველის უმეტესი ნაწილის ფსიქომოტორიკას, ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ რუს შოვინისტებს, ნუ აღელდებიან, – ჩვენს შორის ხომ ასეთებიც არიან! ამასთან, ჩერვონნაია სვეტლანა მიხეილის ასულის ქმრის გვარია, მისი ქალიშვილობის გვარი კი ივანოვაა, ან სულაც სიდოროვა). წიგნი 1993 წელს გამოიცა მოსკოვში, გამომცემლობა „მოსგორპეჩატში“; გარეყდაზე აწერია „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური ვანდეა“; ტიტულის გვერდი ოდნავ სახეცვლილია: „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური ქართული ვანდეა“ – რაც ასევე ნიშანდობლივია... ასეთი წიგნი ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ რომ გამოცემულიყო, ყველა, ვისაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდა მის გამოცემასთან, დღეს ისევე უმუშევარი იქნებოდა, როგორც მე ვარ – ჰალსტუხის გარეშე ან პუტინი – სინდისისა და ღირსების გარეშე. სხვათა შორის, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პუტინისთვის უცნობია ეტიმოლოგია სიტყვისა – „სინდისი“... 1995 წელს, მოსკოვში, სადაც სამშენებლო მასალების მაღაზიის მტვირთავად ვმუშაობდი 1993–1998 წლებში, შევხვდი ჩემს შორეულ ნათესავს, განათლებით ისტორიკოსს, რომელმაც მაჩუქა ეს წიგნი და მითხრა: „ – ახალ ათონში მუშაობისას, რამდენიმე წელი არ მასვენებდი შენი ვანდეით, აიღე ეს წიგნი, შენია. ჰო, მართლა, მე-10 გვერდზე რაღაცები შენც გეხება, თუმცა მე წიგნის სათაურიდანვე მივხვდი, რომ ავტორის ნაცნობი ხარ...“

სვეტლანა მიხეილის ასული ჩერვონნაია ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩემს სამუშაო ადგილზე გავიცანი, სადაც ის საბანაოდ დადიოდა. არაფერი ვიცოდი მისი მივლინებისა და რუსეთიც მეცნიერებათა აკადემიის წევრობაზე, უბრალოდ, მცირე მომსახურებებს ვუწევდი, როგორც საინტერესო და განათლებულ თანამოსაუბრეს; უამრავ რამეზე ვლაპარაკობდით, მათ შორის, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოვლენებზეც. შემდეგ ის ისევე მოულოდნელად გაქრა ჩემი თვალთახედვიდან, როგორც გამოჩნდა, მე კი, ჩემს პრობლემებში ჩაფლულს, საერთოდ მიმავიწყდა მისი არსებობა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, აღნიშნული წიგნი ჩემს ხელთ არ აღმოჩნდა.

წიგნში რამდენიმე სიტყვა ჩემდამია მოძღვნილი – ვფიქრობ, ამით ავტორმა მადლიერება გამოხატა ჩემ მიმართ იმ სიტყვის გამო, რომელიც მან, როგორც მნიშვნელოვანი, სათაურად გამოიყენა; ან იქნებ იმისთვის, რომ იმ აფხაზთა შორის, რომელთა გაცნობაც მოახერხა აფხაზეთში ყოფნისას, მე ერთადერთი ვიყავი, ვისი შეხედულებებიც მეტ-ნაკლებად გასაზიარებლად და ადეკვატურად მიაჩნდა. აი, ეს ფრაგმენტი:

„იმავე საღამოს, ჯერ კიდევ მშვიდი და თბილი შავი ზღვის სანაპიროზე ახალ ათონში, უბრალო აფხაზი ჭაბუკი (მას ალიკს ეძახოდნენ – ალბათ, ალი ერქვა; მაშველად მუშაობდა ნავმისადგომში, თუმცა უკვე დიდი ხანია ამაში აღარავინ უხდიდა ფულს; გასეირნების მსურველთათვის ორი ძველისძველი კატამარანი ჰყავდა და ოსტატურად მართავდა იალქანს თვითნაკეთ იახტაზე, რომელითაც, ომის დაწყების შემთხვევაში, თურქეთში წასვლას აპირებდა: ეს ისტორია ახალ ათონში ყველამ იცის) დაფიქრებითა და სევდიანად ამბობდა: – მათ, ვინც სოხუმის უმაღლესი საბჭოს თავზე



ზოლებიანი დროშა გადმოკიდეს, ჩემთვის არაფერი უკითხავთ. მე აფხაზი ვარ და, ალბათ, ქართველებზე განაწყენების რაღაც მიზეზი მეც მაქვს, მაგრამ კარგად მესმის, რომ დღეს მხოლოდ ახალ საქართველოსთან ერთად შეგვიძლია თავი დავაღწიოთ კომუნისტურ თავლას. ჩემი იმედები ედუარდ შევარდნაძეს უკავშირდება, რომელიც მხეცური სიძულვილით სძულთ, ალბათ იმიტომ, რომ დასავლეთს ბერლინის კედელი დაუთმო და იმიტომაც, რომ საბჭოთა ბირთვული საფრთხე აგვარიდა. კიდევ იმის გამო, რომ მან წინასწარ განჭვრიტა პუტჩი (ერთში შეცდა: ეგონა პოლკოვნიკები, აღმოჩნდნენ – მარშლები) და გააფრთხილა გორბაჩოვი; სძულთ იმისთვისაც, რომ გასულ აგვისტოში თეთრ სახლს იცავდა; იმისთვის, რომ სურს გამოათრიოს საქართველო თავისი ავტონომიებიანად სამოცდაათწლიანი ჭუჭყისგან...“

ეს ტექსტი კეთილი ქალბატონის აცახცახებული ხელით იწერებოდა, ქალისა, რომელიც ყოველდღიურად ხვდებოდა იმათ, ვინც სულსწრაფი მოუთმენლობით რაზმავდა აფხაზ, სომეხ, კაზაკ თუ ჩრდილოკავკასიელ გადამთიელთაგან შემდგარ აულაგმავ ბრბოს – ომის, ძალადობის, ძარცვისა და მკვლელობებისთვის; არის ტექსტში რამდენიმე უმნიშვნელო, თითქმის კურიოზული შეცდომა, რომლებიც, დროისა და გარემოებების გათვალისწინებით, სრულიად გასაგები და მისატევებელია; ავტორი – ამ უდიდესი დანაშაულის პირველივე დღეების უშუალო თვითმხილველი, სულთმობრძავი ურჩხულის – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ქრონიკის პირველ ფურცლებს ქმნიდა. ეს სამი შეცდომაა: 1) 1992-ში მე 44 წლისა ვიყავი, შესაბამისად, „უბრალო აფხაზი ჭაბუკი“ ვერ ვიქნებოდი; 2) მაშველად არ მიმუშავია; 3) მე არ მქონია „ქართველებზე რაიმეს გამო განაწყენების მიზეზი“, რადგან საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული და ვიცოდი, რა სარჩული ედო ჩემს სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს; გარდა ამისა, როგორც ადრე ვთქვი, მაშინ უკვე თითქმის დაკარგული მქონდა ნაციონალური იდენტობის განცდა, ხოლო აზროვნების ფორმითა და მეთოდებით, ჩემს ირგვლივ არსებული სამყაროს, მოვლენების, სახეების აღქმითა და ასახვის უნარით – მე უფრო რუსი ვიყავი (და ვფიქრობ, დავრჩი დღესაც), რადგან დავიბადე (და უკვე მოვხუცდი) რუსული კულტურის, რუსული ცივილიზაციის საზღვრებში...

ტექსტში მოყვანილი ზოგიერთი ფრაზიდან ის დასკვნა მომდინარეობს, რომ „ვანდეის“ ავტორი ახალი ათონის მცხოვრებლებისგან ჩემს შესახებ ცნობებს კრებდა იქიდან ჩემი წასვლის შემდეგ – 92 წლის 19 აგვისტოდან, აქედან – რეპლიკაც: „ეს ისტორია ახალ ათონში ყველამ იცის!“

19 აგვისტოს კი, ყველა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის უწყვეტი კონონადის ქვეშ, დავჭერი ჰიდროველოსიპედის თეთრ-წითელი ქოლგები; წითელი ზოლებისგან გავაკეთე ორი მეტრის სიმაღლის ორი ჯვარი, იალქანს ორივე მხრიდან სპილენძის მავთულით მივამაგრე, ავიღე 15 ლიტრი სასმელი წყალი და ზღვაში გავედი. კურსი ჰორიზონტზე მეჭირა. ნაშუადღევს, როცა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №5-6
გამოქვეყნებულია ჟურნალ „რიწაში“ (№1.2015 წ.)

თანდათან გაძლიერდა სამხრეთიდან აქამდე სუსტად მქროლავი ქარი, მოულოდნელად ნავმა ჩრდილო-დასავლეთით გადაუხვია და ნახევარი საათიც არ იყო გასული, შტორმში გადაიზარდა: მკითხველი, რომელმაც იცის, რას წარმოადგენს კალინინგრადის ქარხანაში წარმოებული „იანტარის“ კლასის დურალუმინის ნიჩაბ-იალქნიანი ნავი, კარგად მიხვდება, რას ნიშნავს — ასეთი „ფარღალალა“ ნავით, ისიც შტორმულ ქარში, ღია ზღვაში ყოფნა... როცა ზღვიდან შემოჭრილი წყლით ნავი ბორტებამდე დაიფარა და ტალღები უკვე თავისუფლად გადადიოდა მასზე, შევეცადე ნაპირისკენ მოვბრუნებულიყავი, რაც მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შედეგად მოვახერხე: სანახევროდ წყლით დაფარული ნავი ცურვას მხოლოდ გვერდითი საჰაერო პილონების ხარჯზე ახერხებდა და საჭით მართვას ძნელად ემორჩილებოდა; სულ მცირე შეცდომა შეიძლებოდა გამხდარიყო მძიმე, ან სულაც ფატალური შედეგის მომტანი. მანევრირების უნარის სრული დაკარგვის გამო ახალ ათონში დაბრუნება შეუძლებელი იყო და უახლოეს ნაპირს მივაშურე. ნაპირამდე კილომეტრზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა ზღვისა და ქარის ხმაურში რაღაც უცნაური ხმები შემომესმა, და იმ აზრით შეწუხებულმა — ხომ არ დაირღვა საჰაერო პილონების ჰერმეტულობა, რაც მაშინვე ჩაძირვას უქადდა ნავს, — ერთადერთ იმედად მოახლოებული ნაპირი მიმაჩნდა მანამ, სანამ არ დავრწმუნდი, რომ სწორედ ნაპირი წარმოადგენდა იმ მომენტში მთავარ საფრთხეს: როგორც აღმოჩნდა, მე ვუახლოვდებოდი რუსი სამხედროების მიერ მკაცრად დაცულ სეისმურ სადგურს, საიდანაც, მხრებზე შემოდგმული Ñ Ñ-დან დამიზნებით ესროდნენ ზიგზაგისებურად ნაპირისკენ მცურავ ნავს, რომლის იალქანზე ორი დიდი წითელი ჯვარი ეხატა... რაც უფრო ახლოვდებოდა ნაპირი, მით უფრო ხმამაღლა ისმოდა წყლის ზედაპირზე დაცემული ტყვიების ხმა...

ადრეც აღმოვჩენილვარ ექსტრემალურ პირობებში ზღვის სტიქიასთან, მაგრამ როცა ამ შემთხვევას ვიხსენებ, ვერაფრით ვხვდები — თუ არა ღვთის სასწაულმა, რა ძალამ შემაძლებინა უკვე წყობიდან გამოსული საჭით გამეხორციელებინა ოვერშტაგი — ნავის მობრუნება 180 გრადუსით ქარის საპირისპიროდ... როგორც ჩანს, ჩამითვალა ღმერთმა 1972 წლის ზაფხულში ფინეთის ყურეში ქარიშხლის დროს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადარჩენილი ოთხი ადამიანის — ორი ვაჟისა და ორი გოგონას სული, და მიხსნა სასიკვდილო საფრთხისგან...

საღამო იყო, როცა უკვე ნაცნობ სოხუმის იახტკლუბის ნავმისადგომს მივუახლოვდი, სადაც თითქმის არავის მოუქცევია ყურადღება ჩემთვის და ჩემი ნავისთვის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბოშას, რომლებმაც წამში დაიტაცეს ნავზე არსებული წყლის მარაგი — ქალაქში უკვე იდგა სასმელი წყლის პრობლემა; იახტკლუბის დარაჯი, ალექსეიჩი დამეხმარა ნავის ცხვირით გამოყვანასა და წყლისგან დაცლაში; დაახლოებით 5-6 დღე ვიცხოვრე გვერდით მდგარ ტანკერზე თ-17, რომელიც საწვავით ამარაგებდა სოხუმის სანაოსნოს, შემდეგ კი თევზსაჭერი სეინერით, რომელსაც ქართველი ეკიპაჟი მართავდა, სოჭში ჩავედი სხვა დევნილებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ სომხები, ბერძნები, ბოშები... ორი თუ სამი დღის განმავლობაში, რომელიც აქ დავყავი, „სასწრაფო დახმარების“ მანქანით რამდენჯერმე მიგვიყვანეს სხვადასხვა საავადმყოფოში, მათ შორის, ფსიქიატრიულშიც; ბოლოს, როგორც იქნა, 500 რუბლად ვიშოვე ადგილი მატარებლის ვაგონის სატვირთო თაროზე და ამ გზით მოვხვდი სანკტ-პეტერბურგში, რომელიც იმხანად ჯერაც ატარებდა „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“ სამარცხვინო სახელს...

საოლქო საავადმყოფოში ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევის დიაგნოზში მითითებული იყო: 12-გოჯა ნაწლავის პროგრესირებადი წყლული, ფიზიკური გამოფიტვა, ნევროზები და სხვა. მივიღე დევნილი ¹ 9 13-ის მოწმობა, რომლის მეშვეობითაც ნომინალური თვითღირებულების 25%-ად ვიძენდი მედიკამენტებს; ამბულატორიულად ვმკურნალობდი და ვმუშაობდი პეტერბურგიდან 80 კილომეტრის დაშორებით მდებარე ტორფის საწარმოში მომარაგების ნაწილის მტვირთავად; ამის შემდეგ სამუშაოდ გადავედი კოლპინოს სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე; 93-ის ზაფხულის დასაწყისში, ჩემი ძველი მოსკოველი ახლობლის რჩევით, მოსკოვში გადავსახლდი, სადაც მუშაობა დავიწყე მეტრო ბაბუშკინსკაიასთან მდებარე მაღაზიისა და ოფისის 24-საათიან უცვლელ დარაჯად. მისმა მფლობელმა, შეძლებულმა „ახალმა რუსმა“, ისეთი „ხელფასი“ შემომთა-ვაზა, რომ სანახევროდ ვშიმშილობდი და ვეწეოდი „Äûì îê“-ს — იმხანად ყველაზე იაფფასიან სიგარეტს რუსეთში. იგივე 1993 წლის ზამთარში ადრიდანვე მოსკოვში მცხოვრები ჩემი ბიძაშვილის მისამართი გავიგე, რომელმაც სამშენებლო მასალების მაღაზიაში მტვირთავად მომაწყო — აქ ყოველგვარი შეღავათების გარეშე ვიმუშავე 1998 წლამდე, რასაც ჩემს შრომის წიგნაკში გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერიც ადასტურებს.

ვისაც არ უნახავს 90-იან წლების მოსკოვი, მას არაფერი ეთქმის „უმართავ 90-იანებზე“ და წარმოდგენაც არა აქვს არა ოფიციალურ და დეკლარირებულ, არამედ რეალურ და ნამდვილ „რუსულ ცივილიზაციაზე“, რომელიც განსაკუთრებით „შიშვლდება“ გარდამტეხ, კრიზისულ, არეულ დროში. 5 წელი ვიცხოვრე 90-იანი წლების მოსკოვში და ამ ხნის მანძილზე ადამიანის ნებისმიერი უფლების წინააღმდეგ მიმართული უამრავი დანაშაულის მოწმე გავხდი; რიგითი ადამიანების თვალწინ ადგილი ჰქონდა ძალადობისა და ადამიანის ღირსების შემლახველ ისეთი სცენებს, როგორსაც კუბის ცნობილი „გუანტანამოს“ ციხის პატიმრებიც კი ვერ იხილავენ... საოცარია, რამდენი რამ შემორჩა თითქმის უცვლელად რუსი ხალხის მენტალიტეტსა და ფსიქოლოგიაში მე-16 საუკუნის „ოპრიჩნინიდან“! იმ წლებში მოსკოვის ქუჩებში სამართალდავი ორგანოს თანამშრომელი თუ მოგმართავდათ სიტყვით — „პა-ატივცემულო“, ეს უნდა აღგექვათ, როგორც ფაშისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კომენდანტის საათის დარღვევა და რამდენიმე ტყვიასავით მოკლე შეძახილი — „ჰალტ!“, „ჰანდე ჰოცჰ!“ და „აუს წეიცჰე!“ — ერთად, ერთ ფლაკონში, რაც ძირითადად მთავრდებოდა „პატივცემულის“ ფულის მითვისებით ან მილიციის უახლოეს განყოფილებაში, ე. წ. „î áåçüÿí èê“-ში მოხვედრით... რუსი ოფიცრობის ღირსებისა და სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ რეგისტრაციის გარეშე მოსკოვში ცხოვრების 5 წლის მანძილზე არასოდეს გამითენებია „ობეზიანნიკში“ და არც რაიმე დამცირება მიმიღია მათგან, თუმცა ისიც მესმის, რომ ამის მტკიცება იმ ადამიანებისთვის, ვინც საკუთარ თავზე გადაიტანა ბევრი დამცირება და უსამართლობა, სიმართლისგან შორს დგას. თუმცაღა, იყო ერთი „უშტატო სიტუაცია“, რომელიც ღირს იმად, რომ დაწვრილებით აღვწერო: 1995 წელს, სამების დღესასწაულის დილას, მაღაზიის ღია კარში გამოჩნდა ორი შეიარაღებული და ხელებდამკლავებული „ომონელი“, — სურათის მეტი სიცხადისთვის რკინის ჩაფხუტებიღა აკლდათ! ერთი შიგნით შემოვიდა, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ, მზერა ჩემზე შეაჩერა და პასპორტი მოითხოვა. როცა დარწმუნდა, რომ რეგისტრაცია არ გამაჩნდა, ბრძანა: „იარე!“ დავუწყე ახსნა, რომ ვარ კადრის მუშა, რომ ვიხდი გადასახადებს და ბოლოს, დევნილის მოწმობაც წარვუდგინე. როგორც ჩანს, სწორედ აქ დავუშვი შეცდომა. მოწმობის „შესწავლის“ შემდეგ ისევ პასპორტს ჩახედა, ეროვნების გრაფაში ჩანაწერს გააყოლა თვალი და მკითხა: „აფხაზი ხარ?“ დიახ-მეთქი, ვუპასუხე. „აფხაზებმა ხომ ომი მოიგეს, დევნილი როგორღა აღმოჩნდიო!“ — რა უნდა მეპასუხა! „იარე!“ — ისევ მოკლედ და ბოროტად ბრძანა მან და ზურგზე ავტომატის ლულამიბჯენილმა გავიარე ათასგვარი საქონლით დატვირთულ დახლებსა და იქ მყოფ მყიდველებსა თუ გამყიდველებს შორის. იარაღისგან როგორღაც დისტანცირებას ვცდილობდი და ვერც შევნიშნე, როგორ ჩამომრჩა კონვოირი, რომელმაც ჩათვალა, რომ გაქცევას ვცდილობდი, და უეცრად მთელი ხმით იღრიალა: „დადგა-ა-აა!“ წამით ჩვენს ირგვლივ სივრცე დაცარიელდა თითქოს. ომონელი სულ ახლოს მოვიდა, ლულა მკერზე მომაბჯინა და მძიმედ, ქრონიკული ასთმატიკის ხმით ამოიხრიალა: „კიდევ ერთხელ ერთ მეტრზე წინ გაიწევ — დაგ-გმარხავ! გაიგე?!“ — გაუგებარი რა არის, მეთაურო-მეთქი, ვუპასუხე... „წინ იარე!“ — იყო ბრძანება. დღემდე ნათლად მახსოვს მონაცრისფრო-მიწისფერი სახე და თეთრი, თითქოს ფერადი გარსის გარეშე დარჩენილი თვალები; მახსოვს თითი, რომელსაც ფრჩხილის ზემოდან „სამგლოვიარო“ ზოლად ერტყა ავტომატის ჩახმახის კაუჭი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ახლა ამერიკელი ქართველის შექმნა უნდათ, რომელსაც არაფერი აინტერესებს — არც სამშობლო, არც დედა, არც მამა, ოღონდ თვითონ იყოს ბედნიერი!

7 gv.

შობლო უყვარს ვაფასებ, თორემ რა პარტიას წარმოადგენს არ მაინტერესებს. პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებას ეუბნებიან, ჩაიწიეთ, თქვენ თუ არ შეგიძლიათ ჩვენ გაგვატარეთო. სად მიდიან, სად უნდა გავატაროთ, სად წავლენ? ჯერ პარტია არ მინახავს რომელიც იტყვის, მე მოვალ და ცუდ რამეს გავაკეთებო. თანაც, იცით, ეს როგორ ხდება? — ჩუმჩუმად ამერიკაში თუ სხვაგან ჩადიან და ეუბნებიან: ჩვენ დაგვნიშნეთ და უკეთ გავანადგურებთ საქართველოს ვიდრე ესენი, თქვენს სურვილებს ავასრულებთო. რა ხდება დღეს, დავუბრუნდეთ პოლიტიკურ გარემოს — „ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“, ალასანია — გამოკვეთილად ერთად არიან და მათ შორისაა მარგველაშვილი. დარჩა ერთი ღარიბაშვილი, რომელსაც შინაურიც უტევს და გარეულიც იმიტომ, რომ იგი ეროვნული პრინციპების ადამიანია, ფიქრობს ქართველ ხალხს რა გაეხარდება. თქვა ერთსქესიანი ქორწინება დაუშვებელიაო, ამათ, მაშინვე, დისკრიმინაციული კანონი მიიღეს, თქვა „ნაციონალებს“ არ ველაპარაკები, ნამართლიანობის აღდგენად მიმაჩნია ის, რომ ნაცბანდა როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, გასამართლდეს. მიხეილ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს, როგორც ნერონის ასლი და პროტოტიპი. ყველაფერი რაც კეთდებოდა ბოროტება იყო. უნდა გასამართლდეს იმიტომ, რომ კისერზე უამრავი ადამინის სისხლი ადევს — ჟვანიას, შარაძის, ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდა ბიჭების და სხვა. არისტოტელე ამბობდა — როდესაც ზნეობა აღარ არსებობს, დედამიწა თავდაყირა დგება. აი, ესეთი დროა ახლა. დამნაშავე „ნაციონალების“ დასჯა სასწრაფოდ უნდა მოხდეს. ამათთან დემოკრატიის თამაში არ შეიძლება. 21 მარტს გამოსვლას აპირებენ. წესით, პატიოსანი, ნორმალური ადამიანი იქ არ მივა, მაგრამ ესენი ფულით მოისყიდიან. ბევრ ხალხს მაინც ვერ შეაგროვებენ, მაგრამ საკმარისია პროვოკაცია მოაწყონ, ერთიანად უნდა ჩავყაროთ ციხეში. და საერთოდ, როგორც ჩვენ გვექცეოდნენ, ისე უნდა გარეკონ კეტებით. არ შეიძლება იმ ხალხთან დემოკრატიის თამაში, ვისაც ამ სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემს. სააკაშვილი უკრაინიდან იმუქრება და იქ მებრძოლი დაღუპული ბიჭები გმირებად გამოჰყავს. ღმერთმა აცხონოს



ძირლები არიანო და მაშინვე ერთი ამბავი აუტეხეს. პოსტ-საბჭოთა სივრცეში არ არსებობს არცერთი ქვეყანა, რომელსაც სახელმწიფო ენის კანონი არ ჰქონდეს მიღებული. ჩვენ ერთადერთი რესპუბლიკა ვართ, რომელსაც სახელმწიფო ენის კანონი მიღებული არ გვაქვს. ამის შედეგია ლომაიას ნათქვამი — მეორე სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოსო, სააკაშვილმა თქვა — სტუდენტებს დიპლომს არ მივცემ თუ ინგლისური არ ეცოდინებათო. მეცნიერებაზე მოგახსენეთ. ეს რას ნიშნავს, ქართულ მეცნიერულ ენასაც გვართმევენ? მუხრანის არ იყოს ქართული ენა ორღობის ენად უნდა აქციონ. მათ ძალიან კარგად იციან, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს. აი, აქეთკენაა ყველაფერი მიმართული. ამიტომ ანადგურებენ და სპობენ განათლებას. კულტურის მინისტრს საერთოდ არ აინტერესებს საყდრისის ისტორია, მისი აფეთქების მერე, მინისტრი უნდა გადამდგარიყო, იგი უნდა გაეგდოთ, მარტო ჯაზზე ფიქრობს. კულტურას, განათლებას უტევენ, უნდათ ადამიანის აზროვნების სტრუქტურა შეცვალონ. ახლა, ამერიკელი ქართველის შექმნა უნდათ, რომელსაც არაფერი აინტერესებს — არც სამშობლო, არც დედა, არც მამა, ოღონდ თვითონ იყოს ბედნიერი. დღეს, სამწუხაროდ, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გადააგვარეს. უმეტესობა იმას კი არ ამბობს, კავკასიის მთების შვილი ვარ, სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილიო, არამედ ამბობს — სადაც კარგად ვიქნები იქაა ჩემი სამშობლოო. ეს ბოლო წერტილია, რომელიც დაისმება თუ არა, საქართველო დამთავრდება. ამიტომაც ვამბობ, უპირველეს ყოვლისა, სამათი სულები, მაგრამ იქ რისთვის წავიდნენ, სამშობლოს იცავდნენ? სულელი „რესპუბლიკელები“ ამბობენ, უკრაინაში წყდება საქართველოს ბედიო. მართლა ასეა ეს? უკრაინაში კი არა, საქართველოს ბედი, საქართველოში წყდება. და საერთოდ, გარე-გარე სიარულს, მამლუქობას თავი დაანებონ, ჩვენი ჯარი თუ ჰქვია აქ დადგეს და ქვეყნის ინტერესები დაიცვან.

რა თქმა უნდა, სააკაშვილი ვერ დაბრუნდება, მაგრამ სახეცვლილი „ნაციონალები“ მობრუნდებიან. „რესპუბლიკელები“ და ალასანია, რომლებიც დღეს კეთილშობილობენ, უარესები იქნებიან. „ნაციონალები“ გაშიფრული, გახსნილი მკვლელები იყვნენ, ესენი მალული მკვლელები არიან — ჩუმ-ჩუმად ამერიკიდან დიდ ფულს იღებენ და მერე ქართულ რეალობას და სინამდვილეს სპობენ.

**— ბატონო ელიზბარ, ახლა ხელისუფლებამ გადაწყვიტა „ქართული ოცნება“ ინტელექტუალებით გაამდიდროს. რას ფიქრობთ, გაამართლებს მათი სისხლის გადმოსხმა?**

— რომელ ინტელექტზეა საუბარი? ქვეყნები რომ მოუვლიათ, ესაა ინტელექტი? ინტელექტი იცით, რა არის? — დაწყებული პლატონიდან დღემდე მთელი ფილოსოფიაუნდა ჰქონდეთ წაკითხული. მაგათ შექსპირიც არ აქვთ წაკითხული. რა ინტელექტი, რის ინტელექტი. ესაა უბედურება, ვიღაც გამოდის ტელევიზორში, რაღაცას თამაშობს და ინტელექტუალი ჰგონიათ, ისე როგორც ლევან ბერძენიშვილი ჰგონიათ განათლებული. მე მკითხეთ, რა განათლებულიცაა.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

## „საერთო გაზეთი“ აგრძელებს დისკუსიას თემაზე –

# რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსება?

**თამარ კიკნაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი:**



თამარ კიკნაძე

– ქართულ-რუსული ურთიერთობების რეალობა დღეს არასახარბიელოა. ერთადერთი, რაც ამ ქვეყანასთან დიპლომატიური კუთხით გვაკავშირებს, არის აბაშიძე-კარასინის დიალოგის ფორმატი, რომლის გაუქმებაზეც არის დღეს საუბარი. ჩემი აზრით, ეს ძალიან უპასუხისმგებლო განცხადებებია, რადგან ყოველთვის დიალოგი ჯობს და ის, ვინც ამბობს, რომ რუსეთთან დიალოგი საჭირო არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს კეთილდღეობით არ არის დაინტერესებული.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ დიდი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებებს ეწირება საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა.

აშშ-დასავლეთის და რუსეთის ჭიდილი ჩვენი მუდმივი თავსატეხია.

დასავლეთს როცა ვამბობ, ვგულისხმობ ევროპას, რომელიც თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ამერიკის სატელიტია მის პოლიტიკაში.

**– რატომ გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ?**

– დასავლეთ ევროპა დღეს შეზღუდულია თავის სუვერენიტეტში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარშალის გეგმის და აშშ-ის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად ევროპის სახელმწიფოები სოციალური სახელმწიფოები გახდნენ, რადგან მათ უარი თქვეს აქტიურ სამხედრო პოლიტიკაზე. ისინი, ფაქტობრივად, ნატოს ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ და ამიტომ ევროპა იძულებულია აშშ-ს აჰყვეს და, რაც ყველაზე პარადოქსია, აწარმოოს თავისი თავისთვის საწინააღმდეგო პოლიტიკა.

თუ მიაქცევთ ყურადღებას, აღმოაჩენთ, რომ, ევროპელი მეწარმეები, ფერმერები აქტიურ პროტესტს გამოხატავენ, რადგან ისინი რუსეთის ბაზრით არიან დაინტერესებულნი და რეალურად ხელს უშლით ის პოლიტიკა, რასაც ევროპის ქვეყნები აწარმოებენ აშშ-სთან ერთად.

ჩვენი ხელისუფლება მოიაზრება, როგორც ამერიკის სატელიტი და თავის გადაწყვეტილებებში ის არ არის თავისუფალი. მათ ჰქონდათ მცდელობები, გაეუმჯობესებინათ ურთიერთობები რუსეთთან, ამუშავდა აბაშიძე-კარასინის ფორმატი, მაგრამ რაც შეეხება გლობალურ ვექტორს, საქართველო ისევ რჩება ნატოს პრიორიტეტების გავლენებში. თუმცა იმავე ოლანდმა და ბარაკ ობამამაც თავიანთ გამოსვლებში დააფიქსირეს, რომ დღის წესრიგში არ დგას საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი.

**– ეს კარგია თუ ცუდი?**

– დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი ვაი-პოლიტიკოსების რწმუნებით, რომლებსაც, ფაქტია, რომ აქედან რაღაც გამორჩენა აქვთ, ცხადი ხდება, რომ გვექნება გარანტირებული უსაფრთხოება ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობისას, თუმცა, რეალობაში, ჯერჯერობით, მხოლოდ საფრთხეები დავინახეთ.

2008 წლის ომი ნატოსკენ სწრაფვის შედეგი იყო.

ეს არ გახლდათ საქართველო-რუსეთის ომი, როგორც წარმოაჩინეს. ეს იყო დასავლეთისა და რუსეთის ომი და ძალების მოსინჯვის პროცესი. ამას შევეწირეთ. მერე რა აბსურდიც ვიხილეთ, იმაზე ლაპარაკი ძნელია – სააკაშვილის ხელისუფლებამ წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა!

გასაგებია, რომ ეს არის პოლიტტექნოლოგიების შედეგი, მაგრამ დავკარგეთ ტერიტორიები დე-იურედ, კოდორის ხეობა კი საჩუქრად გადასცა სააკაშვილის ხელისუფლებამ აფხაზებს.

**– გვაქვს შანსი, რომ ამ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, ანუ რუსეთ-საქართველოს დიალოგს ამ კუთხით შეუძლია სარგებლის მოტანა?**

– გულუბრყვილობაა იმაზე საუბარი, რომ რუსეთი რაიმეს უკან დაგვიბრუნებს. მარტივად უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორი ფორმატი შევთავაზოთ რუსეთს, რომ დაინტერესდეს ჩვენთან თანამშრომლობით. მხოლოდ ასეთი პრაგმატული გრძელვადიანი შედეგით შეიძლება იქნას მიღწეული რაიმე სახის წარმატებისთვის; თუ მაღალკვალიფიცირებული, პატრიოტი ადამიანები იქნებიან ხელისუფლებაში, რომელთაც გვერდით ინტელექტუალური ძალა ედგება, ყველაფერი არის შესაძლებელი. სამწუხაროდ, დღეს არც ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, არც ის ე. წ. ექსპერტები და არც ინტელექტუალური პოტენციალი ამ დონეზე არ არის.

ნატოს სასწავლო ცენტრზე როცა ვსაუბრობთ, მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ ასეთი ცენტრის მოწყობის შემთხვევაში, რუსეთიდან ხელახალი პროვოკაციები წამოვა. რუსეთი აცხადებს, რომ ნატოს არ დაუშვებს თავის საზღვრებთან, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ეს არ არის საწვრთნელი ბაზა და არის სასწავლო. 1997 წელს რუსეთ-ნატოს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ნატოს აქვს ვალდებულება, არ განალაგოს თავისი ბაზები იმ პერიმეტრზე, რომელიც რუსეთს საფრთხეს უქმნის, თუმცა, ფაქტობრივად, საქართველოში განსათავსებელი ბაზა იქნება სამხედრო ბაზა, რაც უნდა სხვა სახელით შეფუთონ ის. ეს კი იქნება რუსეთისთვის წითელი ნაჭერი აგრესიის დასაწყებად. ჩემი აზრით, ეს პროვოკაციის კიდევ ერთი საბაბია და იმ პოლიტიკოსების პროვოკაციები, რომლებიც მხოლოდ პოპულიზმით არიან დაკავებულნი და ეროვნულ ინტერესებს არაფრად დაგიდევენ.

არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, თუკი ნატოს სასწავლო ცენტრი გაიხსნება საქართველოში, ამიტომ, მიმაჩნია, რომ საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ამაზე საუბარი.

ლავროვმა პირდაპირ თქვა, რომ რუსეთი არ დაუშვებს ნატოს ბაზების განლაგებას საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან მორიგი ექსპანსიისთვის რუსეთს კვლავ ეძლევა შესაძლებლობა და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი.

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ვადაჭკორია.**

**– ბატონო შოთა, როგორც ისტორიკოსს, მინდა გკითხოთ, რა არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საფუძველი და რაზე უნდა დამყარდეს შემდგომი თანამეგობრობის პერსპექტივა?**

– ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მთავარი ამოცანა დღეს არის ის, რომ უდიდესი ვალდებულება გვაქვს, გადავარჩინოთ საქართველო. ჩვენს ხელისუფლებას ვალდებულება აკისრია, გამონახოს რუსეთთან საერთო ენა.

რაც შეეხება რუსეთს, სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ის არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა და როგორც ჩვენ ვერ გადავსახლდებით ვერსად, ისიც ვერ წავა თავისი ტერიტორიებიდან. ნურავის აქვს იმის ილუზია, რომ ევროპა „მოვა“ და გადაგვარჩენს.

გავიხსენოთ, როგორი წერილი მისწერა გიორგი ბრწყინვალემ ჯვაროსნული ლაშქრობის დროს საფრანგეთის მეფეს – ჯერ თქვენ ჩამობრძანდით და ორ კვირაში 30 000 მხედრით თქვენთან გავჩნდებიო. გიორგი ბრწყინვალე საფრანგეთის მეფის მხოლოდ სიტყვას რომ დაყრდნობოდა, 30 000 ქართველი მეომარი ამოწყდებოდა მუსლიმანური კოალიციის მიერ. ჩვენ საკუთარი ისტორიის გათვალისწინება გვმართებს და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება.

სამწუხაროა, რომ დღემდე საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული არც საგარეო ურთიერთობების და არც შიდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრიორიტეტები.

**– დამეთანხმებით, ყოველთვის, განვითარების ყველა ეტაპზე, ყველა ქვეყანას ახალი იდეოლოგიური მიმართულებები და ახალი გამოწვევები აქვს. თქვენი აზრით, დღეს საქართველო რა იდეოლოგიური მიმართულებით ვითარდება? ნატოსკენ სწრაფვა არის ჩვენი მთავარი მიზანი?**



შოთა ვადაჭკორია

– დიახ, ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს იდეოლოგია და ამ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე უნდა იყოს დამყარებული ერის ხვალინდელი დღე.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ხაზს ვუსვამ, საუბედუროდ, 90-იანი წლების შემდეგ საქართველოს განვითარების იდეოლოგია არ აქვს.

შევარდნაძის ხელისუფლებას და მის მომდევნო მმართველობას არც კი უზრუნია, რომ შეექმნათ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია.

ერთი რამეცაა: ჩვენ, ქართველებს, სახელმწიფოებრივი გეზი, გზა, იდეოლოგია დიოგენეს ფანრით საძებნელი არ გვაქვს. ის ჩამოყალიბებულია, ოღონდ თანამედროვეობაზე მორგება ესაჭიროება.

ნატოსკენ სწრაფვა ჩვენი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია არ არის, თუმცა თქვენ სწორად შენიშნეთ, როცა ჩვენი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ნატოში შესვლას დაუკავშირეთ. დიახ, ასეთი რიტორიკა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის მესვეურებისგან – სხვა არაფერზეა ლაპარა-



გრიგორი კარასინი და ზურაბ აბაშიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №6–7

კი ნატოსა და ევროკავშირის გარდა.

დღეს, რატომღაც, ყურს ძალადშექმნილ ექსპერტებს უგდებენ და მე, ადამიანს, რომელსაც 35 წლის ისტორიული კვლევის გამოცდილება გამაჩნია, თავს უფლებას ვერ ვაძლევ, ექსპერტი დავირქვა. ის ფსევდოექსპერტები, რომლებსაც არავითარი პასუხისმგებლობა არ აქვთ, უხდიან გასამრჯელოს და ნებისმიერ რამეს ალაპარაკებენ, შეცდომაში შეჰყავთ ხალხი და საზოგადოება. მათი მსჯელობიდან გამომდინარე, ნატოში ინტეგრაცია არის ჩვენი მთავარი მიზანი, არადა, ეროვნული, ძლიერი, ერთიანი საქართველო უნდა იყოს მთავარი მიზანი და მიმართულება.

**— თუკი რუსეთიდან მუდმივი საფრთხე გვექნება, ნატოში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება იქნება საქართველოსთვის ერთიანობის და ძლიერების გარანტიო.**

— აი, სწორედ აქ გვჭირდება ისტორიული გამოცდილება.

უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი ქვეყანა, არც ევროპა და ამერიკა ჩვენი გულისთვის რუსეთს არ დაუპირისპირდება.

დღეს დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო რუსეთის კისერზეა ჩამოკიდებული. ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ლიდერი თავისი ერის საზიანოდ და ჩვენს სასარგებლოდ ნაბიჯს არ გადადგამს.

დასავლეთ ევროპასთანაც უნდა გვქონდეს ნორმალური და ჯანსაღი ურთიერთობები და იმ რუსეთთანაც, რომელმაც აფხაზეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, ე. წ. სამხრეთ ოსეთს რომ ეძახდნენ — წაგვართვა.

ქვების სროლით და ლანძღვა-გინებით ეს ტერიტორიები არ დაბრუნდება, თუმცა არ შეიძლება მუდმივად იმის ძახილი — რუსეთი ოკუპანტი ქვეყანააო. რუსეთს კურილიის კუნძულებიც აქვს მიტაცებული, ტერიტორია, რომელიც ერთი მუჭა იაპონიისთვის სერიოზული მნიშვნელობის მქონეა. იაპონიის ხელისუფლება დღემდე აღიარებს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ შესანიშნავი დიპლომატიური ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან.

იაპონიაზე უფრო ჭკვიანები ვართ? — არა. ჩვენ გახლავართ კლასიკური დონის ბრიყვები.

კი, ბატონო, გვქონდეს კარგი ურთიერთობა ნატოსთან, ოღონდ გავიხსენოთ ხოლმე გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი რომ ჩამოვიდა საქართველოში და თქვა: ვერც დასავლეთ ევროპა, ვერც ნატო ვერ დაარეგულირებს იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არის დაკავშირებული. ამაზე არც კი იოცნებოთო. რაც შეეხება ნატოს, მომდევნო 30 წლის განმავლობაში საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდებაო.

უნდა ითქვას, ბუქარესტის ცნობილმა სამიტმა საქართველოსთვის დამღუპველი როლი შეასრულა.

1920 წელს, როდესაც ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხი წყდებოდა, ევროპის ქვეყნებმა და მათ შორის ინგლისის წარმომადგენლობამ განაცხადა, 1921 წლის შემოდგომაზე საქართველო ერთა ლიგის წევრი იქნებაო. არ მიგვიღეს, მაგრამ მაშინ ერთგვარი მესიჯი გაუგზავნეს რუსეთს: თუ რაიმე პრობლემა გაქვს საქართველოსთან, 1921 წლის შემოდგომამდე მოაგვარეო. იგივე გაიმეორეს 2008 წელს. მაშინ წლის დასაწყისში განაცხადეს, რომ საქართველო შემოდგომაზე ნატოს წევრი გახდებოდა. ეს იყო ისევ მესიჯი და რუსეთმაც იმოქმედა. ისარგებლა ჩვენი ხელისუფლების არასერიოზულობით და ტლინკაობით და მივიღეთ ომი ცხინვალის რეგიონში.

**— ნატოს სასწავლო ცენტრი იხსნებაო და მეტად დაცული არ ვიქნებით? ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია, არ მეთანხმებით?**

— თუ ასეთი ცენტრი მართლა გაიხსნა, ეს ნიშნავს, რომ გადაიჭრება ის არტერია, რაც აფხაზეთის და შიდა ქართლის დაბრუნების პერსპექტივას იძლეოდა.

რუსეთის დაზვერვას ჩვენ ვერაფერს გამოვაპარებთ და ტყუილად ნუ ლაქლაქებენ დეზინფორმატორები.

ის კი არადა, მაპიც რომ გვქონდეს, ასეთი ფორმატიც კი ვერ ავალდებულებთ ჩვენს დაცვას ამა თუ იმ აგრესიისგან. თავდაცვის სამინისტროში ზოგიერთი უვიცი რომ არის დაბანაკებული, კარგად წაიკითხონ ნატოს დებულებები. ნუ ატყუებენ საზოგადოებას. ნატო-ნატოს ძახილი არაფერს მისცემს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ გვჭირდება მყარი გარანტიები. საქართველო მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს მაშინ, თუკი ნატოს წევრი ქვეყნები მოგვცემენ პირობას, რომ 2017 წელს საქართველო გახდება ნატოს წევრი და მინისტერიალი მიიღებს ოფიციალურ დადგენილებას. ასეთ შემთხვევაში გადავდებთ თავს. დღესდღეობით ყოველგვარი ცენტრების გახსნა ჩვენი მხრიდან ჩვენი დიდი სიბრიყვის მანიშნებელია.



**ბაია ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს" პრესსამსახურის ხელმძღვანელი:**

— სწორედ იმ პირობებში, რა დროსაც ე.წ. "ხალიფატის " შექმნის საშიშროება გაჩნდა მსოფლიოში, "ნატოს" ნებისმიერი საწვრთნელი თუ სასწავლო ბაზის შექმნა საქართველოში იმ საფრთხის შემცველია, რომ, განცხადებიდან გამომდინარე, შესაძლოა, რუსეთის მხრიდან კვლავ მორიგი აგრესიის და ტერიტორიის დაკარგვის წინაშე აღმოვჩნდეთ. გვეტყვიან, ამისთვისაა საჭირო ნატოს ბაზაო. ფაქტი ისაა, რომ ნატოს წევრად არ გვიღებენ, არაწევრს კი დახმარებას არავინ აღმოგვიჩენს, თანაც ახლა, "ხალფატის" შექმნის მცდელობის დროს. ახლაც, როგორც მე-19 საუკუნეში, მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში აღმოვჩნდებით. აჭარის მხრიდან თურქეთი, აზერბაიჯანი, (მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნოსის წარმომადგენლები), ჩეჩნეთი და როგორც ვიცით, არც ჯავახეთია დაცული პოლიტიკურ-ეთნიკური პროვოკაციებისგან. მოკლედ, საქართველო, შესაძლოა, დაშალონ და საერთოდ გაქრეს ისტორიული რუკიდან. რაც, ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესის გამოძახილიც იქნება — ტრადიციული და, ისტორიული ქვეყნების, ერების გაქრობის სახით და მეორე მხრივ, კიდევ ხანგრძლივ პოლიტიკურ, ეთნიკურ, რელიგურ და ტერიტორიულ „მართვად ქაოსში" ჩვენი ჩაბმისაც. ნატოს პოლიტიკურ რუკაზე საქართველო, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, საერთოდ აღნიშნულიც არ არის! რუსეთი და აშშ, ეს ორი მონსტრი სახელწიფო, საერთო ენის გამონახვას ყოველთვის ახერხებს. „ნატოს" ბაზის შექმნით აშშ „ორ კურდღელს" დაიჭერს. რუსეთის ბაზის გაყვანაზე თავი იმისთვის მოვიკალით, რომ აქ „ნატოს" ჩაგვეყენებინა?! ჩვენს ტერიტორიაზე ბაზის მოწყობით აშშ რუსეთს „ხარივით აუფრიალებს" წითელ ნაჭერს — საქართველოს. რუსეთისგან წამოსული აგრესიით კი ჩვენ გამოვალთ ხარის როლში. საქმე ისაა, რომ არც აშშ დაუშვებდა მის საზღვრებთან კონკურენტი ქვეყნის ბაზის მოწყობას და ეს ბუნებრივიცაა. ამ შემთხვევაში, „მეგობარი" აშშ ერთმანეთის ხელით ორ მართლმადიდებლურ ქვეყანას გაანადგურებს. ჩვენი სახით "პარტნიორს" და რუსეთის სახით მოწინააღმდეგეს.



ბაია ამაშუკელი

მუდმივად არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაცია (გარდაქმნა) და არა მათი აღმოფხვრა ხდება. ამასწინათ აშშ-ს ექსპერტი საუბრობდა ისლამური საფრთხის შემცველ ჩვენს საზღვრებთან — აჭარასა და აზერბაიჯანთან უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობაზე. მეორე მხრივ, მათგანვე მართული და დაფინანსებული არასამთავრობოების ხელით ერთ ამბავს ტეხენ ან მეჩეთის, ან კიდევ სხვა პრობლემაზე. სწორედ ესაა ორმაგი სტანდარტი. ნატოს და ევროკავშირის მხრიდანაც, საკმარისზე მეტი გზავნილი მივიღეთ იმის თაობაზე, რომ არც ჩვენი და არც უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი კარგა ხანს, უფრო სწორად, საერთოდ არ განიხილება. ის კი, ვინც ამ თემით დაფინასებას იღებს, სხვა სასპეკულაციო არაფერი დარჩენია, იმის გარდა, რომ სულ ამ თემის ირგვლივ აბრუნონ საზოგადოება. წამოვიდგინოთ, ეს თემა რომ ჩამოვაშოროთ ზოგიერთებს, რა დარჩებათ სასაუბრო, არაფერი, ხომ?! ეროვნულ, სულიერ, ქართული ინტერესის თემაზე ისინი ვერ ილაპარაკებენ. ამიტომ ნებისმიერი გზით ნატოსა და ევროკავშირის თემაა "დასაკავებელი" და "სატივტივო". აქ ყველაფერი ნათელია! ევროკავშირსა და ნატოში ჩვენს მიღება-არმიღებასაც, არც "ბროლიასავით კარებზე ფხაჭუნი", არც "კოდალასავით" კარებზე კაკუნი არც "კაფენტების" დაყრა უშველის?! ჩვენ მხოლოდ ჩვენი, ხალხის ინეტრესებიდან უნდა გამოვიდეთ. ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ხელმძღვანელები, მეფეები და მთავარსარდლები საუბრობდნენ მტერთან. იმიტომ რომ ეს ქართველი ხალხის და საქართველოს ინტერესებს სჭირდებოდა. ის კი ვინც, იმაზე ყვირის, რომ ამ ტიპის მოლაპარაკებები არ უნდა წარმოებდეს, მათ სხვა ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ. "დასავლური თემის გარეშე", ხალხის თვალში, ვიმეორებ, რომ მათი პოლიტიკური რეიტინგი "ნულდება" და ფუნქციას კარგავენ. ჩავატაროთ პლებისციტი ან რეფერენდუმი და მხოლოდ იქ გამოვლენილი ხალხის ნების მიხედვით ვიმოქმედოთ. ოღონდ არა ისე, როგორც ეს 2008 წელს, არჩევნებისას იყო. რა დროსაც, უბნიდან 30% პირადად გამოვიტარე "ნატოში" გაწევრიანების სასარგებლოდ. ნაციონალების ოფიციალურ მონაცემებში კი, ამ კონკრეტულ უბანზეც და საერთოდაც, 70%-ი დაფიქსირდა. განსჯა თქვენთვის მომინდვია...

**ირაკლი უბილავა:** — ათი წელიწადია გეოპოლიტიკურ საკითხებს ვსწავლობ და შემიძლია ვთქვა, ყველა მიდგომას აქვს თავისი ახსნა. როცა ტერმინ გეოპოლიტიკას იყენებენ რუსულ-ქართული დაპირისპირებების ჭრილში, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. **საქართველოში რაც ხდება, ეს არის არა რუსულ-ქართული, არამედ რუსულ-ამერიკული დაპირისპირება**.

ნატოს სასწავლო ცენტრს ხსნიანო. ეს ამერიკას სჭირდება სტრატეგიულ პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ და აუცილებელი არ არის მაინცდამაინც რაკეტები დასცხონ საქართველოდან.

**— საიდან ასკვნით იმას, რომ პლაცდარმად სჭირდებით?**

— ეს გახლავთ გეოპოლიტიკის ანბანა.

ალფრედ მეხენიდან დაწყებული კაპლანით დამთავრებული და შემიძლია კიდევ სხვა, დაახლოებით, 50 ავტორი დაგისახელოთ, რომლებიც ერთხმად და პირდაპირ აცხადებდნენ: ჩვენი მთავარი მიზანი არის უნიპოლარული სისტემის შექმნა და ასეთი სივრცე შეიქმნება მაშინ, როცა რუსეთი არ იარსებებსო.

სხვა მეორე პოლუსი რომ არ შეიქმნას, სავარაუდო პრეტენდენტებს, სანამ სუსტია, მანამდე ანადგურებენ.

**— მაგალითად, ჩინეთი?**

— არა. ჩინეთს არ განიხილავენ.

12 gv.

# რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის განთავსება?

11 gv.

რუსეთს თავისი მდებარეობით მნიშვნელოვანი როლი უკავია. რუსეთი არის ის ქვეყანა, რომელიც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა იდეოლოგიას იყენებდა მისიონერული ფუნქციის შესასრულებლად კაცობრიობის ისტორიაში. ჯერ იყო მესამე რომის იდეა, მერე კომუნისტური იდეა; ის არის ერთადერთი სახელმწიფო, რომლის დაჩოქება ვერავინ შეძლო.

**— ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მოდის რუსეთის დაცემის პერიოდი და მაშინ დადგება საქართველოს გაბრწყინების ხანა. რას ფიქრობთ, ამ ჰიპოთეზას რეალობად ქცევა უწერია?**

— რუსეთის პოლიტიკის ანალიზი მხოლოდ მისი ეკონომიკური მდგომარეობით არ განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ძალიან სერიოზული ბუნებრივი რესურსები გააჩნია, უფრო მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის სოციოლოგიური ელემენტები.

**— კერძოდ? როგორი სოციუმია, საერთოდ, რუსეთი. მატერიალისტური არის რუსული საზოგადოება თუ იდეოკრატიული?**

— რუსეთი არის იდეოკრატიული სახელმწიფო. რუსი ხალხისთვის მთავარია სახელმწიფო იყოს ძლიერი, დიადი და ა. შ.

ნებისმიერ ერს აქვს ჩავარდნის და აღმავლობის ფაზები, როგორც გუმილიოვი ამბობდა, პასიონარიზმის ეპოქა.

წესით, ამ პერიოდში უნდა დაწყებულიყო აღმავლობის ფაზა რუსულ საზოგადოებაში, მიუხედავად ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა და დუხჭირი მდგომარეობისა, რაც დასავლურმა სანქციებმა გამოიწვია რუსეთის ეკონომიკაში.

ლევადას ცენტრის მონაცემებით, 85%-ზე არის ასული პუტინის რეიტინგი.

ეს კი იმის ნიშანია, რომ ერი მზადაა, იბრძოლოს ბოლომდე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ლენინგრადის ბლოკადა გაიხსენეთ და პარალელი გაავლეთ. როდესაც რუსი ერის დაკნინებაზე საუბრობენ, რომელიმე დასავლური ქვეყანა და მისი ხალხი, ანგლო-საქსური სახელმწიფო მომაგონეთ, რომ ბლოკადაში ამდენ ხანს გაეძლოს. ეს განსაკუთრებული და განსხვავებული საზოგადოებაა.

რუსეთი დასუსტდებაო...

ამით ვერაფერს მოიგებს ევროპა.

ევრაზიის კონტინენტზე თუ ომი მოხდა, ეს ომი ყველაზე მეტად ევროპულ ერებს და სახელმწიფოებს შეეხება და არა ამერიკას, რომელიც სულ სხვა კონტინენტზე იმყოფება...

ყველამ იცის, რომ რუსეთი უკან არ დაიხევს, ამიტომაც არ ცდილობენ შეაჩერონ ნატოს გაფართოების პროცესი.

პუტინის გამოსვლა მიუნხენში პირდაპირი მინიშნება იყო იქითკენ, რომ რუსეთი არ დაუშვებს ერთპოლუსიან მსოფლიოს.

**— რუსეთისადმი ახალ-ახალ პროვოკაციებს რომ გეგმავენ, არ ითვალისწინებენ ისტორიას, წარსულს, აწმყოს? თუ რისკსა და ავანტიურას უპირისპირებენ რუსეთს ერთპოლუსიანი მსოფლიოს ინტერესით?**

— პოლიტოლოგ ალენ დე ბენუას თავის ნაშრომში მოტანილი აქვს გორბაჩოვის მრჩევლის არბატოვის სიტყვები, როცა ის ამერიკელებს ეუბნება: უარეს მდგომარეობაში ჩაგაგდებთ. თუ საბჭოთა კავშირი დაიშალა, მოწინააღმდეგის გარეშე დარჩებითო!


ირაკლი უბილავა

ამის შემდეგ იწყება ტერორიზმის ფაზა, ანუ ახალი წინააღმდეგობის გაჩენა, მოწინააღმდეგის შექმნა ტერორიზმის სახით.

საერთო მიზანი კვლავ ერთია — რუსეთის დესუვერენიზაცია და მასზე ტოტალური კონტროლის დამყარება.

**— საქართველოს პოზიცია როგორ წარმოგიდგენიათ ამ ვითარებაში?**

— ხშირად გვესმის, რომ რუსეთი არის ჩვენი მტერი. მაგრამ დავსვათ კითხვა: რატომ გახდა ჩვენი მტერი? ან არის ის ჩვენი მტერი თუ ჩვენ ვართ რუსეთის მტრები? სხვათა შორის, ასეც დგას საკითხი.

საქართველო რუსეთის მტერი გახდა მას შემდეგ, რაც ის წარმოსდგა, როგორც რუსეთის მტრის მეგობარი.

დღევანდელი ხელისუფლება რაღაც კუთხით წინააღმდეგობას უწევს დასავლეთს და არ ეთანხმდება ყველაფერში, როგორც „ნაცმოძრაობა".

ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, დღეს გაქანებული ომი იქნებოდა რუსეთთან.

გადავავლოთ თვალი უკრაინის მოვლენებს. სამოქალაქო ომია და გარე ძალებიც არიან ჩართულნი ამ ომში. ეს ბუნებრივი პროცესია.

„ნაცმოძრაობის" მთელი შემადგენლობა გადაისროლეს უკრაინაში.

50 მლნ-იან ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ცენტრი იყო სსრკ-ში, ნებისმიერი მიმართულების მეცნიერთა კონტინგენტი იყო და არის და აქედან რომ მიჰყავთ ნაციონალები, ეს, ცხადია, პოროშენკოს ახირება არ გახლავთ.

**— ბევრი ამბობს და არსებობს ასეთი ვარაუდები, რომ სააკაშვილი და ნაცმოძრაობის წევრები რუსეთის კგბ-ს აგენტები არიან. მათ საქართველოში რუსეთის საქმე გააკეთეს — სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდეს რუსებს და ა.შ. უკრაინაშიც იგივეს აკეთებენ, ანუ, რუსეთის საქმეს: ნახევარი უკრაინა რუსეთს მიუერთესო.**

— ეს მოსაზრება არის სრული აბსურდი.

ყველას გვახსოვს, ამბობდნენ, მიშა სააკაშვილი კგბ-ს სკოლაში სწავლობდაო და ა. შ. დიახ, მიშა იქ სწავლობდა, მაგრამ, როცა სსრკ დაიშალა, სახელმწიფო სტრუქტურები: კგბ და სხვა მსგავსი სტრუქტურებიც დაირღვა.

იმ ხანებში თემურ ალასანია ნიუ-იორკში მუშაობდა. ნიუ-იორკში საბჭოთა კავშირის დროს გაეროს წარმომადგენლობაში რომ მუშაობ, სპეცსამსახურების გადამოწმების გარეშე ვერ იმუშავებდი, ანუ ის იყო ჩვეულებრივი „კაგებეშნიკი". ცენტრი რომ დაირღვა, ბევრი აგენტი ამერიკის მხარეს გადავიდა. მიეყიდა მათ.

ამის შემდეგ თემურ ალასანიას დის შვილი მიჰყავს კოლუმბიის უნივერსიტეტში, რომელიც პოლიტიკური ელიტების სამჭედლოდ მოიაზრება. 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური სექტორი მთლიანად ლიბერალი რუსი ეკონომისტებით იყო სავსე, რომლებიც მთლიანად კონტროლდებოდნენ შესაბამისი დასავლური სამსახურების მხრიდან. იცით ამ ადამიანების კაპიტალი დღეს სად არის დაბანდებული?



დასავლურ ოფშორებში, ხოლო რუს ლიბერალებს მართავენ დასავლური წრეები.

მსოფლიოში არსებობს ერთიანი საფინანსო სისტემა, რომელსაც მთლიანად ამერიკელები აკონტროლებენ.

ნებისმიერ ადამიანს საათში გაუყინავენ ნებისმიერი რაოდენობის კაპიტალს.

ყველა მსხვილი კომპანია და მისი მფლობელი დაკავშირებულია შეერთებულ შტატებთან და მათ დასავლურ საფინანსო წრეებთან.

კადაფის მაგალითი ავიღოთ: მან წინააღმდეგობა გასწია და 30 მლრდ გაუყინეს...

**— ამბობენ, ე. წ. „ვარდების რევოლუციის" პერიოდში დასავლური წრეები აქტიურად ჩაერივნენ იმ „რევოლუციის" ორგანიზებაშიო.**

— დასავლეთმა, ჩემი აზრით, უკვე აშკარად დააფიქსირა თავისი პოზიცია ნაცების პირით, როცა 21 მარტის აქცია დააანონსეს. „ნაცმოძრაობას" მთლიანად აკონტროლებენ ამერიკელები. მათ იციან, რომ „ნაცმოძრაობის" რეიტინგი ხალხში ძალიან დაბალია. მათ იციან, რომ ნაციონალების მობრუნება ხელისუფლებაში წარმოუდგენელია დღეს, ამიტომ ვვარაუდობ, სიტუაციის დესტაბილიზაცია სურთ ქვეყნის შიგნით.

აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატმა მეტ-ნაკლებად დააფრთხო აშშ-ი, არასასიამოვნო ფაქტია მათთვის რკინიგზის გახსნაზე საუბრები აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამიტომ დაიწყეს ფიქრი აქ ხელისუფლების ცვლილებებთან დაკავშირებით.

**— აბაშიძე-კარასინის დიალოგის მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებზე შეგიძლიათ გვესაუბროთ?**

— დიალოგი აუცილებელია. რადგან, როცა კომუნიკაცია არ არსებობს, ყველაფერს წყვეტს უხეში ძალა. რუსეთს შეუძლია ტანკები თბილისში შემოიყვანოს და თავისი გეოპოლიტიკური ზრახვები განახორციელოს. რა ჯობს: ტანკებით შემოსვლა თუ პოლიტიკური ვაჭრობა?!

ერგნეთის ბაზრობა გავიხსენოთ. მიშას ამ ბაზრობის გაუქმება რომ არ მოეთხოვა, ოსურ-ქართული კონფლიქტი, ფაქტობრივად, მოგვარებული იყო. თუ რკინიგზა გაიხსნება, იგივე კომუნიკაციის აღდგენა მოხდება აფხაზებსა და ქართველებს შორის.

რუსეთი ეკონომიკური კუთხით კავკასიაში ბევრს არაფერს იგებს. აქ კონტროლის დამყარება რუსეთისთვის წმინდა სამხედრო თვალსაზრისით არის საინტერესო. ის კონტინენტური ტიპის იმპერიაა და ცენტრსა და მის გარშემო ზონების უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

**— თქვენ წეღან ხელისუფლების მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბრობდით. თუკი ასეთი რამ მოხდა, ვინ შეიძლება მოვიდეს ხელისუფლებაში და შესაბამისად, როგორი იქნება რუსულ-ქართული ურთიერთობების მომავალი და პერსპექტივა?**

— თუ ასეთი რამ მოხდა, არ მგონია, ეს ძალა „ნაცმოძრაობა" იყოს, მაგრამ მათზე არანაკლები მედასავლეთეები გახლავთ რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები", რომლებზეც, სავარაუდოდ, ფსონს დადებს აშშ-ის შესაბამისი წრეები. დაუკვირდით, როგორი აგრესიულია ირაკლი ალასანიას განცხადებები. „ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს აგრესიული რუსეთის მიმართ", — თქვა მან ერთხელ. თუ ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში, დამერწმუნეთ, უფრო უარესი სიტუაცია დადგება, ვიდრე იყო ნაციონალების დროს.

21 მარტსაც დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი.

გამოიძიეს, რა მოხდა უკრაინაში, ათობით მომიტინგეს რომ ინკოგნიტო მკვლელები ხოცავდნენ?

არეულობების ესკალაცია იმ სნაიპერის შემდეგ დაიწყო, რომელიც კლავდა მშვიდობიან მომიტინგეებს.

ვინმე დარწმუნებულია იმაში, რომ „ნაცმოძრაობის" წევრები სნაიპერებს არ დაიქირავებენ და რამდენიმე ადამიანს არ მოკლავენ?!

უკრაინაში ყველაფერი ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულებას მოჰყვა, მაგრამ სიტუაცია რომ აირია, „მაიდანზე" ვინ დარბოდა? — ჯეფრი პაიეტი, ვიქტორია ნულანდი, ევროპელი გინახავთ იქ ვინმე? ამიტომ ვამბობ, საშიშროება დიდია. მეტი ყურადღება და სიფრთხილე არის საჭირო.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



გივი მარგველაშვილი

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# ადამიანი, რომლისთვისაც ცხოვრება იმ ადგილად იქცა, სადაც ცხოვრება შეუძლებელია

გერმანიაში დაიბადა, ერთხანს საქართველოში იცხოვრა, შემდეგ ისევ თავის დაბადების ადგილს დაუბრუნდა, მერე ისევ თბილისში ცხოვრება არჩია... ამ მრავალჯერადი მოგზაურობა-მიგრაციის დროს ეძებდა ადგილს, სადაც თავს დაიმკვიდრებდა, ცხოვრებას შეძლებდა. ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, მიაგნო თუ არა „კომფორტულ“ საცხოვრისს, მაგრამ ნამდვილად მოძებნა თავისი ადგილი, სადაც თავი „შინ“ იგრძნო: თავისსავე ნაწერებში, ლიტერატურაში. მისი შემოქმედების, მისი ფენომენის შეფასებისას ხშირად იყენებენ სიტყვათშეთანხმებას – „უსამშობლოო მწერალი“, კულტურის მკვლევართა ერთი ნაწილი კი ასეთ შემოქმედ ადამიანებს უსადაგებენ ტერმინებს: „დეფისის იდენტობა“, „ჰიბრიდული იდენტობა“ – როცა მიგრაციაში მყოფი ორი ქვეყნის კულტურას წარმოადგენს და აერთიანებს.

**„როგორც ჩანს, ჩემმა ბედისწერამ თავად განსაზღვრა ის, რომ აქტიურად ჩავმდგარიყავი ამ ორი ქვეყნის – საქართველოს და გერმანიის კულტურული ურთიერთობების სამსახურში. ამის ძირითადი წინაპირობა, ალბათ, ის მოცემულობა გახდა, რომ მე სწორედ ამ ურთიერთობების შუალედურ სივრცეში მოვევლინე ქვეყანას“,** – აღიარებს გივი მარგველაშვილი, რომელსაც ხშირად ქართველ მწერლად და ფილოსოფოსად მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოწიფულ ასაკში ისწავლა, ხოლო მისი სამწერლობო ენა გერმანულია.

**„მისმა ბიოგრაფიამ, შეიძლება ითქვას, განაპირობა მისი ლიტერატურაც. უფრო მეტიც, განაპირობა საერთოდ ის, რომ გივი მარგველაშვილი გახდა მწერალი და უფრო მეტიც – ის, რომ მისი ცხოვრება გახდა ლიტერატურა. ერთი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, გივი მარგველაშვილისთვის „ცხოვრება იქცა იმ ადგილად, სადაც ცხოვრება არ შეიძლება“. ამიტომ უნდა გამოინახოს რაღაც სხვა ადგილი, სხვა სივრცე, სადაც ამ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს, შეუძლია ისუნთქოს. აი, ასეთი ადგილი გახდა მარგველაშვილისთვის ლიტერატურა“** (ალექსანდრე კარტოზია – გერმანისტი, გივი მარგველაშვილის შემოქმედების მკვლევარი).

გივი მარგველაშვილის ოჯახის ბიოგრაფია რთული, უჩვეულო, მოულოდნელი და ტრაგიკული მოვლენებით არის სავსე: მამა – ტიტე მარგველაშვილი, გერმანიაში განათლების მიღებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოში მოღვაწეობდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ბოლშევიკების მოწინააღმდეგე, თბილისში წითელი არმიის შემოსვლისა და საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, იძულებული გახდა ოჯახთან ერთად გერმანიაში გადასახლებულიყო. ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიასა და აღმოსავლეთმცოდნეობას ასწავლიდა. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემა „კავკასიონთან“. გივი და მისი და ბერლინში დაიბადნენ. დედამ – მარიამ ხეჩინაშვილმა ნოსტალგიით გამოწვეულ სევდას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. პატარები (იმ დროს გივი 4 წლისა იყო, და – მასზე უფროსი) გერმანელმა ძიძებმა გაზარდეს. ამიტომაც იქცა გერმანული მათ მშობლიურ ენად.

ჰიტლერის დიქტატურამ და ომის მძიმე წლებმა მარგველაშვილების ოჯახის თავზეც გადაიარა. ბერლინში განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის შესვლა ტიტე მარგველაშვილისთვის ტრაგედიის ტოლფასი იყო (მის ცხოვრებაში საბჭოთა არმიამ, კიდევ ერთხელ შეასრულა საბედისწერო როლი). მეორე მსოფლიო ომის შედეგად ბერლინი ორად გაიყო და მარგველაშვილები მის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – საბჭოთა უშიშროების სამსახურის დავალებით, ტიტე მარგველაშვილი, რომელიც 1941 წლიდან ბერლინის ქართულ სათვისტომოს ედგა სათავეში და ქართველ ემიგრანტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მისმა გიმნაზიის მეგობარმა (ამ საქმეში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მოღვაწე) ბერლინის აღმოსავლურ – საბჭოურ ნაწილში შეიტყუა. ამბობენ, ტიტე მარგველაშვილის მოტაცებაში ბერიას ხელი ერიაო. მამას თან ახლდა ვაჟი – 18 წლის გივი მარგველაშვილი. ორივე დააპატიმრეს, მამა საქართველოში გაგზავნეს, აწამეს და 1946 წლის ოქტომბერში დახვრიტეს, ხოლო შვილი გამოკეტეს ფაშისტების ცნობილ ზაქსენჰაუზენის ბანაკში, რომელიც ომის შემდეგ საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკად იქცა. გივი მარგველაშვილი 1947 წლის ბოლომდე იქ იყო, დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ გაუსაძლის პირობებში ყოფნამ მისი ჯანმრთელობა სერიოზულად შეარყია. წელიწადნახევრის შემდეგ გაათავისუფლეს,




მაგრამ გერმანიაში დარჩენა აუკრძალეს და მამის სამშობლოში გამგზავრების ნება დართეს.

„ხალხის მტრის“ შვილი თბილისში ნათესავებთან ცხოვრობდა, მაგრამ ეს მისთვის სრულიად უცხო გარემო იყო. აქ ისწავლა ქართული, როგორც უცხო ენა (ამბობენ, მაინცდამაინც ვერ გაუშინაურდაო), დაამთავრა უცხო ენების ინსტიტუტი და იქვე მუშაობდა გერმანულისა და ინგლისურის მასწავლებლად. მერე მეცნიერებათააკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. თბილისშივე დაიწყო წერა, კერძოდ, მისთვის საყვარელ ჰაიდეგერის ფილოსოფიაზე, წერდა ფილოსოფიურ ნაშრომებსა და რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს მშობლიურ გერმანულ ენაზე. თბილისში ცხოვრების პერიოდში მისი არც ერთი წიგნი არ გამოცემულა. 60-იან წლებში საქართველოს ორჯერ სტუმრობდა ცნობილი გერმანელი მწერალი, მომავალი ნობელიანტი ჰაინრიხ ბიოლი. თბილისში ყოფნისას იგი ესტუმრა გივი მარგველაშვილს, გაეცნო მის ნაწერებს, რომელთა შესაფასებლად აღმატებული ეპითეტები არ დაიშურა, დახმარებასაც დაჰპირდა, მაგრამ საბჭოთა უშიშროების სამსახურის „წყალობით“, დანაპირები ვერ შეუსრულა.



40 წელზე მეტი იცხოვრა თბილისში, სადაც ვიწრო სამეგობრო წრე ჰყავდა. მის მეგობრებს შორის იყვნენ ლიტერატორები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, კულტურის დარგის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ხელისუფლება დიდად არ სწყალობდა. ბატონი გივის სახლში ისინი ეცნობოდნენ მწერლისა და მოაზროვნის გამოუქვეყნებელ ნაწერებს. ლიტერატურული საღამოების უცვლელი მონაწილეები იყვნენ რეზო ყარალაშვილი, ნოდარ კაკაბაძე, მერაბ მამარდაშვილი...

ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“ დადგომისთანავე, მიეცა შესაძლებლობა თავისი ნაშრომების გამოქვეყნებისა გერმანიაში, სადაც 1992 წელს დაბრუნდა კიდეც. მაგრამ იყო კი ბერლინში ჩასვლა შინ დაბრუნება? მისი არყოფნის დროს იქაურობა მეტისმეტად შეცვლილიყო, მისთვის გაუცხოებულ სამყაროში ასევე უცხო ხალხი დახვდა. იქნებ სწორედ ამიტომაც ფიქრობს, რომ გვიან დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. კარგად იცის თავისი წიგნების ფასი, ძირითადი მკითხველი მაინც იქ ეგულება, გერმანულენოვან სამყაროში, მაგრამ მკითხველთა ფართო წრისთვის ის მაინც უცხოა. გულდაწყვეტილია, წიგნებს ისეთი რეზონანსი არ აქვს, როგორსაც იმსახურებსო.

ჰამბურგელი ფილოსოსფოსი, გივი მარგველაშვილის შემოქმედების დიდი დამფასებელი ფრანკ ტრემელი ამბობს:

**„ეს უსამშობლოობა, რა თქმა უნდა, ჩვენი ეპოქის ნიშანია. ამდენად, შესაძლებელია, რომ მისი ლიტერატურა მომავლის ლიტერატურაა, შესაძლოა მომავალმა თაობებმა უკეთ გაიგონ, რადგანაც ის, რაც მან გადაიტანა და რის შემოქმედებითად გადამუშავებასაც ცდილობს, გარკვეული თვალსაზრისით, სიმპტომატურია და არ არის მხოლოდ ინდივიდუალურად ტრაგიკული ბედი“.**

90-იან წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა გივი მარგველაშვილის რომანები, პროზაული კრებულები, გერმანიის ტელევიზიამ მასზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი, ლექციების წაკითხვა შესთავაზეს გერმანიისა და ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, მიიწვიეს ზაარბრიუკენის „ქალაქის მწერლად“, 1994 წელს ისევ მიიღო გერმანიის მოქალაქეობა, დაენიშნა გერმანიის პრეზიდენტის საპატიო სტიპენდია, 1995-ში მიიღო „ბრანდენბურგის საპატიო ლიტერატურული პრემია მთელი მისი შემოქმედებისათვის“, 1997 წელს – ბერლინის ლიტერატურისა და ხელოვნების პრემია, 2006 წელს ქალაქ ვაიმარში გადაეცა გოეთეს მედალი, 2008-ში მიენიჭა გერმანიის უმაღლესი ჯილდო, დამსახურების ორდენი – ფედერალური ჯვარი... თითქოს მიიღო ყველაფერი, რაც გამორჩეულ და გამოჩენილ შემოქმედს შეიძლებოდა მიეღო, თანამედროვეობის განსაკუთრებულ შემოქმედად აღიარეს, მაგრამ ამის მიუხედავად, 2011-ში გულმა ისევ საქართველოსკენ გამოუწია, სადაც მისი შემოქმედების უამრავი დამფასებელი ეგულებოდა.

გერმანიაში ათეულობით წიგნია გამოქვეყნებული, რუსულადაც, ქართულად კი მხოლოდ რამდენიმეა თარგმნილი: ავტობიოგრაფიული მრავალტომიანი რომანის „კაპიტან ვაკუშის“ ორი წიგნი, „მუცალი. ქართული რომანი“, მინიატიურები, ფილოსოფიური და ენათმეცნიერული შრომების ნაწილი, პიესები, ისტორიული ზღაპრები, რომელთაგან ერთ-ერთი – „მაყურებელთა დარბაზი“ თბილისში, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში დაიდგა. ამ ისტორიული ზღაპრის მოტივების მიხედვით გივი მარგველაშვილზე გადაიღეს ფილმი, რომლის ავტორები არიან მარიკა ლაფაური-ბურკი და ნიკო ტარიელაშვილი.

შარშან ქართულად გამოიცა გივი მარგველაშვილის მინიატიურების კრებული „მე წიგნის გმირი ვარ“:

გივი მარგველაშვილის ბოლოდროინდელი რომანი ასეა დასათაურებული – „კანტაქტი“ (Der Kantakt); მასში მთავარი სიტყვაა კანტი. როგორც ავტორი განმარტავს, უნდოდა, ხალხს სცოდნოდა, როგორ ცხოვრობდა ამ ორ სახელმწიფოს შორის, როგორ ეძებდა „კანტაქტს“ საზოგადოების ყველა ფენაში, როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოში დაბრუნებით მან ეს „კანტაქტი“ იპოვა.

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



2011 წლის ივლისში გაავრცელა სააგენტო „Reuters-მა“ სენსაციური ინფორმაცია, რომ ციურიხში მდებარე გენეალოგიური კვლევების ცენტრმა იგენეა ტუტანჰამონის დნმ-ის კვლევის შედეგები გადასცა ეგვიპტელ კოლეგებს. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონი ეგვიპტის მე-18 დინასტიის შთამომავალი, კავკასიელი, დიდი ალბათობით, ქართველი იყო. რა იყო იმის მიზეზი, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები მსოფლიო ფართო განსჯის საგანი არ გახდა, გასაგებია, მაგრამ თვით საქართველოში რომ წაუყრუეს, ეს კიდევ უფრო გასაოცარია. ნებისმიერი ქვეყანა და ნებისმიერი ერი იამაყებდა ამგვარი აღმოჩენით, საქართველო კი კიდევ ერთხელ დაამუნჯეს საკუთარ ისტორიაზე (ქართველი ერის ისტორიას, ყველაზე მცირე, 25 000 წელი აქვს მოპარული), მხოლოდ ახლაღა დაიწყეს ოთხი წლის წინანდელი ინფორმაციის ფრიალი, თითქოს ახალთახალი ამბავია, ისიც, რუსული მედიით გავრცელებული.

### ტუტანჰამონი (თუთანჰამონი)

ეგვიპტის რესპუბლიკის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივნის ზაჰი ჰავასის განცხადებით, ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთა განსაკუთრებული სიფრთხილით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მუმია აბსოლუტურად არ დაზიანებულა. დნმ-ის სინჯი აიღეს მარცხენა მხრისა და მარცხენა ფეხის ძვლოვანი ქსოვილიდან. მისი თქმით, მთავარი მიზანი იყო დადგენა და ნათელის მოფენა ფარაონის ოჯახის ნათესაური კავშირებისა, რომელიც ძალზე არეულია, საიდუმოებებითაა მოცული მრავალრიცხოვანი ინცესტების გამო.

ფარაონის დნმ-ის ევროპელებთან შედარებამ დაადგინა, რომ მას ევროპელებთან გაცილებით მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე ეგვიპტელებთან (1%). ანუ ევროპელი მამაკაცების ნახევარი ფარაონ ტუტანჰამონის ნათესავი აღმოჩნდა, ზოგ ქვეყანაში კი ამ მაჩვენებელმა 70%-ს მიაღწია, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში, კავკასიაში კი, კონკრეტულად ქართველები არიან პრეტენდენტები პირველი ევროპელობისა, აკვანი ევროპული ცივილიზაციისა.

ბიოლოგების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე ეგვიპტელები საერთო მასაში დეგრადირებული ფარაონის შთამომავლები კი არ არიან, არამედ არავითარი საერთო არ აქვთ თავიანთ უძველეს მმართველებთან.

ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთის მონაწილე, მეცნიერმა რომან შოლცმა განაცხადა, რომ ეგვიპტელი ფარაონებისა და ევროპელი ადამიანების საერთო წინაპარი 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. დაახლოებით 7000 წლის უკან მათი პირდაპირი შთამომავლები განსახლდნენ ევროპაში, რაღაც ნაწილმა კი მიაღწია ეგვიპტემდე და იბარტყა ფარაონებად.

გამოდის, რომ დაწყებული ტუტანჰამონის ბაბუის, ბაბუის ბაბუისგან და მისი ჩათვლით იყვნენ კავკასიელები. რაც შეეხება ევროპელებს, გენეტიკური თვალსაზრისით არცთუ ძლიერ დაშორებიან წინაპარ კავკასიელებს.



ტუტანჰამონის მუმიის გარდა მეცნიერებმა გამოიკვლიეს კიდევ 16 მუმიის დნმ და მათ შორის ახლო ნათესაური კავშირის დადგენას შეეცადნენ. დადასტურებულად აღმოჩნდა, რომ ტუტანჰამონი მართლა მამამისის, ეხნატონის შვილია და ამენჰოტეპ III-ის შვილიშვილი. მეცნიერებმა მიაკვლიეს ბებიას, თაიასაც, ეხნატონის დედას. დედის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გავრცელებულა, ანუ უცნობია ვინ არის ქალის მუმია, ეხნატონის და თუ თვით ნეფერტიტი, მამის პირველი ცოლი.

აღნიშნული კვლევითი ცენტრის აზრით, აგროკულტურის განვითარებამ გამოიწვია ამ ჯგუფის ხალხების მიგრაცია კავკასიიდან ევროპაში, მაგრამ ვერ ხსნიან როგორ მოხვდნენ ტუტანჰამონის წინაპრები კავკასიიდან ეგვიპტეში.

„ისტორიის მამა“, ჰეროდოტე წერდა, რომ ეგვიპტელები და კოლხები მონათესავე ხალხები არიან, მხოლოდ ისინი ამუშავებდნენ სელს ერთნაირად და ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ, ასევე, თმა, კანის ფერი... და ამტკიცებს, რომ ეგვიპტელები სკვითების დამარცხების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ, როდესაც მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, მდინარე ფაზისთან. ამ აზრს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სიმონ ყაუხჩიშვილი, რაკილა ეგვიპტე არის ჰეროდოტესთვის ძირითადი წყარო თითქმის ყველაფრისთვის, კოლხთა თავდაპირველ სამშობლოდაც ეგვიპტე მიაჩნიაო. და აი, უახლესი მეცნიერული კვლევით დასტურდება, რომ პირიქით ყოფილა, საქართველოდან წასულან ეგვიპტეში...

### ნეფერტიტი

ძვ. წ. XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფო, მითანიის მეფე, რატის და, თათუ, ქიმეთის (ეგვიპტის) ფარაონ ეხნატონ-აჩინას მეუღლე გახდა. თათუს, ტრადიციულად, ახალი სახელი დაერქვა – ნეფერტიტი, რაც უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ულამაზეს ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. (სხვათაშორის, ანმარესა და თათუ-ნეფერტიტს, ორივეს, ერთნაირი გვირგვინი ადგათ (ახურავთ).

ფარაონ ექნატონის (ეხნატონის) შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა უფროსი ქალიშვილი ანქისეპა – ანუნა. სამი-ოთხი წლის შემდეგ ნეფერტიტი გარდაიცვალა და ტახტზე 8-10 წლის თუთანქი – თუთანჰამონი დასვეს, რომელიც ქვეყანას ნათესავების მეშვეობით მართავდა, უპირველესად, ქვეყნის მეორე კაცის, უმაღლესი ქურუმის, მეფე რატის ძმის, თათუ-ნეფერტიტის მაზლის, კოლხი აიეს დახმარებით.



თუთანჰამონის გარდაცვალების შემდეგ ფარაონი თვით კოლხი აიე გახდა, რომელიც ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ეგვიპტეს. (როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, თათუ-ნეფერტიტის უმცროსი ასული, მენი-ატ(თ)ინა, ქართველი დედოფალი, ქადაშმან მეფის მეუღლე იყო და ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში).

ქიმეთიის (ეგვიპტის) პირველი ფარაონის, ნარმერის, ანუ მენესის ჩათვლით, კლეოპატრას დრომდე ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო. ექნატონი, მისი მამა (ამენჰოტეპი), მისი მეუღლე (თათუ), მათი შვილი (თუთანჰამონი), თათუს ბიძა აიე (ეიე), რამზეს I რამზეს II რამზეს III და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები (ქართველები) იყვნენ.

კოლხური ცივილიზაციის პერიოდი დიდ ხნით უსწრებს ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდს, რომელთა სარკოფაგებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი, კოლხური წარმომავლობისაა, ნათლად ჩანს კოლხური მეტალურგიული წარმოების პრიორიტეტი.

(სხვათაშორის, გერმანელ სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზე შეესწავლათ საყდრისი-ყაჩაღიანში უძველეს დროში ოქროს მოპოვების შესაძლებლობის ვარაუდი. მათი დასკვნა გამყარებული იყო დადასტურებული ინფორმაციით, რომ ქართული ოქროს სერიოზული კვალი აღმოჩენილი იყო ეგვიპტური ოქროს სამკაულების ნიმუშებზე. ეს ცხადჰყოფს უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომ საქართველოში იმ უძველეს დროში არსებობდა მაღალგანვითარებული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც ეწეოდა ოქროს მოპოვებას; და რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ეს სახელმწიფო სავაჭრო კავშირში იყო ეგვიპტესა და ანტიკური სამყაროს სხვა დიდ ცივილიზაციებთან)

### ბალზამირება და საწამლავი

სადავო არ უნდა იყოს, რომ წამალთმცოდნეობა სწორედ საქართველოდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში და დაკავშირებულია კოლხეთის მეფის, აიეტის ქალიშვილ მედეასთან. სიტყვა „მედიცინა“ მედეადან მომდინარეობს, თუმცა „მედოს“ ბერძნულად მკურნალობის მცოდნეს, გრძნეულს, ბრძენს ნიშნავს. ცნობილია, რომ ძველ კოლხეთში, ფაზისთან (დღევანდელი ფოთი) მედეას დედას, სეკატას გაშენებული ჰქონდა სამკურნალო მცენარეების ბაღი; ასევე, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით, მედეა ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამებისა და წამლისთვის გამოსადეგ მცენარეთა გარშემო ხეტიალს იყო მიჩვეული (ალბათ, ფაზისის ღვთაების, კიბელას ტაძარი იგულისხმება). გასაგებია, წამლისა თუ საწამლავისთვის მცენარეების შეგროვება, მაგრამ გვამს, ბუნებრივია, მხოლოდ უხრწნელობის შესანარჩულებლად (ან ხანგრძლივად შესანარჩუნებლად) თუ დასჭირდებოდა წამალი. ამდენად, ეგვიპტელი ფარაონების მუმიფიცირებისა და მათი კავკასიურ, კონკრეტულად ქართველებთან გენეტიკური კავშირი კიდევ ერთი მარცვლით გაიზრდება, თუ ვიტყვით, რომ ეგვიპტეში იმ პირს, რომელმაც დაბალზამების საიდუმლო იცოდა „კოლხს“ უწოდებდნენ.

ალბათ, ბევრ ჩვენგანს აქვს ნანახი ლამაზი და ნაზი მცენარე სახელწოდებით „კოლხიკუმი“, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს, რომ მსოფლიოში კოლხეთიდან გავრცელდა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კოლხმა მედეამ სწორედ ამ მცენარისგან მოამზადა მსოფლიოში პირველმა საწამლავი.ო(წყალი ლარნაკში, რომელშიც ეს ულამაზესი და უძვირფასესი ყვავილები გვიწყვია, შხამიანია და ამ მცენარესთან შეხების შემდეგ აუცილებლად გულმოდგინედ უნდა დავიბანოთ ხელები. სხვათაშორის, კოლხიკუმს კავკასიონის ქედის კახეთი-თუშეთის მონაკვეთის გადაღმაც შეხვდებით)

(გაგრძელება იქნება)



ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.



**არჩილ ჭყოიძე:**

# საქართველო „ნაცმოძრაობამ“ 15 მილიარდი დოლარით თუ გაძარცვა, უკრაინაშიც იშოვიან სერიოზულ თანხებს, რომ ქართული „მაიდანი“ დააფინანსონ

გვესაუბრება „ერეკლე მეორის საზოგადოების“ თავმჯდომარე **არჩილ ჭყოიძე:**

**— არჩილ, ამბობენ, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრი უნდა გაიხსნასო. ხომ არ იქნება ცენტრის გახსნა ახალი კონფრონტაციის საბაბი რუსეთ-საქართველოს შორის?**

— აშშ-ის პოლიტიკურმა წრეებმა აღიარეს, რომ 5 მლრდ დოლარით დააფინანსეს „მაიდანი“. მათ სურთ დაძაბონ სიტუაცია რუსეთის საზღვრებთან და ვისი ხელით გააკეთებენ ამას, მნიშვნელობა არ აქვს.

ახლახან მოსკოვში მოკლეს ბორის ნემცოვი.

პუტინს ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდა ბორის ნემცოვი. პირიქით, ვლადიმერ პუტინს აწყობდა კიდევაც მისი მსგავსი ოპოზიციონერი ცოცხალი, ვიდრე ის, რომ ახლა შეიძლება დაიწყონ „მაიდანის“ ტიპის არეულობის პროვოცირება და ა.შ. ყოველივე ეს არ აწყობდა პუტინს და ყველაზე მეტად ხელს აძლევდა დასავლეთს — არეულობა რუსეთსა და მის დედაქალაქში.

**— არჩილ, პუტინი არის პრობლემა დასავლეთისთვის? თუ ნებისმიერი, ვინც იქნება, თავსატეხი იქნება, სანამ რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა?**

— დასავლეთისთვის პუტინი კი არაა პრობლემა, პრობლემა, ზოგადად, ტრადიციული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკოსები და ქვეყნები არიან. პრობლემა იყო სადამ ჰუსეინი, კადაფი, ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თავიანთი სახელმწიფო მათი ხალხისაა.

სადამ ჰუსეინი მას შემდეგ იქცა მტრად, რაც ნავთობის წილები არ გადასცა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.

თუ რუსეთში იქნება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც რუსეთს საჯიროთოდ დაუთმობს დასავლეთს, მტრად არ იქნება მოაზრებული. მაგრამ ნებისმიერ ქვეყანაში პარიოტი ძალა, მაგალითად, ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი, ფაქტობრივად, მოკლეს, რადგან იგი პრობლემა იყო დასავლეთისთვის.

საქმე ისაა, რომ ამერიკელი მოქალაქე 10-ჯერ მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე, თუნდაც, ევროპელი. რის ხარჯზე უნდა მოხდეს ეს? — უნდა განხორციელდეს ქვეყნების გაღატაკება, რათა ამერიკულმა საზოგადოებამ ფუფუნებაში იცხოვროს. დანარჩენი ქვეყნების რესურსების გადასროლა უნდა მოხდეს აშშ-ში.

**— საქართველო მართავს თავის სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე?**

— გაგახსენებთ რამდენიმე კვირის წინ ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას. მან თქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მილიონობით დოლარით ფინანსდება და არის გაურკვეველი ხარვეზები. ამის შემდეგ, მომდევნო დღეს, ჩვენ მოვისმინეთ აშშ-ის ელჩის ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს ორგანიზაციები თანამშრომლობენ აშშ-ის საელჩოსთან და ამის გამო მათ საქმიანობაში ეჭვის შეტანა არ არის მიზანშეწონილი.

რა ჰქვია ამას, თუ არა ზეწოლა აშშ-ის მხრიდან?!

ეს იყო პირდაპირი შანტაჟი ივანიშვილის მიმართ.

რეალურად შევხედოთ ყველაფერს.

რა თქმა უნდა, ჩვენი თავისუფლების ხარისხი ძალიან შეზღუდულია.

**— რუსეთის მიერ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიების 20% და ჩვენ არ ვეგუებით ამას. ამავე დროს კაპიტულანტური პოზიცია გვიკავია ამერიკის მიმართ, რომელიც დანარჩენ ტერიტორიებზე დომინანტობს?**

— როდესაც რუსეთის მხრიდან ოკუპაციაზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ 2008 წლამდე რა მანდატით იდგა რუსეთის ჯარები აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიწაზე. რუსეთის ჯარები იქ ეუთოს მანდატით იყო, რომელსაც მაშინდელმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა — „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დაუჭირეს მხარი, ანუ აფხაზეთში და სამაჩაბლოში რუსეთის ყოფნის მანდატი გაცემული ჰქონდა პირადად „ნაცმოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს. როცა მან 2008 წელს დაბომბა ცხინვალი და რუსეთის სამშვიდობო ჯარები, ამის შემდეგ შემოვიდა იქ რუსეთის ჯარი. ამიტომ, როცა ჩვენ რუსეთის მხრიდან ოკუპაციაზე ვსაუბრობთ, გავითვალისწინოთ ის, რომ, რა თქმა უნდა, იქ რუსეთის ჯარი დგას და არის ოკუპაცია, თუმცა 2008 წლამდე ყველა ჯარისკაცი, რომელიც რუსეთის მხრიდან იდგა, როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში, საქართველოს პარლამენტის პირდაპირი მანდატით იმყოფებოდა. რომ არა აგვისტოს ავანტურა, ოკუპაციაზე საუბარიც ზედმეტიც იქნებოდა.

იქ დღეს დგანან რუსეთის სამხედრო ძალები და მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების დეოკუპაცია მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით.

თუ გახსოვთ, 2008 წელს, როცა პერევი უკვე დაკარგული იყო, იქ ჩავიდა საქართველოს პატრიარქი, დაიწყო სამხედროების გასვლა. როცა უკან ბრუნდებოდა, სააკაშვილი ტრიბუნებით მიადგა პერევს. ეს შეიტყო რუსულმა მხარემ და მაშინვე დააბრუნა ჯარი პერევში.

ანუ გვაქვს მაგალითები, რომ მოლაპარაკების გზით შეიძლება ნებისმიერი პრობლემის მოგვარება.

მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენს სინამდვილეში.

**— უკრაინის მოვლენების განმეორების საშიშროების წინაშე ხომ არ ვდგავართ?**

— არის ამის საფრთხე. ყველამ ვნახეთ, როგორ გადაისროლეს „ნაცმოძრაობის“ წევრები უკრაინაში და დაინიშნენ იქ მაღალ თანამდებობებზე. ეს არ არის უკრაინელი ხალხის ნების გამოხატულება და არც პოროშენკოს სურვილი. ნაციონალები იქ არიან როგორც „ოდეერები“, რომლებიც აკონტროლებენ ხელისუფლებას უკრაინაში. მათ მოაკლდათ ფინანსური წყაროები. თუ „ნაცმოძრაობამ“ 15 მლრდ დოლარით გაძარცვა საქართველო, უკრაინაშიც მოიპოვებენ გარკვეულ თანხებს, რომ საქართველოში დააფინანსონ „მაიდანი“. ამიტომაცაა აუცილებელი ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა და კეთილმეზობლობა ახლო მყოფ სახელმწიფოებთან, რომ მსგავსი საფრთხეები ავიცილოთ და არ ვიყოთ ამერიკელების მუდმივი მარიონეტები. არადა, ბოლო 15 წელიწადი მართლაც მარიონეტები ვართ. ჩვენ ჩვენი თავი აღარ გვეკუთვნის და ჩვენი ქვეყნის ბედს ველარ ვწყვეტთ.



**— ეს ჩვენი ნებით მოხდა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ დავუშვით შეცდომები და ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ჩეხეთში გადაიდო - რა კავშირი აქვს ამ ფაქტს „ენერგო-პროსთან?"

ჩეხეთის პარლამენტმა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება გადადო. ამის მიზეზი კი კომპანია "ენერგო-პროს" დავაა საქართველოს სახელმწიფოსთან. - აღნიშნულ ინფორმაციას „რუსთავი 2“ ავრცელებს.

ტელეკომპანიის ცნობით, ჩეხეთის ადგილობრივი პრესა წერს, რომ ენერგო გამანაწილებელი კომპანია, რომელიც ერთ–ერთი მსხვილი მოთამაშეა ჩეხურ ბაზარზე, შესაძლოა 60 მილიონი დოლარით დაზარალდეს. სწორედ ამ თანხას ედავება ქართული მხარე კომპანიას.



ჩეხეთის ადგილობრივ პრესასთან ჩეხეთის საგრეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ სახელმწიფო რესურსებს საფრთხე ემუქრება. ლუბიმირ ზაორალეკის თქმით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცერების დაბლოკვაც სწორედ ამის გამო მოხდა. ევროკავშირთან საქართველოს რატიფიცირების საკითხი ჩეხეთის პარალმენტში უკვე 6 თვეა ამ მიზეზით ჭიანურდება.

გავრცელებული ინფორმაციით სახელმწიფომ ამ თანხის 70 %-ზე უარი თქვა და ახლა დარჩენილ თანხაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის დასრულებასაც ელოდება ჩეხეთის პარლამენტი.

კონკრეტულად რა მიზეზით ითხოვს თანხას საქართველოს ხელისუფლება "ენერგო-პროსაგან" ამის შესახებ თბილისში არ საუბრობენ. კომენტარს არც ენერგეტიკის სამინისტროსა და არც "ენერგო-პროში" აკეთებენ.

„კურიერთან“ ჩეხეთის სენატის წევრი, ევროპარლამენტარი იარომირ შტეტინა ამ თემას უსარგებლო ორმხრივ სროლას ადარებს.

„რაც ხდება უსარგებლო ორმხრივი სროლის ხასიათს ატარებს. ვიცით რომ "ენერგო-პრო" სოლიდური კომპანიაა, ამიტომ გაუგებარია ჩემთვის მის წინაალმდეგ რეპრესიული ნაბიჯები, მეორეს მხრივ ასოცირების შეთანხმების ბედს საფრთხეში ვერ ჩავაგდებთ ერთი კონკრეტული სავაჭრო შემთხვევის გამო. სწორედ ეს რისკი აირიდა ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ჩეხეთის პარლამენტში ეს საკითხი შეიძლება საერთოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან,“ - აცხადებს იარომირ შტეტინა.

საქართველოს საკითხის განხილვა ხვალ უნდა დაწყებულიყო, თუმცა დეპუტატებმა რატიფიცირების პროცესი 1-ლი აპრილისთვის გადადეს.




# „თუ მოხდა სასწაული და კარი გაუღეს, უსუფაშვილი უეჭველი სხვა სახლის კართან დგას და ეს სახლი რუსეთი იქნება.“

„ჩვენ ევროპულ ცივილიზაციას ვეკუთვნით და გვინდა რომ ვიყოთ მისი ნაწილი. სწორედ ამიტომ ვაკაკუნებთ ევროკავშირის კარზე, მიუხედავად იმისა, იქითა მხრიდან გვესმის, რომ ჩვენთვის ადგილი არ არის და ერთ ოთახში უკვე 28 სუბიექტია, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ ევროპის კარზე კაკუნს“ — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ჯოჯრჯთაუნის უნივერსიტეტში სიტყვის გამოსვლის დროს.

ვაჰ! ასე ძალაზე და ასე უთავმოყვარეოდ გათხოვებაზე თვალებდაპრაწული ქალები არ არიან არც ცხოვრებაში და არც მდარე ფილმებსა თუ სერიალებში...

ის თუ იცის ბატონმა უსუფაშვილმა, რომ ნატო-ს სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელი გენერალ-ლეიტენანტი ბენ ხოჯესი უკვე რას წუხს? — პუტინს ალიანსის განადგურება სურს სამხედრო მოქმედებების გარეშეო; და „პერსპექტივა“ მისსივე სიტყვებში ჩანს: ამისთვის მოსკოვი ნატო-ს ერთ-ერთი წევრი ქვეყნის წინააღმდეგ უკრაინის მსგავს ჰიბრიდულ ომს წამოიწყებს, მაგრამ ნატო-ს რიგი წევრი ქვეყნები „ვაშინგტონის შეთანხმების“ მე-5 მუხლის (ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ყველა წევრ ქვეყანაზე იერიშის მიტანას უტოლდება) გამოყენებაზე უარს იტყვიანო...

გასაოცარი ამბავია, ორიოდე დღის წინ კიდევ ერთხელ, ამჯერად საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდიმ განაცხადა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი ვერ გახდება და ესენი ან რომელი ნატოს-კენ სწრაფვას აძლიერებენ, ან რომელ კარზე აკაკუნებენ? — კაკუნი კი არა, გინდ წიხლი ურტყი, მაინც არავინ გააღებს...

ისე კი, ბატონი უსუფაშვილი რაღას ირჯებოდა ჰაერზე, ხომ მისი სიტყვებია: დილით, შუადღეს და საღამოს იმის თქმა, „ხვალვე მიგვიღეთ ნატო-ში!“ საქმეს რომ შველოდეს, გაძლევთ პირობას, პირველი მე ვიქნები, ვინც ამას დღეში სამჯერ იტყვისო...

რა საბჭოთა კავშირი და რუსეთის ნატო-სთან ომი აუტყდა ბატონ უსუფაშვილს, როცა ნატო სწორედ იმიტომ შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1949 წ 4 აპრილი), რომ საბჭოთა კავშირის შიში უპირველესად აშშ-ს გაუჩნდა? შექმნიდან დღემდე, ნატო-ში წამყვან როლს აშშ ასრულებს, ყველგან, მათ შორის ევროპაშიც, ნატო-ს უმაღლესი მთავარსარდლების თანამდებობები ამერიკელ გენერლებსა და ადმირალებს უკავიათ, მაგრამ ევროპის არც ერთ ქვეყანას, მითუმეტეს, სხვის გამო, რუსეთთან ომი კატეგორიულად არ სურთ ისევ და ისევ საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გამო და ვინმე გაბრიყვდება ბატონი უსუფაშვილის სიტყვებით?

ე.წ დასავლეთსაც კი მოწყინდა თვალთმაქცობა ნატო-ს კარი ღიააო და დაწყებული აშშ-ის პრეზიდენტიდან დამთავრებული ნებისმიერი ალიანსის წევრი ქვეყნის ლიდერისა თუ დიპლომატიური რანგისა, ყველამ სათითაოდ გვითხრა, რომ ნატო-ს კარი მჭირდოდ მოგვიხურეს გაურკვეველი ხნით (თან კარგა ხანია, 2008 წლის აგვისტოდან) და ახლა ეს ჩვენი ქართველი ე.წ პოლიტიკოსები რაღას მიედ-მოედებიან?

დასკვნა: ის ქართველი ე.წ პოლიტიკოსები, რომლებიც ნატო-ს სახელით კვლავ განაგრძობენ სპეკულირებას, პროვოკატორები და დიდი მატყუარები არიან!

ახლა მაინც, როცა აბსოლუტურად შიშველი რეალობის წინაშე ვდგავართ, როდის უნდა დამთავრონ ცალკეულმა პირებმა და ე.წ პოლიტიკურმა ჯგუფებმა ცრუ იმედებით სპეკულირება, რომ ნატო-ს კარი ღიაა? კარგი, ცრუ მუდამ სიცრუეზე იქნება ორიენტირებული, მითუმეტეს, როცა ცრუ იმედების ტირაჟირებით პირად სარგებელს ნახულობს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების ერთ ნაწილს, ნეტავ, ფშუტე გოგრა ხომ არ აბია თავის ნაცვლად?

რამდენიმე დღის წინ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ რომ განაცხადა, დღეს და ხვალ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხი არ დგას და საქართველო არ გადადგამს ნაბიჯს, რომელიც ზიანს მიაყენებს რეგიონალურ უსაფრთხოებასო, იმაზე ატყდა აჟიოტაჟი, რატომ აღიარა რომ ნატო-ში არ გვიღებენ და რატომ უარჰყო ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება საქართველოშიო. არადა, ნატო-ს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმაც დაადასტურა, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოშია და მასვე ეკუთვნის, არ არის ე.წ ნატო-ს ინფრასტრუქტურა.

რაც შეეხება ევროკავშირის კარზე კაკუნს — ახლა ამ კარზე მოგვიწევს სულ მცირე იმდენხანს კაკუნი, რაც ნატო-ს კარზე ვაკაკუნეთ და თუ გავითვალისწინებთ რომ ნატო-ს წევრი თურქეთი უკვე 30 წელია რაც იმავე კარზე აკაკუნებს ამაოდ, აშკარაა, სხვა საკაკუნებელი კარი გვაქვს საძებარი. ახლა, იოჰანეს ჰანის ნათქვამსაც თუ დავურთავთ, ევროკომისია საქართველოსა და უკრაინის სავიზო რეჟიმისთვის მზად არ არის ჯერო, კიდევ უკეთ გამოჩნდება ვის ვეპორწიალებით კალთაზე უაზროდ და უმიზნოდ.

ერთი ფრაზა იყო საინტერესო: ჩვენ უზარმაზარი პროგრესი განვიცადეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით გასულ ზაფხულს, რაც ჩვენ პოლიტიკას ევროპული სტანდარტების მიმართულებით წარმართავსო.

რა საინტერესოა, რა სახის პროგრესი განვიცადეთ? თუ პროგრესი ის არის, რომ სხვა დანარჩენ უზნეობებს ახლა ჯანიძის „სხვა რაკურსი“ დაემატა, რომლის ყველა გადაცემაში კონა-კონა გზააბნეული სექსუალური ორიენტაციისა და მისწრაფება-გამოხატვის ადამიანების ცვენაა, ხოლო პედერასტებს ახლებურად შეფუთული სახელები დაერქვათ და მათი დაცვა გაძლიერდა — არ ვიცით, თორემ სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა, მათ შორის პოლიტიკაშიც.

არ არის აუცილებელი ვინმე რომელიმე „პრო“ იყოს, სამარცხვინოდ სასაცილოა ეს სამათხოვროდ ატეხილი კაკუნის ამბავი და ლოგიკური დასასრული უნდა მოჰყვეს. თუ ასე საჭიროა რაღაც „პრო-ობა“, მხოლოდ პროქართული იყოს საქართველოს კურსი...

მანამდე კი ხალხი ხალისობს სოციალურ ქსელებში:

„კაკუნი კარზე.

— კტო ტამ?

— პაჩტალიონ უსუფაშვილი, პრინიოს პრაშენიე ო პრინიაწიენას ვ NATO…

სიჩუმე.

ისევ კაკუნი.

— კტო ტამ?

— პაჩტალიონ უსუფაშვილი, პრინიოს პრაშენიე ო პრინიაწიენას ვ NATO…

სიჩუმე.

და ასე დაუსრულებლად...“

„თუ მოხდა სასწაული და კარი გაუღეს, უსუფაშვილი უეჭველი სხვა სახლის კართან დგას და ეს სახლი რუსეთი იქნება.“

„კომპარტიის ბილეთი გულის ჯიბეში უდევს, რომელიც გამოუვა, იქით გადაიხრება — ორივეს უკაკუნებს. რა, პირველად ჩემგან გაიგეთ ბოლომდე გულის ჯიბით რომ ატარებდა კომპარტიის ბილეთს უსუფაშვილი?“

„ბოლომდე კი არ ატარებდა, ყველამ რომ გადააგდო მაშინ შევიდა კომუნისტურ პარტიაში, 9 აპრილის შემდეგ...“

„ისე, პირდაპირ ტყვედ ხომ არ ჩავბარდეთ რუსეთს? რა ვიცი, კაკუნზე რომ იმანაც არ გააღოს?

„ისე, კუკავამ რომ აკაკუნოს უფრო გაირითმებოდა...“

„კუკავა ბიძოს უკაკუნებს, მაგრამ ნატო-სი არ იყოს, ბიძოსაც მაგრად ჰკიდია კუკავა...“

„წუხელ შუაღამისას ხმაური ატყდა სადარბაზოში. გავიხედე და რას ვხედავ, მთვრალი უსუფა მისგომია ნატო-ს კარს და უბრახუნებს. ნატო კარს არ უღებს და შიგნიდან გამოსძახის: შენ მე ნატაშაში ხომ არ გეშლები, დაახვიე აქედან, თორემ თინას დავუძახებო.“

„ე, ბიჯო! ქალი დაილია? არ ვუნდივართ ნატო-ს და მივადგეთ ნატაშას, კაი გოგოდ მახსოვს მაგი, არ გვეტყვის სახლში შეშვებაზე უარს, კაკუნი კი არა, სიხარულით შეგვისრუტავს კალოშებიანად...“

„ოლანდმა, აპატურაიმ და დანარჩენმა პაჭა-პუჭა ვიღაცებმა თუ თქვეს ნატო-ში ვერ მიგიღებთო, თქვენ გული არ გაიტეხოთ, „ნაცებს“, „რესპებს“ და „ალასებს“ თავიანთი „ნატო“ აქვთ და იქ მიგვიღებენ.“

„წყალში ბადე გადავაგდე, მას ამოჰყვა ნემეცი, ფრანციცულად დაგვაჩოქეთ, გერმანულად შეგვე...ით?“ ჩემ ბავშვობაში ერთმანეთს ვეშაირებოდით ხოლმე და ზემოთმოყვანილი ერთი შაირის მცირედი პერიფრაზი საფრანგეთის პრეზიდენტის გულახდილმა განცხადებამ გამახსენა. ანუ, ინგლიურად გვითხრეს, გერმანულად — ხომ გვითხრეს და გვითხრეს, აგერ, ახლა, ფრანგულადაც გაგვიმესამა ფრანსუა ოლანდმა, რომ საქართველოს ნატო-ში არასდროს მიიღებეეეეენ! ესენი კი, „რესპუბლიკელები“, „ნაცები“ და ასობენნო ალასანიას სასტავი კი მაინც გაიძახის ნატო-ში შევალთო. ჰოდა, რა ჰქვია ამას? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემენ, მანამდე ჩვენ მგზნებარე ნატო-ელებს ისევ ჩემი ბავშვობის შაირით მივუმთავრებ: „წყალში ბადე გადავაგდე, მას ამოჰყვა ორი კოჭი, დოლ-გარმონზე ვათამაშე ჩვენი ყ... და თქვენი პრ...ი!“

**გიორგი ჩხეიძე**

# ლევან მამალაძე თავის ქვეყანას და ოჯახს უნდა დაუბრუნდეს, რადგან ამ ადამიანს არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, სამშობლოდან რომ გააძევეს



ადვოკატი **ალექსანდრე კობაიძე**

**— რამდენადაც ცნობილია, ბატონ ლევან მამალაძეს დაუსწრებლად მიუსაჯეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. რის საფუძველზე მიესაჯა ასეთი სასჯელი?**

— პროკურატურის საფუძველი არის უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, კერძოდ, ბრიტანეთის მოქალაქე ინდოელის გვარად პანდიტისთვის თანხის გამოძალვა. 1999 წელს ეს ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში და დაიწყო ბიზნესსაქმიანობა. მალე თაღლითობის მუხლით დააკავეს. ამასობაში „ვარდების რევოლუცია" მოხდა და ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომელიც შეეცადა პანდიტის გამოყენებას ლევან მამალაძის წინააღმდეგ. მამალაძე მწვავედ იყო დაპირისპირებული ნაციონალურ ელიტასთან და მიუხედავად მათი ბრძანებისა, პროკურატურას უჭირდა მისთვის ბრალის წარდგენა.

ერთი სიტყვით, პანდიტი გამოიყენეს ლევან მამალაძის წინააღმდეგ და მან ცრუ ჩვენება მისცა. თითქოსდა ლევანმა აყიდინა 35 000-დოლარიანი მანქანა. ჩვენებაში პანდიტი სადილერო ფირმის მისამართს ასახელებს, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა. მითითებული არის წერეთლის 113, არადა, უზნაძის ქუჩაზე არსებულ ფირმაში აქვს ნაყიდი მაშინ ლევან მამალაძეს „შევროლე-ბლეიზერი" ლევან ჩუბინიშვილისგან.

ჩვენ ვაწარმოებთ გამოკითხვის ოქმებს, სადაც ჩუბინიშვილს მითითებული აქვს, რომ მან მიჰყიდა მამალაძეს „შევროლე-ბლეიზერი". ჩუბინიშვილი სააკაშვილის პროკურატურას საერთოდ არ დაუკითხავს, ისე მიადგნენ პანდიტს. პანდიტმაც „აღიარა", რომ ლევან მამალაძე მას ბიზნესში ხელშეწყობას დაჰპირდა მანქანის ყიდვის სანაცვლოდ.

კურიოზი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც პანდიტმა თავი დაიხსნა მართლმსაჯულებისგან, თავისი ჩვენება მამალაძის წინააღმდეგ ფაქქსით გამოაგზავნა საქართველოში. როგორც გითხარით, ისეთი მაღაზია თბილისში არ არსებობს, რომელსაც პანდიტი ჩვენებაში ასახელებს. არ ემთხვევა უბრალო დეტალებიც კი, მაგრამ მაშინდელი პროკურატურისთვის მთავარი იყო არსებულიყო რაიმე სახის დოკუმენტი, რადგან ფიქრობდნენ, რომ „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებაში კიდევ დიდხანს იქნებოდა და ამ დოკუმენტაციის დეტალურად შესწავლას ვერავინ მოახერხებდა. მტკიცებულებებს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მაგრამ ახლა, რეალურად, დადგა დრო, რომ გაირკვეს სიმართლე. სამართლიანობის აღდგენის პრინციპიც სწორედ ამაში მდგომარეობს. ბატონი ლევანი თავის ქვეყანას და ოჯახს უნდა დაუბრუნდეს, რადგან ამ ადამიანს არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, სამშობლოდან რომ გააძევეს.

ლევან მამალაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამბობდა: ხალხი, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, ქვეყანას დაღუპავენო.

**— ლევან მამალაძე ნაციონალებსო ამხელდა, კერძოდ, რაში ამხელდა?**

— პირველ რიგში, ორმაგ სტანდარტებში. „ნაციონალები" თითქმის ებრძოდნენ რუსეთს, სინამდვილეში რუსების დაკვეთას ასრულებდნენო, — ამბობდა მაშინ ბატონი ლევანი. თუმცა ეს არის ზღვაში წვეთი. მამალაძე თავიდან ბოლომდე შიფრავდა მათ მოღალატებრივ გეგმებს და არ უთმობდა არაფერს.

ნაციონალებს თავიანთი ბნელი საქმიანობა ყოველთვის პიარზე ჰქონდათ აგებული. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რითი და როგორ შეებილწათ ადამიანის სახელი და ავტორიტეტი.



ლევან მამალაძე

ლევან მამალაძემ ოქროს ზოდები გაიტანაო. ის ოქროს ვერანაირად ვერ წაიღებდა და არც არავინ გაატანდა აქედან. ეს ფაქტი რომ რეალური ყოფილიყო, ნაციონალები უკან არ დაიხევდნენ, მტკიცებულებებს წარმოადგენდნენ საქმეში, არადა, ამას არ ედავებიან. არ ედავებიან, რადგან არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ეს ფაქტი მართლა მოხდა.

დღეს საქართველოში ლევან მამალაძეს არავითარი ქონება არ აქვს, ნაციონალებმა წაართვეს ყველაფერი. თუმცა სამშობლოში დაბრუნება უნდა. მას ძალიან უყვარს საქართველო და სურს ერთი აგური მანაც დადოს ჩვენი ქვეყნის მომავლის საქმეში.

**— რა ეტაპზეა საქმე და რას ფიქრობთ, რა დროში შეიძლება დაბრუნდეს მამალაძე საქართველოში?**

— ბატონი ლევანის შეწყალების დოკუმენტი პრეზიდენტს უკვე გავუგზავნეთ. ახლა მის კეთილ ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუ პრეზიდენტმა ის შეიწყალა, ვიმედოვნებთ, მალე დაბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ სასამართლო განიხილავს მის საქმეს. უბრალოდ, ყველაფერი დროში გაიწელება, თორემ, დარწმუნებულნი ვართ, იგი გამართლდება.

რეჟიმის მიერ რეპრესირებულთა, პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის დამფუძნებელი **ოთარ სტეფანიშვილი**.

**— ოთარ, ახალი რა ხდება ლევან მამალაძის საქმესთან დაკავშირებით?**

— სხვათა შორის, ლევან მამალაძე, ისე, როგორც ემზარ კვიციანი, პოლიტპატიმართა სიიდან ამოიღეს. კულუარული ინფორმაციით ვიცით, ვინც ამოიღო სიიდან.

**— შეგიძლიათ დაასახელოთ, ვის არ სურდა ლევან მამალაძე პოლიტდევნილად გამოცხადებულიყო?**

— ესენი გახლავთ ცოლ-ქმარი ხიდაშელ-უსუფაშვილი. ჩვენი აზრით, მათი დავალებით ამოიღო მამალაძე სიიდან ბესელიამ.

**— მიზეზი?**

— ხიდაშელ-უსუფაშვილის დაპირისპირება ლევან მამალაძესთან იწყება იმ პერიოდიდან, როცა სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის იუსტიციის მინისტრი გახდა.

თინა ხიდაშელი იმ პერიოდში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი იყო. არჩევნების შედეგად, მას შემდეგ, რაც ლევან მამალაძე ქვემო ქართლის მაჟორიტარი გახდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ფაქტობრივად, აიძულა მაშინდელი ცესკო გაეუქმებინა არჩევნების შედეგები. გაუქმდა არჩევნების შედეგები, მაგრამ რის საფუძველზე მოხდა ეს, ბუნდოვანია.

ხიდაშელი და უსუფაშვილი სააკაშვილს ბევრ რამეს „უპრავებდნენ". „ვარდების რევოლუციის" პერიოდი გავიხსენოთ. ეს ცოლქმრული ტანდემი მაშინაც მიშას უმაგრებდა მხარს.

ლევან მამალაძე ბევრ ინფორმაციას ფლობს იმ პერიოდის მოვლენების შესახებ და ცხადია, არ აწყობთ მისი ჩამოსვლა. ბატონი ლევანი განათლებული, ჭკვიანი ადამიანია, ის ხალხს უყვარს, რომ ჩამოვიდეს და დაუპირისპირდეს რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც ისედაც არ აქვს რეიტინგი და შემთხვევითობის წყალობით არიან პარლამენტში, არ აძლევთ ხელს ლევან მამალაძისნაირი ადამიანების გააქტიურება.



**— ამბობენ, რომ ლევან მამალაძეს, თუკი ის საქართველოში ჩამოვა, მაშინვე დააკავებენ. პროკურატურა არ ითვალისწინებს იმას, რომ ბრალი მას სააკაშვილის სამართალდამცავმა ორგანოებმა, შესაძლოა, სწორედ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით წაუყენეს?**

— ყოფილი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ლევან მამალაძის ადვოკატი გახლდათ თავის დროზე. პროკურორობის პერიოდში ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა მას, მაგრამ კბილაშვილმა საქმე თაროზე შემოდო.

ეჭვი გვაქვს, რომ მან ვიღაცის დაკვეთა შეასრულა.

ამჯერად, ადვოკატებთან ერთად ვაწარმოებთ იმ მოწმეების დაკითხვას, რომლებმაც მამალაძის წინააღმდეგ ჩვენებები მისცეს თავის დროზე.

ეს ადამიანები აღიარებენ, რომ სიცოცხლის ხელყოფის მუქარით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით აწერინებდნენ ჩვენებებს ლევან მამალაძის წინააღმდეგ.

ყველა ამ მოწმეს დღეს უკან მიაქვს თავისი სიტყვები და ხმამაღლა აცხადებენ, რომ ეს იყო იძულება.

თავიდანვე, რადგან პოლიტიკური ნიშნები იკვეთებოდა მამალაძის საქმეში, ამიტომ დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ საქმე მთლიანად „შეკერილია" და პოლიტიკური ინტერესებით შექმნილი.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში მოახერხებთ, რომ დაეხმაროთ პოლიტდევნილებს და რეპრესირებულებს სიმართლის დამტკიცებაში?**

— ჩვენ უცხოეთის ყველა საელჩოს გადავუგზავნით საქმის მასალებს და ჩვენს დასკვნას. პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პრესას, საელჩოებს, საქმის კურსში ჩავაყენებთ ყველას. როგორც ვიცით. ბატონი მამალაძის ადვოკატმა პრეზიდენტს უკვე მიმართა შეწყალების თაობაზე.

შეწყალება იმას არ ნიშნავს, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. უბრალოდ, ეს არის ფორმა, რადგან პრეზიდენტს მსჯავრდებული სხვა ფორმით ვერ მიმართავს. ის არ ითხოვს არანაირ შეღავათს, სურს, რომ ხელახლა შეისწავლონ მისი საქმე და ჩატარდეს ღია სასამართლო.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18




პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ლევან მამალაძის მხარდამჭერი 3000-კაციანი აქცია გაიმართა, რასაც ნაციონალური მოძრაობის აგრესია მოყვა. ლევან მამალაძემ უცხოეთიდან განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნება სურს , რათა მისი თანდასწრებით ღია სასამართლო გაიმართოს, რაც სააკაშვილის გასამართლების დასაწყისი იქნება!

# ვაჟა აბაკელია: ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს ღირსეული თავმჯდომარე იქნება

**გვესაუბრება ყოფილი გენერალური პროკურორი, ბატონი ვაჟა აბაკელია.**

**— ბატონო ვაჟა, უზენაესი სასამართლოს ახალი ხელმძღვანელის პოსტზე მრავალი კანდიდატურა გახლავთ წარდგენილი. თქვენი სიმპათიები საითკენ იხრება?**

— მე მხარს ყოფილ გენერალურ პროკურორს, კვალიფიცირებულ, პროფესიონალ პიროვნებას, ბატონ გია მეფარიშვილს ვუჭერდი, მაგრამ ბატონი გიას კანდიდატურის დაყენება არ მოხერხდა.

წარმოდგენილთა შორის ქალბატონი ნინო გვენეტაძის კანდიდატურა დღეს ნამდვილად შეიძლება განვიხილოთ ბატონი გიას საპირწონედ. სხვათა შორის, თვით გია მეფარიშვილმაც მას დაუჭირა მხარი.

მიმაჩნია, რომ ქალბატონი ნინო პირდაპირ ზედგამოჭრილი კანდიდატურაა ამ პოსტზე. ჯერ ერთი, ქალბატონია და ესეც პრიორიტეტია, თუმცა, ამას გარდა, ის გახლავთ ღირსეული ადამიანი და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან მოიკოჭლებს საკადრო პოლიტიკა და ეს არ არის მხოლოდ ამ ხელისუფლების პრობლემა. ბოლო 25 წლის განმავლობაში ეს საკითხი მწვავედ დგას. ამიტომ თითოეულ კანდიდატზე მეტი დაფიქრება გვმართებს.

არავინ იფიქროს, თითქოს წინააღმდეგი ვიყო ახალგაზრდების თანამდებობებზე დანიშვნის. სამი შვილის მამა ვარ და მოხარული ვიქნები, თუ ჩემი შვილები საპასუხისმგებლო პოსტებზე იქნებიან, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს?!

პატარა ქვეყანა ვართ, ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა ყოველთვის იყო ჩვენი აწმყოს და მომავლის განმსაზღვრელი. მუდამ პრობლემად იდგა, ვინ იქნებოდა ქვეყნის მმართველი. როცა დავით აღმაშენებელი გამეფდა, მისმა გუნდმა განსაზღვრა ქვეყნის მოქმედების სტრატეგია და გზა. სხვათა შორის, გიორგი ჭყონდიდელი იყო სააჯო კარის ხელმძღვანელი, როგორც დღევანდელი უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელი. აღმაშენებლის სწორად შერჩეულმა საკადრო პოლიტიკამ განსაზღვრა ის, რომ საქართველო მაშინ გახდა ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო წინა აზიაში.



ამით იმის თქმა მინდა, რომ არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი გარდატეხა და ცვლილება, რომელშიც მთავარი როლი გამოცდილ ადამიანებს არ ჰქონოდა.

კი, მაკედონელი ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ გაიხსენეთ, ვინ იყო მისი მოძღვარი და მრჩეველი — მსოფლიო მოაზროვნე არისტოტელე.



**— ქალბატონი ნინო გვენეტაძის ღირსებებზე შეგიძლიათ გვესაუბროთ?**

— ნინო გვენეტაძეს ისე ახლოს არ ვიცნობ, როგორც, მაგალითად, გია მეფარიშვილს, თუმცა ყოველთვის თვალს ვადევნებდი მის მოღვაწეობას, როგორც ამ პროფესიის გულშემატკივარი. რამდენადაც ვიცი, ის გამორჩეული პროფესიონალია, კარგი ოჯახის შვილი, წესიერი, პრინციპული ადამიანი, შესანიშნავი დედა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც წესი, უნდა იყოს გამორჩეული პიროვნება და ასეთი, ჩემი აზრით, გახლავთ ქალბატონი ნინო.

**— ამ ხელისუფლების მოსვლისას ერთ-ერთი მთავარი პრიოროტეტი სამართლიანობის აღდგენა იყო. ხალხი უკმაყოფილოა, რომ სამართლიანობა ჯერ კიდევ ვერ აღსდგა. მიგაჩნიათ, რომ თუკი ქალბატონი ნინოსნაირი კადრებით დაკომპლექტდება შესაბამისი სტრუქტურები, „სამართლიანობის აღდგენა“ უფრო გაადვილდება?**

— გულწრფელად გეტყვით და მინდა მკითხველმაც იცოდეს, ე. წ. სამართლიანობის აღდგენა ერთბაშად რომ დაეწყო ამ ხელისუფლებას, არასახარბიელო მოვლენები განვითარდებოდა. ერთი ხელის მოსმით ასეთი რამეები არ კეთდება. სამართლიანობა სიფრთხილით, დაკვირვებით და ნელ-ნელა უნდა დამკვიდრდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახევარი საქართველო ციხეში აღმოჩნდებოდა და ამ ხელისუფლებასაც ავტორიტარის და დიქტატორის იარლიყი გამოწერილი ჰქონდა.

გასაგებია, რომ ხალხი ითხოვს ნაციონალების გასამართლებასა და დაჭერას. თუმცა ნაციონალი ცალკე არ არსებობს, მის უკან დგანან ორგანიზაციების, ბიზნესსაქმიანობის, სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიედ, ჩათრეულნი იყვნენ ნაციონალების დანაშაულებრივ მოღვაწეობაში. მოკლედ, იმდენი ხალხი „შემოგვეწირებოდა“, მთელი ქვეყანა კმაყოფილების ნაცვლად, უკმაყოფილო იქნებოდა.

მაგრამ, კვლავ საუბრის დასაწყისს რომ დავუბრუნდეთ, ყველაფერში მთავარია პროფესიონალიზმი და გამოცდილება.

**— ბატონო ვაჟა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა პოლიტიკური თანამდებობაა?**

— ჩვენნაირი ქვეყანა ვერ ასცდება ნებისმიერი, თუნდაც აპოლიტიკური თანამდებობის გაპოლიტიკურებას, თუმცა ქალბატონი ნინო არ არის ისეთი ადამიანი, ვინმეს პოლიტიკურ ამბიციებს საკუთარი პროფესიონალური თავმოყვარეობა და ინტერესები შესწიროს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადასაწყვეტი საკითხების ნუსხა იმდენად გრძელია, რომ დარწმუნებული ვარ, ის ძალიან ფრთხილად მოეკიდება გადაწყვეტილებების მიღებას.

**— კვლავ შევაბრუნებ კითხვას: ნინო გვენეტაძე ქალბატონია. ხომ არ არის საჭირო უფრო მკაცრი ხელი? შეძლებს იგი ამ რთულ ვითარებაში გაუმკლავდეს ასეთ მნიშვნელოვან საქმიანობას?**

— მოვკარი ყური, ნაციონალები ამბობდნენ, გვენეტაძე შევარდნაძისდროინდელი კორუმპირებული კადრიაო. ნაციონალები სხვაზე ამას როგორ ამბობენ, როცა ყველა მათგანი შევარდნაძის პერიოდშია გამოჩეკილი.

ქალბატონი ნინო პროფესიონალია და ეს ყველაფერზე ლაპარაკობს.

**ანა ვადაჭკორია**

## რეპლიკა

# მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას



როგორც ამ დღეებში გავიგე, ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის „შემსუბუქების“ მიზნით, ე.წ. ანტიკრიზისული ღონისძიების გატარებას აპირებთ, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის საერთო-სახალხო საკუთრების მასობრივ „პრიხვატიზაციას“ მოიაზრებთ. თქვენ ვალდებულნი ბრძანდებით იცოდეთ: როცა ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია. ასეთ დროს ამ განზრახვის განხორციელება გამოუსწორებელი დანაშაულია და უეჭველად გამოიწვევს ისედაც გაძვალტყავებული საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილების ახალ ტალღას. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საერთო-სახალხო ქონების „საპრიხვატიზაციოდ“ განსაზღვრული ქონება კვლავ, უკვე მერამდენედ, დანაშაულებრივი გზით გამდიდრებულთა ხელში აღმოჩნდება. ეს კი „პრიხვატიზაციის“ წინა პერიოდების განმეორება იქნება და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ პირში ჩალაგამოვლებული დარჩება!..

**ანზორ ბაბუხადია**

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

# „ალავიძის კედელი“ და კედელზე შეყრილი ცერცვი

## ღია წერილი თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარეს, ბ-ნ ირაკლი აბესაძეს

ბ-ნო ირაკლი, თქვენი მშობლების დიდი პატივისცემის გამო, დიდხანს ვიკავებდი თავს და ნამდვილად არ ვაპირებდი თქვენთვის პრესის საშუალებით მომემართა, ასე საქვეყნოდ გამომეჭენებინეთ და სიმართლე პირში მეთქვა. მაგრამ თქვენმა ბოლოდროინდელმა დემაგოგიურმა განცხადებებმა, და პოლიტიკურ მოუსავლეთში წასული ნაციონალების სამარეში ჩაყოლამ, იძულებული გამხადა ასე მოვქცეულიყავი.

ბ-ნო ირაკლი, მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ. ამ 9 წლის მანძილზე ჩემს მიმართ ჩადენილი ამდენი უსამართლობების მომსწრე და მონაწილე ბრძანდებით. ამ ხნის მანძილზე მთელი მერიის ყველა სტრუქტურა ძირფესვიანად შევისწავლე და უნდა ვაღიარო, რომ ამ უზარმაზარ კოლექტივში 3 ნათელი წერტილი იყავით, მამუკა ქაცარავა, სევდია უგრეხელიძე და თქვენ. მიუხედავად ნაციონალების აქტიური წევრობისა და მათი ინტერესების გატარებისა, ბ-ნმა მამუკამ შეძლო, და ღირსება ბოლომდე შეინარჩუნა. რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვი თქვენზე და ქ-ნ სევდიაზე. სანამ ქ-ნი სევდია ქალაქის ქონების მართვის სამმართველოს განყოფილების უფროსად მუშაობდა, სულ სხვა პიროვნება იყო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დამხმარებოდა, სამართლიანობა აღედგინა და ჩემი საქმე ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ როგორც კი დააწინაურეს და დიდი თანამდებობის პირი გახდა, ისეთი მეტამორფოზა განიცადა უარესობისაკენ, პირდაპირ გაგიკვირდება კაცს. იგივეს თქმა შემიძლია თქვენზეც, როცა მერიის მაღალჩინოსნების, და პირადად: ნაძირალა უგულავას, ალავიძის, მელაძისა და აფერისტ ახვლედიანის წინააღმდეგ უსამართლო ბრძოლაში, მხარში დამიდექით და პრინციპული პოზიცია ბოლომდე შეინარჩუნეთ. მეორეს მხრივ, ზემოთჩამოთვლილ მაღალჩინოსნებს, მათ მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს და უსამართლო გადაწყვეტილებებს თქვენი სამსახურის მეშვეობით "აპრავებდით". რის საფასურადაც უგულავასგან ჯილდოდ თანამდებობრივ იერარქიულ საფეხურებზე დაწინაურებას ღებულობდით. ასე გახდით რიგითი "კმარელი", ჯერ "ქალაქის კორპუსის" უფროსის მოადგილე, შემდეგ კი თანდათანობით მერის მოადგილეობასაც მიაღწიეთ. ეს აფერისტი ახვლედიანი, პირდაპირ თვალებში მიყურებდა და ასე უნამუსოდ მატყუებდა მთელი 5 წლის განმავლობაში.

ბ-ნო ირაკლი, ჩემთვის გასაგებია რომ, ამ ბანდიტების ზეწოლას ბოლომდე ვერ გაუძელით და სამართლიანობის აღადგენაში ვერ დამეხმარეთ. ეს არც მწყენია, რადგან შენზე დიდი ვაჟკაცები გადაუმტვრევია წელში სააკაშვილ-უგულავას რეჟიმს. ამიტომაა, რომ ჩემს მიერ აუქციონზე მიზნობრივი დანიშნულებით შეძენილ ჩემს კერძოსაკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე, ალავიძის მიერ აშენებული 6მ სიმაღლის საყრდენი კედელი დღემდე მყარად დგას. ხოლო მელაძემ, არჩევნებში ხმების მოსაპოვებლად მოსახლეობის მოსყიდვის მიზნით, ამ ჩემს ნაკვეთში, როგორც საბურთალოს რაიონის დეპუტატობის მაჟორიტარმა კანდიდატმა, ბავშვთა სათამაშო მოედანი მოაწყო და სკვერიც გააშენა. ასე რომ, ალავიძემ ჩემი საკუთრების ხარჯზე თავისი დროებითი საცხოვრებელი კორპუსის ეზო გააფართოვა, რისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან არამიზნობრივად გახარჯა 361 ათასი ლარი. ხოლო მელაძემ, ჩემი კერძო საკუთრების ხარჯზე, ბ-ნ ალავიძეს ეს გაფართოებული ეზო კეთილმოუწყო და გაუმწვან-გაულამაზა, ამასთან სარგებელიც ნახა და დეპუტატობასაც გამოჰკრა ხელი. ეს ყველაფერი თქვენ ძალინ კარგად იცით, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდები. მე ის მწყინს, რომ თქვენ, ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულობების შესახებ, ყველაზე კარგად ინფორმირებული პიროვნება ბრძანდებით, და მაინც მათ ადვოკატობას თავს არ ანებებთ და ამ პოლიტიკურ მოუსავლეთში წასულ ნაციონალებს სამარეში მიჰყვებით. მმხარს უჭერთ და ექომაგებით, 48 მილიონის მიტაცებაში ეჭვმიტანილ უგულავას, და საბანაძესთან ერთად35 მილიონის მიტაცებაში ეჭვმიტანილ ალავიძეს. „კაცმა, რომელმაც ესეც არ იკმარა, და უგულავას ქვისლ ღონიაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო მილიონნახევარი დოლარის გათეთრებაში, აქედან 80 ათასი დოლარი კი, თავისი სტუდენტი შვილის ანგარიშზე ჩარიცხა ლონდონში. ამასთან, საჭიროების მიხედვით ყოველთვის აქტიურად მანიპულირებთ შერჩევითი სამართალით, და შესანიშნავად იყენებთ ორმაგ სტანდარტებს.ა ბ-ნო ირაკლი თქვენი წესიერი მშობლების პატრონს, ნამდვილად არ შეგშვენით, და არც გეკადრებათ ასეთი საქციელი.

ბ-ნო ირაკლი, საკმაოდ სერიოზული ბრალდება წამოგიყენეთ, ამიტომ ძვირფას მკითხველს თქვენსავით, მეც, რომ დემაგოგი და ინტრიგანი არ ვეგონო, ბრალეულობის დამადასტურებელ არგუმენტებს ახლავე წარმოგიდგენთ. შემდეგ კი მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ჩვენში ვინ მართალია და ვინ მტყუანი. თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ჩემი 3-წლიანი სასამართლო დავის შემდეგ, სააკაშვილის უსამართლო სასამართლომ, როგორც იქნა და როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევრადსამართლიანი გადაწყვეტილებაც კი არ გამოიტანა, რომელიც ყველა ისტანციამ ძალაში დატოვა და შესასრულებლად მერიას გადაუგზავნა. მაგრამ თქვენ და სააკაშვილის მიერ გაზულუქებულმა უგულავამ, ესეც კი არ შეასრულეთ. ყოველი შეხსენების შემდეგ ვღებულობდი თქვენი ხელისმოწერით სტანდარტულ პასუხებს, "ვიმოქმედებთ კანონის შესაბამისადო". მას შემდეგ 4 წელი გავიდა და მერიას, პირადად კი, თქვენ და უგულავას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დღემდე არ შეგისრულებიათ. როცა დაგჭირდათ მერიიდან განთავისუფლებული, მაგრამ სასამართლოს მიერ აღდგენილი ბ-ნი ხაბეიშვილის ინტერესების დაცვა, ისე, რომ მერიას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც კი არ აცალეთ, ერთი ამბავი ატეხეთ და ქვეყანას მოსდეთ, ნარმანია კანონს არღვევს და დანაშაულს ჩადის, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას არ ასრულებსო. თურმე გცოდნიათ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დანაშაული ყოფილა. ამასთან, თქვენ და უგულავამ ყველა ისტანციამოვლილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაც კი არ შეასრულეთ და დანაშაული ჩაიდინეთ, მაშინ როცა ნარმანიას პირველი ისტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაც არ აცალეთ და წინასწარ დამნაშავედ გამოაცხადეთ. მოკლედ ის რაც შეიძლება უგულავასა და "ნაცმოძრაობისათვის", არ შეიძლება ნარმანიასა და "ქართული ოცნებისათვის".

ბ-ნო ირაკლი, ახლა კი 2011წ დეკემბერში გაზეთ "ალიაში" გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუსთან დაკავშირებით, თქვენი პასუხის გამო იმ შეურაცჰყოფასა და გულში ჩარჩენილ წყენაზედაც მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. აღნიშნულ ინტერიუში მკაცრად გავაკრიტიკე მერიის ხელმძღვანელობა, უკანონო ქმედებებში დავადანაშაულე და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვი.

„კორესპოდენტმა როცა ინტერვიუს შინაარსი გაგაცნოთ და თქვენი პასუხი აინტერესებდა, თქვენ ისე რომ სინდისის ქეჯნაც არ გიგრძვნიათ უპასუხეთ: ჩვენთვის არ მოუმართავს, როცა მოგვმართავს პრობლემა არ არის, პირველსავე მოთხოვნაზე ავიღებთ ამ კონსტრუქციებს და ნაკვეთს გავათავისუფლებთო. მოკლედ ცინიკოსიც გამხდარხართ ბ-ნო ირაკლი. თქვენი ცინიკური განცხადებით, თურმე მერიისთვის არ მიმიმართავს და გაზეთში გავქცეულვარ საჩივლელად. შე კაი კაცო, ამ ხნის მანძილზე მერიის სხვადასხვა მაღალჩინოსნებისათვის დაახლოებით 50-ზე მეტი განცხადება მაქვს შემოტანილი. მათ შორის 3 განცხადება პირადად თქვენს სახელზე მაქვს დაწერილი. რაც მთავარია, არის უსამართლო, მაგრამ მაინც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც ჯიუტად არ ასრულებდით. ახლა თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ განცხადებებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაში სახინკლეებს ვუჩიოდი და მათ დირექტორებს ვადანაშაულებდი, ხინკალს ცოტა ხორცი აკლია და პილპილიც მეცოტავებათქო? რაც შეეხება თქვენს მეორე დემაგოგიურ განცხადებას, დავით ალავიძე ყაზბეგის გამზირზე ცხოვრობს და ბალანჩივაძის ქუჩაზე არასოდეს უცხოვრიაო, თქვენი მხრიდან არის უხნეო ტყუილი, რაც მიმართულია ჩემი დისკრეტიზაციისათვის, რომ ცილი დამწამოთ, მატყუარად გამომიყვანოთ და ამით მკითხველი შეცდომაში შეიყვანოთ. დავით ალავიძე სანამ ყაზბეგის გამზირზე თავის ფეშენებელურ აპარტამენტში გადავიდოდა 6 თუ 7 წელი იცხოვრა ბალანჩივაძის ქუჩაზე №40 კორპუსში. აღნიშნულის შესახებ, ჯერ კიდევ 2007წ დეკემბერში გწერდით, პირადად თქვენ, თქვენს სახელზე შემოტანილ მეორე განცხადებაში, სადაც ავღნიშნავდი, რომ მას მერე, რაც ამ კორპუსში საცხოვრებლად ქალაქის ვიცე მერი ბ-ნი დავით ალავიძე გადმოვიდა, სიმართლეს ველარსად მივაგენიმეთქი. რატომღაც მაშინ, პრეტენზია არ გამოგითქვამთ, და არც ტყუილის თქმაში დაგიდანაშაულებივართ. ხოლო, როცა იქიდან გადავიდა, ეტყობა ახალსახლობაზეც კარგად მოულხინეთ, ამასთან გულიც დაიმშვიდეთ, რომ ნამდვილად ყაზბეგის გამზირზე ცხოვრობსო და გულიანად შემომიტიეთ. ხალხის თვალში, მე მატყუარა გამომიყვანეთ და მათი ყურადღება ჩემზე გადმოიტანეთ, მერიის მხრიდან ჩემს მიმართ ჩადენილი დანაშაულობები კი ყურადრების ცენტრს მოაშორეთ და მისი მიჩქმალვა ცადეთ. სამწუხაროდ აი ესაა ნაციონალების ნამდვილი სახე, ასე ატყუებდით მთელი 9წლის განმავლობაში ხალხს, ასე ოსტატურად იყენებდით ორმაგ სტანდარტებს და შერჩევით სამართალს. ზრუნვით კი, მხოლოდ თქვენზე, და ერთ მუჭა თქვენს მხარდამჭერ ნაციონალებზე ზრუნავდით. ახლა რომ ერთი ამბავი ატეხეთ და პროკურატურაში აგზავნით მასალებს, ნარმანიამ ორ კომპანიასთან ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება გააფორმა, აუცილებლად გამოიძიეთ, აქ თანხების მითვისებას ექნება ადგილიო. „კი მაგრამ, როცა ჩემს კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე ალავიძემ, ტენდერის გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ამხელა კედელი ააშენა, და არამიზნობრივად გახარჯა ბიუჯეტიდან 361 ათასი ლარი, მაშინ რატომ არ მიმართეთ პროკურატურას. მიღებაჩაბარების აქტი რომ გააყალბა და 2007წ 19 დეკემბერს გაფორმეს, მაშინ როცა კედლის მშენებლობა ისიც ხარვეზებით ძლივს დაამთავრეს 2008წ მარტში, (თურმე ამხელა კედელი ერთ თვეში აშენებულა) მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა. ან ის კვარაცხელია, რომელსაც კანონით ევალებოდა კანონიერების დაცვა, უკანონობას იცავდა და მე მემუქრებოდა, თუ უკანონო მშენებლობას ხელს შევუშლიდი დამაჯარიმებდა. ახლა კი, ეს უკანონობის დამკანონებელი კვარაცხელია, რუსთავი-2-ის ეთერში ცრემლებს აალვარლვარებს და ხალხს თავს აცოდებს, ამ პროფესიონალ კადრს პოლიტიკური ნიშნით მდევნის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიჟარაძე და რამე მიშველეთო. მაგრამ თქვენი სტანდარტებით ის, რაც ალავიძისათვის კანონიერია, ნარმანიასათვის კანონის დარღვევა და ქვეყნის დაქცევაა. ჩვენში დარჩეს და არც ახალი ხელისუფლება და მერიის ახალი შემადგენლობა, იკლავს თავს მაიმცდამაინც სამართლიანობის აღდგენისა და თქვენს მიერ უკანონოდ დაჩაგრული ხალხის თანადგომისა და რეალური მხარდაჭერისათვის. მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არის, რომელიც თქვენთან უკვე დიდი ხნის გადაწურული მქონდა. ვიმედოვნებ, რომ ჩემ საკითხს თქვენსავით 12 წელი არ გააჭიანურებენ და თქვენს მიერ გაფუჭებულ საქმეს მალე გამოასწორებენ და სამართალსაც აღადგენენ.





**ომარ გოცაძე**
ტელ: 555 33 55 36

# დღესდღეობით ბაზრებში მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთიდან იმპორტირებული ბოსტნეული იყიდება. რატომ?



— საქართველოში მოყვანილ კიტრს ყიდით? — ვეკითხები გამყიდველს.

— არავინ მოგატყუოთ, ბატონო, დღეს თბილისში ჩვენი, საქართველოს სათბურებში მოყვანილი კიტრი არსად არ იყიდება. ფიზიკურად არ არის. აი, პომიდორს კი მოგართმევთ ჩვენი სათბურებისას, — გულწრფელად მიპასუხა ქალბატონმასაკოლმეურნეო ბაზარში.

გამიკვირდა, შეუძლებელია, საქართველოს ბაზრებში არ იყიდებოდეს ადგილობრივი წარმოების, თუნდაც სათბურის კიტრი. მით უფრო, როდესაც დღეს აქტუალურია — „აწარმოე საქართველოში“. სამაგიეროდ, ბაზრებში უხვად არის შორეული თუ ახლო მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქცია — ხახვი, ნიორი, სტაფილო...

იმპორტის ჭარბი რაოდენობით არსებობის მიზეზად უცხოელი შემომზიდავებისთვის მიზერულ საბაჟო გადასახადს ასახელებენ. თუმცა მეწარმეებისგან ვერ შევიტყვე, რამდენია ეს მიზერული თანხა. „ყველა პროდუქტს ცალკე ანგარიშობენო“, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდეს. ალბათ, კომერციული საიდუმლოებაა.

„ჩვენი ქართული პროდუქცია რამდენად იბეგრება?“ — ვკითხე. მეწარმეებმა გაოცებულებმა შემომხედეს: „ჩვენ რა გვაქვს, რომ გავიტაონოთო“, — მიპასუხეს. მათივე თქმით, სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან არაფერი გაგვაქვს. „თურქეთში საჭმელმა მაწყინა. მაღაზიაში მინერალური წყალი მოვითხოვე. გამყიდველმა „ნაბეღლავი“ შემომთავაზა. გამიკვირდა და გამიხარდა კიდეც“, — მითხრა ერთ-ერთმა მეწარმემ.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ძირითადად, ახლო მეზობელი ქვეყნებიდან შემოაქვთ. თუმცა ბაზარში შორეული ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქციაც გვხვდება. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩინური ნიორი 4-5 ლარი ღირს, ხოლო ადგილობრივი, საქართველოში მოყვანილი — 7-9 ლარი! ჩვენი პროდუქციის ნაკლებობას გამყიდველები დეფიციტით ხსნიან. ამასთან, იხსენებენ შარშანდელ გვალვიან წელს, რომელმაც, გარკვეულწილად, დააზარალა გლეხობა. „პროდუქტის მიყვანა ერთია, მაგრამ შესანახი, დასასაწყობებელი ადგილი არ არის, ამიტომ მოწეული მოსავლის ნაწილი ზოგჯერ გვიფუჭდება“, — მითხრეს გლეხებმა.

ადგილობრივი პროდუქციის ნაკლებობის მიზეზები ჩვენში, იცოცხლეთ, ბევრია. თუმცა სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობას ვერსად გავექცევით. როგორც შემომზიდავებმა მითხრეს, იგივე თურქეთის რესპუბლიკაში გლეხებს საკმაოდ სოლიდური დახმარება აქვთ. როდესაც ქვეყანაში რომელიმე დასახელების პროდუქტის ჭარბი მოსავალი აქვთ, სახელმწიფო ყოველნაირად ეხმარება რეალიზაციაში, რათა არ გაუფუჭდეთ მოსავალი, გლეხებმა არ იზარალონ. იქაურ მეწარმეებს, ჩვენებურებისგან განსხვავებით, ფასების ლავირების დიდი შესაძლებლობა აქვთ. თუნდაც იქ, ადგილზე, აქაურმა და თურქმა ბიზნესმენმა ერთნაირ ფასად რომ შეიძინონ პროდუქცია, იქაურს, შეუძლია, უფრო იაფად გაყიდოს და არ იზარალოს.

ვერავინ უარყოფს — შარშანშარშანწინ სახელმწიფო მხარდაჭერით მოიხნა და დაითესა სავარგულები. პირდაპირ ვთქვათ, ჩვენ, ხალხი ხომ არ ვზარმაცობთ? გადავხედოთ თუნდაც დედაქალაქის მოსახლეობის საქმიანობას — ხალხი, ძირითადად, ვაჭრობაზეა გადასული. გასაგებია, რომ სათბურის აგება-დამონტაჟებას, მოსავლის მოყვანასა სათანადო ცოდნა-გამოცდილება სჭირდება, მაგრამ რაც ვიცით და შეგვიძლია, რატომ არ ვაკეთებთ? ფულის იოლად შოვნა, იცოცხლეთ, კარგია და, ალბათ, ამიტომაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაჭრებად იქცა. თუმცა, ყიდვა-გაყიდვას ცოდნა სჭირდება, რაც ბევრს არ სურს გაიგოს და ამიტომ გვხვდება ბევრი გაკოტრებული მეწარმე.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს იმპორტის წინააღმდეგნი ვიყოთ. არა, ბატონებო, ამის გარეშე მსოფლიოში ქვეყანა არ არსებობს. საუბედუროდ, ჭარბი იმპორტით მხოლოდ უცხო ქვეყნების სოფლის მეურნეობას და ეკონომიკას ვუწყობთ ხელს. მოდით, დავითვალოთ, რა რაოდენობის იმპორტული ნიორი, ხახვი, კარტოფილი, კიტრი, პომიდორი იყიდება თბილისში, თუნდაც ყოველთვიურად. ვიანგარიშოთ, რა რაოდენობის ვალუტა გაედინება ჩვენი ქვეყნიდან და რა მოგება რჩება საქართველოში, ან საერთოდ თუ რჩება. ჩვენი ეკონომისტები კი მხოლოდ მსჯელობენ ინფლაციაზე, ლარის კურსის ვარდნაზე. ინფლაციურ პროცესებში გარე ფაქტორების, აქაური ყოფილი თუ მოქმედი ჩინოვნიკის ბრალეულობის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული აზრით, მთავარი მაინც ადგილობრივი, ქართული ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაა საჭირო ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ქართველებს წამბაძველობა გვიყვარს. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად უფრო ცუდი გადმოგვაქვს, ვიდრე კარგი. ერთი მაგალითი გვინდა მოვიყვანოთ ჩვენი სამეზობლოდან. რუსეთში, კერძოდ, ურალში, ციმბირში იმპორტის ჩანაცვლების პროგრამით ბევრი სათბური აშენდა, სადაც უკვე მოიწიეს საკმაოდ სოლიდური მოსავალი. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, იმათ საკუთარი ენერგორესურსები აქვთო. ერთის მხრივ, მართლებიც იქნებიან, მაგრამ, მოდით, გავიხსენოთ ჩვენი ყაზბეგის რაიონი. „ნაცმოძრაობის“ სათავეში მოსვლამდე მაღალმთიანი რაიონის მოსახლეობა შეღავათით ილებდა ბუნებრივ აირს. იქ მოყვანილი კიტრის მოსავალი იყიდებოდა როგორც თბილისში, ასევე რუსეთის ფედერაციაში.

საბედნიეროდ, საქართველოში მადლიანი ბუნებრივი კლიმატია. განა ასე ძნელი იქნება, სახელმწიფომ შეღავათები დაუწესოს ენერგორესურსებზე იმ მეწარმეებს, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ. ამით ხალხიც კმაყოფილი დარჩება და ქვეყანაც იხეირებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

ISSN 2233-3983

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69**

* * *

**— ორი წლის წინ ჩემი შვილი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?**

— შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა თქვენ ამის უფლებას განიჭებთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

**— როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

— სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

**-რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას( ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

ამანათის
გადაზიდვა

593 20 46 87